WWW.SAERTOGAZETI.GE

# საერთო გაზეთი

№23 (257) ● 11-17.IX.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.ge; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## დაბრუნება საკუთარ თავთან, ანუ რატომ ეშინიათ „ნაციონალებს"



ბიძინა ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობიდან გადადგომის?

## მამუკა არეშიძე:

არჩევნების მერე ქვეყანაში სერიოზულ ქაოსს ველოდები — ჩვენ კატასტროფის რეჟიმში ვცხოვრობთ!



## გიორგი მამაცაშვილი:

ყველაფერი გარკვეულია და სულ მალე კეისარს კეისრისა მიეზღვება, ხოლო ამირეჯიბს – ფარესიშვილისა



## სანდრო თვალჭრელიძე:

თუ ვინმეს ალმაშენებლობა უნდა, ისიც გაიხსენოს, რომ დავით ალმაშენებელი არც ხორბალს ყიდულობდა რუსეთში და არც ქათმის ბარკალი შემოუზიდავს ბრაზილიიდან



## დემურ გირხელიძე:

1 ოქტომბრის შემდეგ ქართველი ხალხი სხვანაირი გახდა — იგი მოვლენებს აკვირდება, იბოღმება, უკმაყოფილოა და როდის იფეთქებს არავინ იცის...



## ინტერვიუ კინორეჟისორ ოთარ იოსელიანთან



იცვლება დრო და სისაძაგლეც ნიღბებს იცვლის

## რეპორტაჟი

„თურქული პლეხანო-ველდან"



# დაბრუნება საკუთარ თავთან, ანუ რატომ ეშინიათ „ნაციონალებს“ ბიძინა ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობიდან გადადგომის?



ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას პრემიერ-მინისტრის პოსტიდან შესაძლო გადადგომის შესახებ იმდენად დიდი აჟიოტაჟი და ხმაური მოჰყვა, შესაძლოა, ეს ნაკლებად ინფორმირებული და პოლიტიკური ცხოვრების ლაბირინთებში ჩაუხედავი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მასობრივი ფსიქოზისა და დეპრესიის საბაბად იქცეს.

თუ შევიხედავთ სოციალურ ქსელებში, თუ ყურს მივუგდებთ მოქალაქეთა საუბრებს, ამის ნიშნები ნამდვილად არის.

**ადამიანებს, რომლებმაც „ნაცმოძრაობის“ მმართველობის ცხრაწლიანი ჯოჯოხეთი გამოაიარეს, კვლავ გაუჩნდათ შიში, რომ ივანიშვილის გადადგომამ, შეიძლება, „ნაციონალებს“ ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი მისცეს და ქვეყანაში დიდი შურისძიების და სასტიკი ანგარიშსწორების ჟამი დადგეს.**

— თუ ეს მოხდა, „ნაციონალები“ „ქართულ ოცნებასავით“ კოაბიტაციაზე სენტიმენტალურ საუბარს არ დაიწყებენ. ისინი ყველას დაუნდობლად გაუსწორდებიან და სისხლის ტბებს დააყენებენ! — აი, ასეთ საგანგაშო ფრაზებს გაიგონებთ ჩვენი მოქალაქეებისგან.

სამწუხაროდ, არავის უფიქრია იმაზე, რომ საზოგადოება, რომელმაც თავის თავზე იწვნია არნახული ძალადობის, ტერორის, დევნის, შანტაჟის, დამცირების, შეურაცხყოფის კოშმარული 9 წელი, აუცილებლად საჭიროებს ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას, რომ ამ დამთრგუნველი სტრესიდან გამოვიდეს და გათავისუფლდეს.

ეს და კიდევ სხვა მრავალი ფაქტორი, რომლებზეც აქ ყურადღებას არ შევაჩერებთ, ქმნის არასტაბილურობის შეგრძნებას, ამკვიდრებს სკეპტიციზმს, ინფანტილიზმს, შიშსა და უიმედობას.

მოგვიანებით, ბატონმა ბიძინამ სცადა განემარტა საზოგადოებისთვის, რომ ეს არ იყო საბოლოო გადაწყვეტილება და ის იმოქმედებდა შექმნილი სიტუაციის ადექვატურად. მან იქვე ითხოვა, რომ მისი ეს განცხადება არ ექციათ პოლიტიკური სპეკულაციის და არაჯანსაღი დისკუსიის საგნად, თუმცა ეს თხოვნა, როგორც მოსალოდნელი იყო, არ იქნა შესმენილი.

## გადადგომა — უკანდახევა თუ დიდი გეგმის მეორე ეტაპის დასაწყისი?

— ეს არის ღალატი ქართველი ხალხის წინააღმდეგ!

— ეს არის ნაციონალების წინაშე კაპიტულაცია!

— ეს არის ბრძოლის ველიდან გაქცევა!

— ივანიშვილის ამ ნაბიჯს შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირება მოჰყვეს!

— ეს არის შეთქმულება საქართველოს საბოლოოდ წელში გასატეხად — ივანიშვილი ამ შეთქმულების მონაწილეა!

— ივანიშვილს ამ ნაბიჯის გადადგმა რუსებმა აიძულეს!

— ივანიშვილს ამ ნაბიჯის გადადგმა ამერიკელებმა აიძულეს!

აი, ასეთი მძაფრი და რადიკალური განცხადებები ისმის ყოველი მხრიდან ბიძინა ივანიშვილის მისამართით.

**ამ დროს რატომღაც ყველას ავიწყდება, რომ ბიძინა ივანიშვილს მსგავსი განცხადება პირველად ახლა კი არ გაუკეთებია, არამედ გააკეთა ორი წლის წინათ, პოლიტიკაში შემოსვლისთანავე.**

ამ წერილის ავტორი, რამდენიმე ადამიანთან ერთად, უშუალო მონაწილეა იმ ამბისა, როცა ბიძინა ივანიშვილმა, ტექსტზე მუშაობის დროს ღიად და დაუფარავად განაცხადა, რომ პოლიტიკაში მოსვლიდან ორ-სამ წელიწადში ის აუცილებლად დატოვებდა პოლიტიკას და სამოქალაქო სექტორში გადაინაცვლებდა.

მან ძალიან ნათლად და დამაჯერებლად ჩამოაყალიბა თავისი განზრახვის მართებულობა და დაგვიმტკიცა, რომ ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის მისი ეს ნაბიჯი გაცილებით სასარგებლო და ეფექტური იქნებოდა, ვიდრე ხელისუფლებაში დარჩენა.

ეს ამბავი, როგორც ვთქვით, 2011 წლის ოქტომბერში, ორი წლის წინათ მოხდა, რაც მტკიცე არგუმენტია იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის ხელისუფლებიდან წასვლა არც რუსებს დაუძალებიათ და არც ამერიკელებს, არც შექმნილი პოლიტიკური გარემოებით არის იგი ნაკარნახევი, არც სხვა ფაქტორებით — ეს არის ზუსტად გათვლილი და აწონილ-დაწონილი იმ დიდი გეგმის ერთ-ერთი პუნქტი, ერთ-ერთი მონაკვეთი, რომლის შემდეგაც ბიძინა ივანიშვილი მოქმედების სრულიად ახალი ეტაპის დაწყებას აპირებს.

**ცუდია, რომ ქართველი საზოგადოება სრულყოფილად არ იცნობს ბიძინა ივანიშვილს, არ იცნობს მოქმედების მისეულ სტილს, რომელიც უკიდურესად რაციონალურ და დეტალებში გათვლილ მოქმედებებზეა აგებული.**

ჩვენ მალე დავივიწყეთ, რა გზა გაიარა ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილთან ერთად 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე.

მაშინ ძალიან ბევრს არ სჯეროდა, რომ „ნაცმოძრაობის“ დამარცხება არჩევნების გზით შესაძლებელი იყო, თუმცა მტკიცედ სჯეროდა ეს ერთ ადამიანს, ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც შეძლო ბოლომდე დაეცვა თავისი პრინციპები და იდეა ხელისუფლების მხოლოდ არჩევნებით, მხოლოდ მშვიდობიანი, ცივილიზებული ფორმებით შეცვლისა, რეალობად ექცია.

არა ემოციებზე დამყარებული გადაწყვეტილებები, არამედ თანმიმდევრული, აუჩქარებელი სვლა დასახული მიზნისკენ — ეს ბიძინა ივანიშვილის პიროვნული ხასიათის განსაკუთრებული თვისებაა, რომელიც ზოგჯერ გამაღიზიანებლად მოქმედებს ბუნებით იმპულსურ ქართველებზე, რომლებსაც სასურველი შედეგების მიღება დღესვე, დაუყოვნებლივ, მყისიერად უნდათ და ამის გამო ხშირად პროცესებს წინ უსწრებენ, რაც, როგორც წესი, მარცხით მთავრდება.

ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრობიდან შესაძლო გადადგომის შესახებ, უკანდახევა და კაპიტულაცია კი არა ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის საჭირო აქტია, რომლითაც უნდა დასრულდეს ივანიშვილისეული პროექტის ერთი ნაწილი და დაიწყოს თვისობრივად და მიზნობრივად განსხვავებული მეორე ეტაპი.

## რატომ ნერვიულობენ „ნაციონალები“ ივანიშვილის შესაძლო გადადგომის გამო?

თუ ვინმეს გულწრფელად ეწყინა ინფორმაცია ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობიდან წასვლის შესახებ, რაც არ უნდა გასაკვირი და გასაოცარი იყოს ეს, პირველ რიგში, ეწყინა „ნაცმოძრაობას“.

„ნაციონალები“ აღშფოთებას ვერ მალავდნენ და ივანიშვილის მისამართით მწარე შეფასებებს არ იშურებდნენ.

— რას ჰქვია უნდა გადადგეს? საბავშვო ბაღი ხომ არ არის? კეთილი ინებოს და თავისი მოვალეობა შეასრულოს! — მოითხოვდნენ „ნაციონალები“ და თავიანთი მოთხოვნის გამყარებას სხვადასხვა არგუმენტებით ცდილობდნენ.

კი, მაგრამ, რატომ უნდა სწყინდეთ „ნაციონალებს“ იმ კაცის გადადგომა, რომელიც თავიანთ მოსისხლე მტრად და თავიანთი უბედურების მთავარ მიზეზად მიაჩნიათ?

რატომ უნდა სწყინდეთ და იმიტომ, რომ „ნაციონალები“ შესანიშნავად ხედავენ იმ საფრთხეს, რომელიც ივანიშვილის გადადგომით მათ პოლიტიკურ არსებობას ემუქრება.

**„ნაციონალებს“ ეშინიათ, პრემიერ-მინისტრის გადადგომის შემდეგ ავტომატურად არ დადგეს საკითხი იმ პარლამენტის ლეგიტიმურობის შესახებ,**




„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

**ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ 40 %-ᲘᲗ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲜᲘ.**

ვინ ვინ და მათ ხომ შესანიშნავად იციან, რომ მათი მხარდამჭერების რიცხვი, სინამდვილეში, 5-10% არ აღემატება?!

ამბობენ, ,,საქართველოში ზუსტად იმდენი უნამუსოა, რამდენი მხარდამჭერიც ,,ნაცმოძრაობას" ჰყავსო".

ჰოდა, 5-10 %-ზე მეტი უნამუსო არ შეიძლება ამ პატარა ქვეყანას ჰყავდეს.

კაცმა რომ თქვას, ესეც ბევრია...

**,,ნაციონალების" და ამ 5 თუ 10 პროცენტი უნამუსოების ბელადი სააკაშვილი, რომელიც პირდაპირ ცოფებს ჰყრის პრემიერის მოსალოდნელი გადადგომის გამო, ასეთ ორიგინალურ ახსნას უძებნის ივანიშვილის გადაწყვეტილებას — მას და პუტინს ჩემი გაქრობა სურთ... ეს გეგმა რომ შესრულდება, ივანიშვილი გადადგება... მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, არ ვაპირებ მე გაქრობას, არა!**

შეშინებულია ბატონი სააკაშვილი — შიშმა იცის ასეთი დაფეთებული და არეულ-დარეული, შიზოფრენიულ ხილვებთან მიახლოებული ლაპარაკი, თუმცა სააკაშვილი, როგორც პოლიტიკური ცხოველი, ყნოსვით გრძნობს დიდი განსაცდელის მოახლოებას და გუმანით იმასაც ხვდება, რომ ეს განსაცდელი რაღაცით უკავშირდება ივანიშვილის ამ რებუსივით ჩახლართულ გადაწყვეტილებას.

**,,წასვლა მინდოდა აქედან და ჩემს გადაწყვეტილებას იმით ვხსნიდი, რომ პოლიტიკაში მოსვლით მე თვითონვე უარვყოფდი ჩემს მიერვე სავალდებულოდ მიჩნეულ ნორმას, რომ მე არასოდეს მოვალ პოლიტიკაში."**

ცხადია, ივანიშვილი სააკაშვილის ,,ასაორთქლებლად" არ დგამს ამ ნაბიჯს — სააკაშვილი 27 ოქტომბრის შემდეგ თავისთავად გაქრება პოლიტიკური არენიდან და ამისთვის ივანიშვილის მიერ პრემიერ-მინისტრის პოსტის მსხვერპლად შეწირვა სულაც არ არის საჭირო, თუმცა სააკაშვილი იმაში ნამდვილად არ ცდება, რომ ამ ნაბიჯმა შეიძლება მის მიერ პარლამენტში შეგზავნილი პოლიტიკური დესანტი შეიწიროს და საერთოდ მარტო დარჩეს.

ივანიშვილის გადადგომის შემდეგ, ლოგიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კოალიცია დაიშლება, რაც, ალბათ, ავტომატურად გამოიწვევს საპარლამენტო უმრავლესობის დაშლასაც, რის შემდეგაც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის აუცილებლობა გარდაუვალი გახდება.

ასეთ საინტერესო ცვლილებებს გვთავაზობს ბიძინა ივანიშვილი თავისი გადადგომით, თუმცა არც ისაა გამორიცხული, მან შექმნილი სიტუაციის ადექვატურად იმოქმედოს და გადადგომის გადაწყვეტილება გაურკვეველი ვადით გადადოს.

### ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲗᲐᲜ

*,,ბევრი სვამს კითხვას და ბევრს უკვირს, მე, წარმატებულმა ბიზნესმენმა, ყოველმხრივ უზრუნველყოფილმა ადამიანმა, რატომ შევაგდე ყველაფერი სასწორზე და რატომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა?*

*ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია იმიტომ, რომ ვხედავ სამშობლო მეკარგება, ხოლო როდესაც სამშობლო გეკარგება, არაფერს არ აქვს ფასი, არც ქონებას, არც ფულს, არც პრივილეგირებულ მდგომარეობას.*

*ეს სიტყვები ჩვენს კომფორმიზმით დაავადებულ საზოგადოებაში შეიძლება ვინმეს ხმამაღლა ნათქვამად მოეჩვენოს და სწორედ ამაშია ჩვენი ყოფის უბედურება. არ დავმალავ, სანამ პოლიტიკაში მოსვლას გადავწყვეტდი, ორჯერ დავაპირე საქართველოდან წასვლა.*

*ვისაც არ სჯერა შეუძლია გადაამოწმოს და ნახოს, როგორც დავაბრუნე უკან შეკვეთილი თვითმფრინავები, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ოჯახის წევრებმა, ჩემმა მეუღლემ და ჩემმა ვაჟებმა მითხრეს — შენ შეგიძლია წახვიდე, ეს შენი ნებაა, მაგრამ ჩვენ აქ ვრჩებითო.*

*ჩემმა უფროსმა ვაჟმა, უტამ მითხრა, თუ შენ არ წახვალ პოლიტიკაში, მაშინ მე წავალო.*

*მე და ჩემმა მეუღლემ იმას მივაღწიეთ, რომ ჩვენი შვილები, რომლებიც საფრანგეთში გაიზარდნენ, ჩვენზე უფრო დიდი პატრიოტები და ჩვენზე უფრო კარგი ქართველები არიან. უტას სიტყვები ბოლო წვეთი იყო, რამაც ყველაფერი გადასწონა და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.*

*მე შევძელი მეჯობნა საკუთარი თავისთვის, დამეძლია ჩემს თავში შიში, ეჭვი, სკეპტიციზმი, ახლა კი ჯერი თქვენზეა.*

*ახლა თითოეულმა თქვენგანმა, ამ ქვეყნის თითეულმა მოქალაქემ, უნდა შესძლოს საკუთარ თავზე გამარჯვება და საერთო საქვეყნო საქმის გარშემო დარაზმვა.*

*ამ ბრძოლაში ჩვენ ყველანი თანაბარნი და თანასწორუფლებიანი ვართ და ყველას თანაბრად გვაწევს პასუხისმგებლობა ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე.*

*პოლიტიკაში იმიტომ მოვდივარ, რომ მივხვდი, მხოლოდ ქველმოქმედებით, ფინანსური დახმარებით და სპონსორობით, ცალკეულ სფეროებში ინვესტიციების ჩადებით და ლოკალური ღონისძიებებით, ქვეყანაში არსებულ საერთო ვითარებას და საერთო მდგომარეობას ვერ შეცვლი, თუ ყოველივე ამას ქვეყნის ხელისუფალთა პოლიტიკური ნება და მხარდაჭერა არ უმაგრებს ზურგს.*

*მე მივხვდი ჩემს შეცდომებს და მივედი იმ დასკვნამდე, რომ საჭირო და აუცილებელია პირველყოვლისა შეიცვალოს პოლიტიკური გარემო ქვეყანაში, შეიცვალოს ზოგადად პოლიტიკოსის და პოლიტიკის არსის და დანიშნულების გაგება ჩვენს ცნობიერებაში.*

*მე მოვდივარ პოლიტიკაში არა ვინმეს დასამარცხებლად, არა ვინმეზე შურის საძიებლად, არამედ საქართველოს თითოეული მოქალაქის გასამარჯვებლად".*

*,,წასვლა მინდოდა აქედან და ჩემს გადაწყვეტილებას იმით ვხსნიდი, რომ პოლიტიკაში მოსვლით მე თვითონვე უარვყოფდი ჩემს მიერვე სავალდებულოდ მიჩნეულ ნორმას, რომ მე არასოდეს მოვალ პოლიტიკაში. და მეორე, ქართულ პრესაში გამოქვეყნდა ,,ვედომოსტში" დაბეჭდილი ინტერვიუს გაგრძელება, სადაც მე ჩამოვაყალიბე ჩემი დამოკიდებულება ქველმოქმედებასთან, რომელშიც ჩემი მსოფლმხედველობა იყო ასახული, პოლიტიკაში მოსვლით კი, ამ მსოფლმხედველობას მთლიანად ვანგრევდი".* ***(ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი საქართველოს ხელისუფლებას, პოლიტიკოსებს და პოლიტიკურ პარტიებს, მასმედიის წარმომადგენლებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს ,,საერთო გაზეთი", №40, ოქტომბერი, 2011წ.)***



ეს სიტყვები 2011 წლის ოქტომბერშია ნათქვამი, როცა ბიძინა ივანიშვილი ქართულ პოლიტიკაში პირველ ნაბიჯებს დგამდა.

მას შემდეგ ივანიშვილს არაერთხელ გაუმეორებია, რომ პოლიტიკური საქმიანობა არ არის ის სფერო, რომელიც მას სიამოვნებას გვრის.

მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილი, როგორც პოლიტიკოსი, შედგა.

მან უცებ აუღო ალღო მისთვის აქამდე უცნობ დარგს და დროის მცირე მონაკვეთში მაღალი კლასის მალზე საინტერესო და ნიჭიერ პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბდა.

**ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ ᲛᲐᲡ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲙᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲔᲞᲘᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲛᲐᲡ, ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲬᲘᲚᲐᲓ, ᲮᲔᲚᲡ ᲣᲨᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲖᲚᲣᲓᲐᲕᲡ ᲐᲙᲔᲗᲝᲡ ᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲛᲘᲡᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ.**

პროფესიონალი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, მას პოლიტიკა აინტერესებს არა როგორც პოლიტიკური კარიერის საფეხურებზე აღმასვლის საშუალება ან ძალაუფლების ფლობის ინსტრუმენტი, არამედ, როგორც დამხმარე საშუალება ქვეყნის აღორძინებისა და განვითარებისთვის.

მან თავიდანვე შესანიშნავად იცოდა და პოლიტიკაში ყოფნის პერიოდმა კიდევ უფრო განუმტკიცდა შეხედულება იმის შესახებ, რომ ქვეყნის განვითარების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი სამოქალაქო საზოგადოების სისუსტეა, რომლის ჩამოყალიბების პროცესი სხვადასხვა მიზეზის გამო თითქმის შეჩერებულია...

დემოკრატია ხალხის მმართველობაა, მაგრამ საქართველოში ხალხისთვის ჯერ არც მართვის უფლება მიუცია ვინმეს და არც უსწავლებია, როგორ უნდა მართოს.

ბიძინა ივანიშვილის სამოქალაქო სექტორში გადასვლით, დარწმუნებული ვართ, უმოკლეს ვადაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და ეფექტური მოქმედებისთვის ისეთი ბერკეტები და მექანიზმები შეიქმნება, რომ ხალხი მართლაც გახდება ახალი იდეების, ახალი ინიციატივების, ახალი მიმართულებების მთავარი წყარო და, რაც მთავარია, ხელისუფლების საქმიანობის მთავარი არბიტრი და მაკონტროლებელი.

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ, ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲣᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲚᲘ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ, ᲐᲜᲣ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ, ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ, ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲗ, ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲬᲔᲕᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ.**

სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებების დანაშაულებრივი მიდგომის წყალობით, ეს უზარმაზარი რესურსი, ფაქტობრივად, გამოუყენებელია.

ეს ადამიანები, მთელი თაობები თითქმის გააძევეს საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო სტრუქტურებიდან.

მათთვის არავის დაუძახია, არავის მოუხმია, სწორედ ამიტომ გაჩნდა ტერმინი — მოუხმობლები, მოგვიანებით, ამ ტერმინს მეორე ტერმინი — ჩარეცხილები დაემატა.

მოუხმობლების, ჩარეცხილების, გარიყულების, უარყოფილების, შეურაცხყოფილების, ქვეყნიდან იძულებით გაძევებულების, გულნატკენი, სულნატკენი, უნუგეშებელი ადამიანების უზარმაზარი არმია — აი, ეს არის ქართული სამოქალაქო სექტორი, ქართული უბედურების ზონა.

სანამ იქ არსებული პრობლემები არ მოგვარდება, არ მოგვარდება ქართული სახელმწიფოს სხვა პრობლემები.

ამიტომაც აპირებს ბიძინა ივანიშვილი ამ ურთულეს უბანზე გადასვლას.

ეს კიდევ ერთი მორიგი მსხვერპლია მისი მხრიდან ქვეყნის გადასარჩენად.

მას სურს ადამიანებს დაეხმაროს, ისწავლოს მიზანმიმართული, გააზრებული მოქმედება გამარჯვებისა და გადარჩენისთვის.

ძველი ლაზები ბავშვობიდანვე სწავლობდნენ ხელფეხშეკრულ ცურვას, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში თავის გადარჩენა შესძლებოდათ.

საქართველოც ექსტრემალურ სიტუაციაშია დღეს და ხელფეხშეკრული ცურვის ხელოვნების გახსენება ნამდვილად არ გვაწყენდა...

ბიძინა ივანიშვილის წასვლა პოლიტიკიდან და ქართველი ხალხის ,,ბანაკში" გადასვლა, სრულიად ლოგიკურ, ქვეყნისთვის უაღრესად საჭირო და სასარგებლო ნაბიჯად მეჩვენება.

**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲮᲐᲠᲩᲘᲚᲐᲕᲐ**

**ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ:**

**,,მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება გულწრფელად ვემსახურებოდი ჩემს სამშობლოს. მგონი, პირნათლად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას ქვეყნის წინაშე. 2011 წლის 4 ოქტომბერს პოლიტიკაში შემოსვლით პირდაპირი მნიშვნელობით თავი გავწირე და გავწირე ჩემი ოჯახიც. ნუთუ ამის შემდეგ შეიძლება ვინმეს აზრად მოუვიდეს, რომ ჩემს სამშობლოს ახლა შევაქცევ ზურგს?"**

***P.S.** ეს წერილი საზოგადოებისადმი ბიძინა ივანიშვილის მიმართვის გამოქვეყნებამდე ორი კვირით ადრე დაიბეჭდა (,,ლიტ. საქართველო", ,,ასავალ-დასავალი") და მკითხველთა დიდი გამოხმაურება მოჰყვა.*

*თემის გარშემო საუბრის გაგრძელებას ,,საერთო გაზეთის" მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ.*

**ვ.ხ.**



# ჰამლეტ ჭიპაშვილი:
# ომის ზღვარზე ვართ!

**ინტერვიუ პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილთან**

**— რა გახდა მთავარი მიზეზი სირიაში საომარი კონფლიქტის. სირიას არაბული რევოლუციების ცეცხლი ხომ არ გადაედო?**

— უნდა გითხრათ, რომ ყველაფრის სათავე არის არაბული რევოლუციები. ისე ჩანდა, თითქოს თავიდანვე ამ რევოლუციებში აშშ-ი არ იყო ჩართული, მაგრამ ის ყოველთვის ცდილობდა ყოფილიყო მღელვარებების ტალღებს მაღლა და ხელში სჭეროდა არეულობების პულსი. თუმცა, ცხადია, ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ აშშ-მა წააქეზა თუ არა, და იყო თუ არა იგი მაპროვოცირებელი არაბულ ქვეყნებში გაჩაღებული რევოლუციური სისხლისღვრებისა.



Aleppo, Syria

სირიის პრობლემა გაცილებით ადრე დაიწყო არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. სირიის მოქალაქეების უმეტესობა სუნიტია, ქვეყანას კი მართავს ალავიტური, შიიზმის მიმდევარი ბაშარ ასადი. როგორც ეტყობა, ასადის წინააღმდეგ მოძრაობას ქვეყნის გარედან ეხმარებოდნენ. კერძოდ, საუდის არაბეთიდან და ყატარიდან. მოგვიანებით ჩაერთო ამ დაპირისპირებაში დასავლეთის ქვეყნები და აშშ-ი. სირიაში უამრავი სუნიტი იბრძვის, რომლებიც დასავლეთის ქვეყნებიდან ჩავიდნენ იქ, მათ შორის ჩრდილო კავკასიელებიც არიან. ისინი თავგანწირვით იბრძვიან სირიის შიიტი ხელისუფალის წინააღმდეგ.

ძალიან უჭირს ბაშარ ასადს, მაგრამ არ იფიქროთ, მას ამ ომში დასაყრდენი არ ჰყავდეს. ის არა მხოლოდ სირიელ ალავიტებს ეყრდნობა, არამედ სუნიტებსაც, რომლებიც ასადის, როგორც ხელისუფალის მიმართ ლოიალურად არიან განწყობილნი. ასადის მომხრეები არიან სირიელი ქურთებიც და ქრისტიანებიც.

ბაშარ ასადთან მჭიდროდ თანამშრომლობს ირანის შიიტური ხელისუფლებაც, მის მხარესაა ლიბანური „ჰესბოლა". დანარჩენი მუსულმანური სამყარო ბაშარ ასადს ებრძვის.

**— აშშ-ი რატომ ცდილობს ამ არეულობაში ჩართვას? ცხადია, ის მღვრიე წყალში ლიფსიტებს არ გამოეკიდება. რომელი ღლავისკენ უჭირავს თვალი?**

— ამერიკას სურს ასადის მთავრობის დამხობა, რათა სირიის ხელისუფლებაში მოვიდეს ისეთი ძალები, რომლებიც არ იქნებიან დაკავშირებული ირანთან. აშშ-ი თვლის, რომ სირიის ხელისუფლების დაცემის შემდეგ ის შეძლებს ირანის ნეიტრალიზებას. ამ პერსპექტივით, აშშ-ი ცდილობს, ჰეგემონობა მოიპოვოს ახლო აღმოსავლეთში და მისი პოზიციები მსოფლიოშიც უფრო განმტკიცდეს.

რაც შეეხება რუსეთს, მას სამხედრო ბაზა აქვს სირიაში — ტარტუსში, ამიტომ მასსურს, რომ სირიის საკითხი მსოფლიო კონგრესის მეშვეობით მოწესრიგდეს მოლაპარაკების გზით და საქმეში გაეროს უშიშროების საბჭოც ჩაერთოს.

გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა დაადგინოს, იქნა თუ არა გამოყენებული ბაშარ ასადის მიერ ქიმიური იარაღი, შესაბამისად, უშიშროების საბჭომ უნდა გადაწყვიტოს ჯარების შეყვანის საკითხი სირიის ტერიტორიაზე.

გაეროს უშიშროების საბჭოში მუდმივ წევრებად არიან ჩინეთი და რუსეთი. ეს ქვეყნები სირიის სახელმწიფოს ინტერვენციის სასტიკი წინააღმდეგნი არიან. ამიტომ აშშ-ის გეგმას, სირიაში შეჭრის და იქ ომის გაჩაღების შესახებ, თავიდანვე განხორციელება არ უწერია.

თუმცა აშშ-ი არ აპირებს განზრახვაზე ხელის აღებას და უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით გამოუცხადა ნატოს წევრ ქვეყნებს ჩაერთონ სირიის წინააღმდეგ საომარ ინტერვენციაში.



მაგრამ სანამ ეს მოხდება, სირიას შეუძლია საომარი მოქმედებები დაიწყოს ისრაელის და თურქეთის წინააღმდეგ.

რამდენიმე დღის წინ დამასკოში ირანის პარლამენტის დელეგაციის წარმომადგენლებმა ღიად განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერენ სირიას.

სრულიად შესაძლებელია, ეს განცხადება საკმარისი საბაბი აღმოჩნდეს ისრაელისთვის, დიდი ხნის „ნანატრი" ომი გააჩაღოს ირანის წინააღმდეგ და დაარტყას იმ ბირთვული კვლევის ობიექტებს, სადაც აშშ-ისა და ისრაელის მტკიცებით, ბირთვული იარაღი მზადდება. სამწუხაროდ, ვითარება ძალიან რთულია.

**— შეეხება თუ არა საქართველოს მსოფლიოში ამტყდარი ქარიშხალი?**

— ახლახან საგარეო საქმეთა მინისტრმა, ქალბატონმა ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ საქართველო ამ კონფლიქტში მხარს აშშ-ს დაუჭერს.

ქართველი საზოგადოება ამ საკითხს, სამწუხაროდ, ზერელედ უყურებს და უმეტესობას სურს, კუჭის პრობლემა მოაგვაროს, ვიდრე სხვა რამეებზე იფიქროს; არადა, თუ ირანი, თუნდაც უნებურად რომ ჩაერთოს ამ კონფლიქტში, სრულიად შესაძლებელია, აშშ-მ, როგორც მეგობარმა ქვეყანამ, ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს აეროდრომები გამოიყენოს.

ასე რომ, ჩვენ უკვე ვართ ომის ზღვარზე.

მე არ მგონია, რომ ამ შუა ზაფხულში ალასანია ტყუილად ყოფილიყო დაბარებული ვაშინგტონში და პენტაგონში გასართობი შეხვედრები ჰქონოდა. ჩემი აზრით, ძირითადი სასაუბრო თემა სწორედ სირიაში კონფლიქტი იქნებოდა.

მივიჩნევ, რომ ობამა გაუთვალისწინებელ ნაბიჯს დგამს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მას სურს პოზიციების გამყარება თვით ამერიკაში და იმის დამტკიცება, რომ ძლიერი მმართველია და არა „დედალი პრეზიდენტი", როგორც ეძახდნენ მას აქამდე. მისი მიზანია, ასევე, ამერიკის მსოფლიო ლიდერობა კიდევ ერთხელ დაამტკიცოს.

პრესა წერდა იმაზეც, რომ ორი-სამი თვის წინ დიდი რვიანის შეხვედრაზე პუტინი იმდენად თავისუფლად გრძნობდა თავს, სავარძელში არხეინად მიწოლილი ელაპარაკებოდა აშშ-ის პრეზიდენტსო. ობამას, ცხადია, არ მოეწონა პუტინის არხეინი დამოკიდებულება და ის, რომ რუსეთის პრეზიდენტი ფეხის წვერებზე არ დადგა მის წინაშე. აშშ-ს პუტინის სახით ისეთი მოწინააღმდეგე ჰყავს, რომელიც ვერაფრით მოდრიკა.

ერთი სიტყვით, რაც დღეს ხდება, ეს არის ბრძოლა პოზიციების განმტკიცებისთვის, ყველაფერი კი დაკავშირებულია ეკონომიკასთან..

რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრის განმარტებებს ამ საკითხზე. ეს საკმაოდ თავქარიანი განცხადება იყო.

არავინ იფიქროს, რადგან აშშ-ი ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორად ითვლება, ვალდებული ვიყავით, ასეთი სარისკო განცხადებები გაგვეკეთებინა.

საქმე ისაა, რომ შესაძლებელი იყო სხვა რიტორიკით საუბარი და უფრო უკეთესი იქნებოდა, საერთოდ თუ არ გააკეთებდა ქართული მხარე განცხადებას და არ ჩაერეოდა ამ საჩოთირო საქმეში.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

## ალექსი პეტრიაშვილი საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩს შეხვდა

დღეს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი დიდი ბრიტანეთის ელჩს ალექსანდრა ჰოლ ჰოლისა და ბრიტანეთის საელჩოს მესამე პოლიტიკურ მდივანს კლერ სკარატს შეხვდა.



სახელმწიფო მინისტრის აპარატის ცნობით, შეხვედრაზე ელჩმა დაადასტურა დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მისწრაფებისადმი. ალექსი პეტრიაშვილმა, თავის მხრივ, ბრიტანულ მხარეს მადლობა გადაუხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერისა და საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის მტკიცედ გატარებისათვის. ასევე, განსაკუთრებით აღნიშნა დიდი ბრიტანეთის მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში და მასში ინგლისელი მონიტორების მონაწილეობა.

შეხვედრაზე მხარეებმა პოლიტიკური ურთიერთობების ფართო სპექტრი და საქართველოს ევროკავშირთან და ნატო-სთან ურთიერთობების დინამიკა განიხილეს. სახელმწიფო მინისტრმა ისაუბრა საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე, მომავალ არჩევნებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტისათვის საქართველოს მზადების პროცესზე. საუბარი, ასევე, შეეხო საქართველო-რუსეთის ურთიერთობებსა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას.



# მამუკა არეშიძე:

# არჩევნების მერე, ქვეყანაში სერიოზულ ქაოსს ველოდები — ჩვენ კატასტროფის რეჟიმში ვცხოვრობთ!

**გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში
მამუკა არეშიძე:**

**— ბატონო მამუკა, სირიაში კვლავ დაძაბული ვითარებაა, აშშ-მ სამხედრო კამპანია დაიწყო. რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს საქართველოს?**

— დიახ, სირიასთან აშშ-მა, მისმა დასავლელმა მოკავშირეებმა სამხედრო ოპერაცია დაიწყეს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ვადებში დასრულდება სამხედრო ოპერაცია. სენატის გადაწყვეტილებით აშშ-ს ხელისუფლებას ამ ყველაფრის დასასრულებლად 60-დღიანი, პლუს დამატებითი 30-დღიანი ვადა მიეცა. მაგრამ აშშ-ს ხელმძღვანელობას, სენატის მიერ მხოლოდ საჰაერო ოპერაციის და მეამბოხეებისთვის დახმარების გაწევის უფლება აქვს. პრინციპში, ამ შემთხვევაში, თუ აშშ ვადებში ჩაეტევა, თუ ეს მხოლოდ საჰაერო ოპერაციის ფორმატითა და მეამბოხეების გაძლიერებით შემოიფარგლა, მაშინ ეს ლოკალური ომი იქნება. ამ ომში ჩართვა შეიძლება ირანმაც მოინდომოს, მაგრამ იგი პირდაპირ არ ჩაერთვება. იგი შეეცდება ჰამასის შეიარაღებულ რაზმებზე იმოქმედოს, რომელიც ლიბანის ტერიტორიაზეა განლაგებული. თუ ომი განსაზღვრულ ვადებში დასრულდა, მაშინ იგი წინა აზიაზე არ გავრცელდება. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ვადები დაირღვა, ომი გაგრძელდა, თუ ამ ამბავში ირანის არმია ჩაერთო, საბოლოო ჯამში, ეს ირანის წინააღმდეგ ომში გადაიზრდება. პრინციპში, დასავლეთი, რასაკვირველია, ირანის პროვოცირებას ცდილობს. რამდენად ეყოფა ირანის დღევანდელ ხელმძღვანელობას გამძლეობა, რათა ამ ომში არ ჩაერთოს, ეს მეორე საკითხია. თუ ირანის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები დაიწყო და ეს სახმელეთო ოპერაციით გამოიხატა, მაშინ რუსეთი იძულებული გახდება გააქტიურდეს, რათა კასპიის ზღვის რეგიონში თავისი სამხრეთი საზღვრები დაიცვას. გარდა ამისა, დაეხმაროს თავის მოკავშირე სომხეთს. თავისი ჯარის გასაყვანად რუსეთს სახმელეთო კორიდორი აუცილებლად დასჭირდება.

**რუსეთის მიერ საქართველოს დაკავებას არ ვვარაუდობ, მაგრამ რასაკვირველია, რუსეთი მოინდომებს სახმელეთო კორიდორი შემდეგი მიმართულებით — ცხინვალი-ბორჯომი-ახალქალაქი გააკეთოს. ეს საფრთხე მოსალოდნელია. მაგრამ საქართველოს შეიძლება სხვა ტიპის საფრთხეებიც შეექმნას. კერძოდ, ლტოლვილთა ნაკადი, რომელიც დღეს ისედაც არის.**

ქართული საზოგადოება შეიძლება ვერ ამჩნევს, მაგრამ თბილისში სირიელი ქრისტიანები მომრავლდნენ. ლტოლვილთა ნაკადის გარდა, ირანის წინააღმდეგ ომში შესაძლებელია დასავლეთმა საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურის ამ საქმისთვის გამოყენება მოინდომოს. ყველაზე ცუდი, იცით რა იქნება? — ირანის წინააღმდეგ სავარაუდო ოპერაციამ შეიძლება ყარაბაღის კონფლიქტის განახლებას შეუწყოს ხელი. მაშინ რუსეთის ფართომასშტაბიანი წარმომადგენლობის ჩათვლით, ომში ჩათრეული მთელი რეგიონი აღმოჩნდება. ასეთ შემთხვევაში ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. თუმცა ეს ყველაფერი ჰიპოთეტურია. ვიმეორებ, თუ აშშ-მ 90 დღეში დაამთავრა ოპერაცია, მაშინ განსაკუთრებული არაფერი მოხდება.

**— თუ ვითარება საქართველოსთვის რეალურად საფრთხის შემცველი გახდება, რა გავლენას მოახდენს ის ფაქტორი, რომ ამ დროს ჩვენ პოლიტიკური ლიდერის გარეშე ვრჩებით?**

— ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა, ჩემი აზრით, დიდწილად განპირობებულია ზუსტად იმ დაპირისპირებით, რომელიც რუსეთსა და დასავლეთს შორის მიმდინარეობს. ივანიშვილი სერიოზული წნეხის ქვეშაა, როგორც დასავლეთიდან, ისე რუსეთიდან. თუ შეატყვეთ, ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ივანიშვილი არაფრის დიდებით არ ჩავიდა არც ვაშინგტონში და არც მოსკოვში. როგორც ჩანს, ივანიშვილს არ უნდა, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობა აიღოს ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, და მეორე მხრივ, მას დროის მოგება სურს. იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილი არჩევნების შემდეგ გადადგება, ხელისუფლებაში აღარავინ იქნება ისეთი, ვინც გადაწყვეტილების შეცვლას შეძლებს. ამიტომ, ეს შეიძლება ერთგვარი მანევრიცაა. ოქტომბერში გადადგება ივანიშვილი, ხოლო ნოემბერში სამიტი გაიმართება და ქართულ მხარეს შეეძლება თქვას — ჩვენ, ახლა არ გვყავს ლიდერი, რომელიც სამიტზე გასატან საკითზე პასუხისმგებლობას აიღებს.

**— ექსპერტებში ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები არსებობს — ნაწილი თვლის, რომ ივანიშვილის წასვლით „ბელადთან“ დამშვიდობება ხდება, ზოგი თვლის, რომ ამით პოლიტიკური სისტემის მოშლა დაიწყება. თქვენი პროგნოზი როგორია?**

— არჩევნების მერე, ქვეყანაში, სერიოზულ ქაოსს ვვარაუდობ.

**ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ კულუარულად შეძლებს პროცესების მართვას. ვთვლი, რომ ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდება.**

გარდა ამისა, ვფიქრობ, ივანიშვილს ჯერ დაპირებების შესრულების მძლავრი ბაზა უნდა შეექმნა. ქაოსს ვვარაუდობ იმიტომ, რომ ვთვლი — ყველა სახელისუფლო ბერკეტი მოშლილია. შეიძლება ძალიან რთული, მტკივნეული პროცესი განვითარდეს და ღია ქაოსის პროცესში დავიწყოთ ცხოვრება. პოლიტიკური პარტიები აუცილებლად დაიწყებენ ბრძოლას მზის ქვეშ ადგილისთვის, მეტი ადამიანის გადაბირებისთვის, რათა ადგილობრივ არჩევნებში გაიმარჯვონ. კოალიციაში ყოველგვარი პარტნიორული თანამშრომლობა დაირღვევა. ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ივანიშვილის წასვლა უნდა მომხდარიყო თანდათანობით, ასეთ წასვლას კი, შესაძლოა, ძალიან ნეგატიური შედეგები მოჰყვეს.

**— თუმცა, ივანიშვილი გვაიმედებს, კომპეტენტურ გუნდს დაგიტოვებთო.**

— კომპეტენტურ გუნდს ვერ დატოვებს და უახლოესი ერთი წლის მანძილზე ასეთი გუნდის შექმნა წარმოუდგენელია. სამთავრობო გუნდი, რაც არსებობს, კომპეტენტური არაა, ის ერთ კაცზე — ივანიშვილზეა დამოკიდებული.

**— ივანიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ „ნაციონალები“ ჩვენი ძმები არიან, რატომ უნდა დავშორდეთ მათო. რას ნიშნავს ეს განცხადება — გამოდის, რომ ხალხის და ივანიშვილის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა?**

— იცით, საქმე რაშია, ყურადღება მიაქციეთ ერთ ფაქტს — ივანიშვილის ნათქვამი ხშირ შემთხვევაში, სხვა აუდიტორიისთვის, ანუ დასავლეთზეა ორიენტირებული, მაგრამ ზოგჯერ მას ზედმეტი მოსდის. მაგალითად, მოვიყვან ირაკლი ალასანიას გამოსვლას აშშ-ში, რომელმაც განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია. ჩემთვის ძალიან გასაგები და ნათელი იყო, რაც ალასანიამ თქვა — მან საქართველოს ყველა ყოფილი პრეზიდენტის პოლიტიკური ღვაწლი, რაც პოზიტიური გაუკეთებიათ, დააფასა. ეს ცივილიზებული მიდგომაა, მაგრამ გააჩნია, ამ ადამიანებს დითირამბებს რა დოზით მიუძღვნი. ალასანიამაც გადააჭარბა და ამიტომაც გამოიწვია ასეთი უარყოფითი რეაქცია, თორემ აზრი მისაღებია. მაგრამ ერთია ფორმა და მეორეა — მისი შინაარსი. ამ შემთხვევაშიც ასეა — საზოგადოება, რომელიც „ნაციონალების“ მიმართ უაღრესად აგრესიულადაა განწყობილი, ასეთი ტიპის ფორმას არ მიიღებს. ეს ივანიშვილს უნდა სცოდნოდა.

**— 27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია მართლაც დასრულდება?**

— როგორ დასრულდება 27-ში კოაბიტაცია, როცა შეიძლება მეორე ტური დაინიშნოს? გარდა ამისა, ვერ ვხედავ კოაბიტაციის დასრულების მოცემულობას იმიტომ, რომ პოლიტიკოსების ერთი ნაწილი „ნაციონალებთან“ არათუ კოაბიტაციის, არამედ სიმბიოზის მდგომარეობაში იმყოფება. მთავარი სააკაშვილის ან „ნაცმოძრაობის“ გასამართლება კი არ არის, არამედ რეჟიმის. ჩემი პირადი ამოცანაა რეჟიმი გასამართლდეს. თუ საქართველოს მომავალმა ხელისუფლებამ ეს საკითხი არ მოაგვარა — **9-წლიან რეჟიმს თუ შეფასება არ მისცა, მაშინ ყოველთვის ასეთ მდგომარეობაში ვიქნებით. ვთვლი, რომ ასევე, ზვიად გამსახურდიას ე.წ. „ბუნტის“ პერიოდის, შევარდნაძის პერიოდის შეფასებაც უნდა მოხდეს.**

ჩილეში ტრიბუნალი შეიქმნა, რომელშიც არა მხოლოდ მოსამართლეები, არამედ ჟურნალისტები, ემიგრაციის წარმომადგენლები, ზოგი პოლიტიკური მოღვაწეც შედიოდა. მაგრამ, ხაზგასმით ვამბობ, არ შედიოდნენ ის ადამიანები, რომლებიც რეჟიმისგან დაზარალდნენ. ასეთი ტიპის ტრიბუნალი უნდა შეიქმნას, ამაში პრობლემატურს ვერაფერს ვხედავ. აქ დაჭერაზე როდია ლაპარაკი. მთავარია, საბოლოო ფორმულირება — რეჟიმი დანაშაულებრივი იყო და ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს.

**— ივანიშვილის კიდევ ერთ განცხადებაზე მინდა გკითხოთ. ხალხის მოთხოვნა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებია, თუმცა ბატონმა ბიძინამ თქვა — ჩემი ძალიან დიდი სურვილია, ვადამდელი არჩევნები არ გაიმართოსო...**

— გაიმართება თუ არა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, ეს ქართველ ხალხზეა დამოკიდებული. ივანიშვილს შეუძლია თქვას, რა სურვილები აქვს, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს ქართველი ხალხის გადასაწყვეტია. რეფერენდუმის ჩატარება თუ მოვახერხეთ, პარლამენტს სხვა გზა არ ექნება — ამ გადაწყვეტილებას უნდა დაეთანხმოს. საქმე ისაა, რომ დღეს საქართველოს პარლამენტის წევრების დიდი ნაწილი ქართველი ხალხის სურვილებს ვერ გამოხატავს. სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ სიები, რაც ჩემს თვალწინ კომპლექტდებოდა, ფართხა-ფურთხით კეთდებოდა და







7 gv.

# თუ ვინმეს აღმაშენებლობა უნდა, ისიც გაიხსენოს, რომ დავით აღმაშენებელი არც ხორბალს ყიდულობდა რუსეთში და არც ქათმის ბარკალი შემოუზიდია ბრაზილიიდან

## თუ ეკონომიკური სტრატეგიის გარეშე გავაგრძელებთ ცხოვრებას, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ათ წელიწადში არ იარსებებს!

*საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე გვესაუბრება ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ბატონი **სანდრო თვალჭრელიძე**.*

*2002 წელს მონაწილეობდა სოროსის ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში: „საქართველოს ეკონომიკური პრიორიტეტები, რეტროსპექტული ანალიზი და უახლოესი პერსპექტივა“, 2011 წლის ნაშრომში „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა“ თანამოაზრეებთან ერთად ასაბუთებდა, რომ საქართველოს აღორძინება მხოლოდ ადგილობრივ რესურსებზე დაყრდნობით სრულიად შესაძლებელია.*

**-ბატონო სანდრო, რა ბუნებრივ რესურსებს ფლობს საქართველო?**

- საქართველო ფლობს პრაქტიკულად ყველა რესურსს, რომელიც სჭირდება ქვეყანას დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. სხვანაირად საქართველო 5 ათასი წლის განმავლობაში ვერ იარსებებდა. დავით აღმაშენებელი ხორბალს არ ყიდულობდა რუსეთში და არც ქათმის ბარკლები შემოუზიდია ბრაზილიიდან. საქართველო თავის თავს ინახავდა და ახლაც შეუძლია მშვენივრად შეინახოს თავი, ოღონდ ეს არ კეთდება. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, არის არასწორი მენეჯმენტი, არასწორი სოციალური ფსიქოლოგია და არასწორი სახელმწიფო მართვა.



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რესურსები არის ნამდვილი სამოთხე, წელიწადში 2-ჯერ შეიძლება მოსავლის აღება. მაგრამ ყურძნის ქვეყანაში, მაგალითად „გუდვილში“ რომ შეხვიდეთ, ქართულ ყურძენს ვერ ნახავთ. იმპორტირებული ყურძენი იყიდება. ეს არის შედეგი 8-წლიანი აბსოლუტურად არასწორი სახელმწიფო მართვის, რომელმაც მთლიანად მოსპო საქართველოს ეკონომიკა და გაუქრო განვითარების პერსპექტივა. თუ ეს ყველაფერი ნელ-ნელა არ შეიცვლება, საქართველო 10 წელიწადში, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა ,არ იარსებებს.

**-ამის თავიდან ასაცილებლად რა უნდა გაკეთდეს?**

- საჭიროა პრიორიტეტების მთლიანად შეცვლა და ხელშეწყობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა. საქართველოში არ არსებობს ეკონომიკური პროგრამა. საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ცხოვრობს ეკონომიკური სტრატეგიის გარეშე. ჯერჯერობით არც „ქართულ ოცნებას“ შეუმუშავებია. უკვე 10 თვე გავიდა, მაგრამ სხვა დოკუმენტი „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის გარდა არ არსებობს. იქაც ყველაფერი აღწერილია ზედაპირულად და არა ეკონომიკური გათვლების საფუძველზე.

**-ეს რას უნდა დავაბრალოთ? რატომ არ გვყავს კომპეტენტური ეკონომისტები?**

-როგორ არ გვყავს, მაგრამ ისინი მოთხოვნადი არ არიან. ახლა უკვე ხდება პროფესიონალთა მოთხოვნა. მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ ჩვენი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი იყო ქალბატონი, რომელსაც არ ჰქონდა უმაღლესი განათლება. ტორონტოს უნივერსიტეტში ჰქონდა 2 წელი გავლილი, მაგრამ ვერც ერთი გამოცდა ვერ ჩააბარა. ასეთ ადამიანებს თუ ჩააბარე სახელმწიფო, რა თქმა უნდა, იქნება ყველაფერი ძალიან ცუდად. მანამდე იყო კახა ბენდუქიძე, რომელიც მიზანდასახულად სპობდა საქართველოს ეკონომიკას. ასეთ სიტუაციაში ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა ნამდვილად არ არსებობდა.

გარდა ამისა, საუბედუროდ, ქართული კანონმდებლობა არ არის სინქრონიზებული დასავლურ კანონმდებლობასთან.

პარადოქსია, მაგრამ ჩვენ დღემდე ვსარგებლობთ წიაღის შესახებ რუსული კანონმდებლობით. თუმცა თავად რუსებმა ეს კანონმდებლობა შეცვალეს, წავიდნენ დასავლური გზით, ჩვენ არ წავსულვართ.

ეს ხდება ქვეყანაში, რომელიც დასავლეთისკენ მიისწრაფვის საბჭოთა კანონებით.

**— გასაოცარია, ამას რა ახსნა შეიძლება ჰქონდეს?**

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში ჩვენ დავწერეთ, თებერვალში მზად იყო სამთო-გეოლოგიური კოდექსი, რომელიც პარლამენტს გადავუგზავნეთ, მას შემდეგ 6 თვე გავიდა, მაგრამ ძვრა არ აქვს.

**-ბატონო სანდრო, თქვენ ამბობთ, რომ საქართველოს ეკონომიკური პროგრამა არ აქვს. „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამა ხომ წარადგინა?**

-ეკონომიკური პროგრამა არ წარუდგენია, წარმოადგინეს საარჩევნო პროგრამა. წარმოადგინეს რაღაც ძალიან ზოგადი პრინციპები, რომელზეც ეკონომიკა უნდა დაფუძნდეს. ეკონომიკურ პროგრამაზე ახლა მუშაობენ, გაზაფხულზე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა შექმნა ჯგუფი, რომელიც ამ პროგრამას ამუშავებს. აგერ უკვე 6 თვეა ვერ შეიმუშავეს ვერაფერი. ჯერჯერობით ეკონომიკური პროგრამის შედგენის ხელშესახები რეზულტატები არ გვაქვს. 22 წლის განმავლობაში საქართველოში ვერ მოხერხდა ეკონომიკური პროგრამის განვითარების კი არა, კონცეფციის შემუშავება. ჩვენ არ ვიცით, რა სახელმწიფოს ვაშენებთ. ვაშენებთ გერმანული ტიპის დემოკრატიას, სკანდინავიური ტიპის დემოკრატიას, ანგლოსაქსური ტიპის დემოკრატიას თუ ფრანგული ტიპის, არაფერი ვიცით.

**-რატომ არ ვიცით? ვიცით. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მეორე სინგაპურს გვპირდებოდა, პრემიერი ივანიშვილი მეორე დუბაის დაგვპირდა.**

-არც ერთში მინდა ვიცხოვრო, არც მეორეში. დუბაი არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ სპარსეთის ყურეზე დგას, იქ არის არაჩვეულებრივი, ყველაზე დიდი მსოფლიოში ნავთობის მარაგები და გაზი. რომ არ ყოფილიყო საუდის არაბეთი, არ იქნებოდა დუბაი.

**-საქართველოს რისი კაპიტალიზაცია შეუძლია?**

-მოდით, მარტივ მაგალითს მოვიყვან. ვთქვათ, თქვენ ფლობთ რაღაც საბადოს.

-არ აქვს მნიშვნელობა, რა საბადოს ფლობთ, მარგანეცის, ოქროს, სპილენძის. მაგრამ არანაირი ფული, რომ ეს საბადო დაამუშაოთ, თქვენ არ გაქვთ. დასავლეთში ადამიანს ასეთ შემთხვევაში აქვს 2 შესაძლებლობა: აქვს ლიცენზია, რაც ჩვენი კანონმდებლობით არის არამატერიალური ქონება, მათი კანონით კი არის მატერიალური ქონება, იმიტომ, რომ ლიცენზიის მფლობელს აქვს ხელმისაწვდომობა რესურსებზე. არავითარი მარაგების კომისია იქ არ არსებობს, კომპეტენტური პირის ხელმოწერაა საკმარისი, რომელსაც ცნობს ორი ინსტიტუტი, ბანკი და სასაქონლო-საბითუმო ბირჟები.

ასე რომ, თუ თქვენ გაქვთ რაღაც ქონება, ანუ არამატერიალური ლიცენზია, შეგიძლიათ მოახდინოთ თქვენი რესურსების მეშვეობით მისი კაპიტალიზაცია. არამატერიალურ ლიცენზიას ცნობს ბანკი და გაძლევთ სესხს. ცნობს ბირჟა, როგორც მატერიალურ ქონებას და გაძლევთ აქციების ემისიის საშუალებას. ორივე შემთხვევაში თქვენ იღებთ ფულს. ოღონდ კაპიტალიზაციას სჭირდება კანონის მეშვეობით ერთი ეკონომიკური პარამეტრის ცოდნა, რომელსაც ქართულად ეწოდება ბიზნესის დისკონტირებული ღირებულება.

**-ბატონო სანდრო, მაგალითად, ქალაქ ჭიათურაში ხდება მარგანეცის მოპოვება. ცნობილია, რომ მსგავსი ხარისხის მარგანეცი მსოფლიოში არსად არის. მიუხედავად იმისა, რომ არის ასეთი სიმდიდრის პატრონი, ჭიათურა იხრჩობა სიღარიბეში.**

- მე ხომ დაგისვით კითხვა, რა ტიპის ეკონომიკას ვაშენებთ. თუ ჩვენ ვაშენებთ ეკონომიკას, რომელსაც გვთავაზობდა და ახლაც გვთავაზობს კახა ბენდუქიძე. მაშინ კახა ბენდუქიძის მიდგომა ასეთია: ჭიათურა არის ჩემი, მე ვიყიდე ეს ლიცენზია და რასაც მინდა, იმას ვაკეთებ. არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ასეთი მიდგომა არ არსებობს.

**-კახა ბენდუქიძე აღარ არის ხელისუფლებაში, იგივე მიდგომა რატომ დარჩა?**

-იმიტომ რომ ლიცენზიები კახა ბენდუქიძის დროს გაიყიდა, ახლა მისი სალიცენზიო პირობების შეცვლა ძალიან ძნელია. ამაზე დიდი ხანი, რამდენიმე წელი მოუწევს მთავრობებს თანმიმდევრულად მუშაობა. ჭიათურა კახა ბენდუქიძემ გაყიდა.

ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში როცა ყიდულობ რაღაც საბადოს და იწყებ ნებისმიერ ბიზნესს - სამთო ბიზნესს, შაქრის წარმოებას თუ კაპიტალურ მშენებლობას, ყიდულობ ამავე დროს სოციალურ ვალდებულებებს.

განსაკუთრებით ეს არის ისეთ თითქოს ულტრალიბერალურ ქვეყანაში, როგორც მაგალითად აშშ-ი, სადაც შენ ყიდულობ ამ სოციალურ ვალდებულებებს. ეს სოციალური ვალდებულებაა დაასაქმო ადგობრივი მოსახლეობა, შექმნა საპენსიო ფონდი და ა.შ.

მე მიმუშავია უცხოეთში ფირმის გენერალურ მენეჯერად, დასავლეთში კანონმდებლობა იძლევა საშუალებას ნაკლები დაიხარჯოს სოციალურ პროექტებზე და მეტი დივიდენდები გასცე ინვესტორზე. მე თუ დავიწყე მოსახლეობაზე ზრუნვა და ნაკლები დივიდენდები გავეცი ინვესტორებზე, მომხსნიან სამსახურიდან.

**-ჩვენს რეალობაში?**

-ნებისმიერ რეალობაში. არსებული კანონმდებლობიდან მე ყველაზე მეტი სარგებელი უნდა მოვუტანო ინვესტორს. ჩემი, როგორც ინვესტორის მოვალეობა არ არის საქართველოს მოსახლეობაზე ზრუნვა, საქართველოს მოსახლეობაზე ზრუნვა საქართველოს მთავრობის პრეროგატივაა. საქართველოს მთავრობამ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ ინვესტორმაც ნახოს მოგება და მოსახლეობაც იყოს დაცული. ეს არის ამერიკელი ეკონომისტების მიერ შემუშავებული სოციალური ბალანსი. ამაზე მუშაობდა ნობელის პრემიის ლაურეატი დუგლას ნორსი, ახლა მის ინსტიტუტს განკარგავს ისრაელის მოქალაქე იტაი სენედი, ერთ-ერთი საუკეთესო ეკონომისტია მთელ მსოფლიოში. კარგად ვიცნობ პირადად, ჩემი მეგობარია. ის, რაც ბარაკ ობამამ აიღო თავის სოციალურ პაკეტში, არის იტაი სენედის მიერ შემუშავებული. სოციალური ეკონომიკა შედგება რამდენიმე სართულისგან, მოგება ხდება ბოლო საფეხურზე. პირველი საფეხურია ის სოციალური გარემო, რომელიც უნდა შექმნას შენმა ინვესტიციამ და შენმა ბიზნესმა. ასეთი მიდგომების შემუშავებაა საჭირო საქართველოში. ასეთი ტიპის სოციალურად, ეკონომიკურად დასაბუთებული პროგრამის შემუშავებაა საჭირო. თუმცა მეჩვენება, რომ ჩვენ ჯერჯერობით ფილოსოფიურად ამის შეგნებამდე ვერ მივედით.

**-გამოდის, რომ პარლამენტში არ არიან შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები?**

-არც ერთი ქვეყნის პარლამენტში პარლამენტარის მიმართ მოთხოვნა არ არის იყოს ან იურისტი, ან ეკონომისტი. ქვეყნების პარლამენტში არიან პოლიტიკოსები. როგორც წესი მათ აქვთ მიღებული პოლიტიკურ მეცნიერებათა განათლება. არის, რა თქმა უნდა, გამონაკლისები. მაგრამ პარლამენტებთან არსებობს უზარმაზარი კვლევითი სტრუქტურები, ნებისმიერი ქვეყნის პარლამენტის ირგვლივ შექმნილია უზარმაზარი კვლევითი ცენტრები, რომლებიც პარლამენტისთვის ამუშავებენ კანონებს. თქვენ გგონიათ პარლამენტის წევრები წერენ კანონებს? არა. ამ კანონებს უმზადებენ შესაბამისი კვლევითი ინსტიტუტები. თავის დროზე ბატონმა გია ჟორჟოლიანმა ასეთი ტიპის კვლევითი სამსახური შექმნა საქართველოში, სადაც საუკეთესო ჰუმანური რესურსები იყო გაერთიანებული. მაგრამ მას შემდეგ, რაც მოხდა მას და ზურაბ ჟვანიას შორის, ზურაბ ჟვანიამ ეს დაწესებულება გააუქმა. მერე სხვანი, არ მინდა დავასახელო ვინ, ხელმძღვანელობდნენ ამ კვლევით სამსახურს, მაგრამ ის გადაგვარდა. თავისი ფუნქცია ველარ შეასრულა. ახლა პარლამენტმა აუცილებლად უნდა შექმნას ასეთი სამსახურები.

საქართველოში არ არსებობს არც ერთი დაწესებულება, რომელიც საზოგადოების მდგრად განვითარებაზე იფიქრებდა, შეიმუშავებდა კონცეფციებს.

საქმეა, რომ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მოდელს ქმნის თავდაცვის სამინისტრო?!

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**-დაუჯერებელია**

-დიახ, ასეთ პარადოქსულ ქვეყანაში ვცხოვრობთ.

**-ალბათ, ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა ყველაფერი ისე იყოს, როგორც არის.**

-არ მეჩვენება, რომ ეს იყოს მთავრობის პოლიტიკური ნება. მეჩვენება, რომ ეს არის პოლიტიკური გამოუცდელობა. მთავრობის წარმომადგენლებმა, პრეზიდენტობის კანდიდატებმა რომ იცოდნენ არ გააკეთებდნენ? გააკეთებდნენ, მაგრამ არ ესმით. ტექნიკურ დონეზე არ უთანამშრომლიათ სხვადასხა ქვეყნების მთავრობებთან. არ არის შექმნილი საქართველოში, კარგი გაგებით, ბიუროკრატიული ფენა, რასაც თეთრ საყელოებს ეძახიან. ნებისმიერ ქვეყანაში როცა იცვლება მინისტრი, იცვლება მხოლოდ ერთი პოლიტიკური ფიგურა. შეიძლება, პირველი მოადგილეც შეიცვალოს, მაგრამ დეპარტამენტის ხელმძღვანელების დონეზე ყველა ადგილზე რჩება. დასავლეთში ძალაუფლების გადაცემა ხდება ძალიან ხავერდოვნად.

ჩვენს ქვეყანაში ჯერ ბევრია გასაკეთებელი. შეიძლება ქვეყანაში მეცნიერებაზე კაპიკი არ იხარჯებოდეს? და როცა მე ვაბარებ საბუთებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვაგებ კონკურსს.

**-რექტორის თანამდებობაზე შეიტანეთ განაცხადი?**

-არა, პროფესორის თანამდებობაზე.

**-გინდათ თქვათ, რომ რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში ლექციებს არ კითხულობთ?**

-არ ვკითხულობ არსად ლექციებს, თუმცა ჩემს მიერ აშშ-ი გამოცემულ წიგნს ''ნედლეულის ეკონომიკა და სანედლეულო ბაზრები'' სწავლობენ ჰარვარდის უნივერსიტეტში.

**-პირადად მე ამ ყველაფერს პოლიტიკურ**



**ნებას ვაბრალებ**

-არა მგონია, ეს პოლიტიკური ნება იყოს. ამ მთავრობამ, ''ქართულმა ოცნებამ'' ძალიან ბევრი გააკეთა, შეგვიქმნა მომავლის იმედი. ოღონდ ახლა ნელ-ნელა საჭიროა მათი მუშაობის ეფექტურობის მკვეთრი გაზრდა. როდესაც დაიდება ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, ვნახოთ.. ალბათ საჯაროდ მოხდება მისი განხილვა. ყოველ შემთხვევაში თანამედროვე სანედლეულო ბაზარს, რომელიც არის ბაზა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, აგდებენ საქართველოდან. საქართველო ვერ იყენებს ვერაფერს.

ა) ვერც თავის ბუნებრივ რესურსებს, რომლითაც ძალიან მდიდარია;

ბ) ვერც თავის სტრატეგიულ გეოეკონომიკურ პოზიციას.

ბოლოს და ბოლოს არც სომხეთს, არც აზერბაიჯანს ობშორულ ზღვაში გასასვლელი არ აქვთ. ობშორულ ზღვაში მხოლოდ საქართველოს გავლით შეუძლიათ გავიდნენ. ამიტომ, ჩვენ გაცილებით უფრო ეფექტურად შეგვეძლო გამოგვეყენებინა ყველა რესურსი, ყველა შესაძლებლობა.

- **თქვენ მონაწილეობდით სასმელი წყლის პროექტში**

-სასმელი წყალი საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული რესურსია. არტეზიული მიწისქვეშა სასმელი წყლის მარაგები ჩვენთან გაცილებით მეტია, ვიდრე მთელ ევროპაში. ჩვენ დღეს თავისუფლად შეგვიძლია 6 მილიონი ტონა, ანუ 6 მილიარდი ლიტრი წყალი დღეში მოვიხმაროთ. 2020 წლისთვის ევროპაში სასმელი წყლის დეფიციტი იქნება 20%-ი. რა თქმა უნდა 6 მილიარდი ლიტრის გატანა დღეში ბოთლით არ შეიძლება. ერთადერთი შესაძლებლობაა წყალსადენის აშენება, საქართველო-ევროპა.

**-ნავთობსადენის მსგავსად.**

-დიახ, ნავთობსადენის მსგავსად, მაგრამ ნავთობსადენისგან განსხვავებით წყალსადენი ეკოლოგიურად სუფთაა, შეიძლება არც დაიმარხოს. ე.ი. უფრო იაფი იქნება მისი მშენებლობა. მაგრამ ვინაიდან წყალსადენი გაივლის 7 ქვეყანაში, საჭიროა ევროკავშირის ინიციატივა. არ შეიძლება ეს პროექტი მხოლოდ საქართველომ განახორციელოს.

**-ბატონო სანდრო, თუ არ ვცდები ,,ვარდების რევოლუციამდე" ედუარდ შევარდნაძემ უკვე მიიღო გადაწყვეტილება კორპორაციის შექმნის შესახებ.**

-იდეა ამ კორპორაციის ამუშავების შესახებ მზად იყო 2003 წლის ზაფხულში. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, კორპორაციამ, როგორც მახსოვს, სულ 2 თვე იარსება. კორპორაციას არაფერი გაუკეთებია. ძალიან კარგად მახსოვს, რომ ბატონ ჰამლეტ გეგიასთან ერთად ამაზე ვმსჯელობდით.

**-ბატონო სანდრო, რას იტყვით სააქციო საზოგადოებების, ფასიანი ქაღალდების შემოღების შესახებ?**

-ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს, ოღონდ ამისთვის რამდენიმე რამ არის გასაკეთებელი. პირველი, არავითარი აზრი არ აქვს ფასიანი ქაღალდების შექმნას ნაციონალურ დონეზე. ქართული ბაზარი ძალიან პატარაა. საქართველოში არსებობს კავკასიის ბირჟა, კვირაში ერთხელ მიდის ვაჭრობა. კავკასიის ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა გიორგი ლოლაძე, შეგიძლიათ ჰკითხოთ რას აკეთებენ. ყიდიან, ყიდულობენ რაღაც ქაღალდებს. მეორე, ასეთი ტიპის ბირჟა უნდა და შეიძლება დაფუძნდეს მხოლოდ თბილისში, მას კავკასიური ხასიათი უნდა მიეცეს. და მესამე, არ შეიძლება მხოლოდ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა.

- **რატომ?**

- ფასიანი ქაღალდების კავკასიურ ბირჟასთან ერთად უნდა შეიქმნას სანედლეულო ბირჟა. ამას სჭირდება კანონების მკვეთრი სინქრონიზაცია. ბირჟამ რომ იმუშაოს ნორმალურად, აუცილებელია ამუშავდეს სრული მოცულობით ანტიმონოპოლური კანონმდებლობა. და კიდევ, იმისთვის, რომ ბირჟამ იმუშაოს, მას უნდა მისცე შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური ინსტრუმენტების გარეშე ის განწირულია დასახურად.

აქციათა პაკეტის 16%-ი ეკუთვნის კომპანიის მფლობელს, დანარჩენი 84 %-ი უნდა ტრიალებდეს ბირჟაზე, სწორედ აქ შეიძლება იყონ ჩართულები ჩვეულებრივი ადამიანები. ისინი ყიდულობენ ფასიანი ქაღალდების პაკეტებს და ამ ფასიანი ქაღალდების ხარჯზე იღებენ შესაბამის დივიდენდებს, დამატებით შემოსავალს.

დასავლეთში ჩვეულებრივი ადამიანის შემოსავლის ნახევარი არის პირდაპირი საქმიანობიდან, ხოლო მეორე ნახევარი სწორედ აქციების საშუალებით. ჩვენ ვუკარგავთ ჩვენ მოსახლეობას შემოსავლის ნახევარს. რა თქმა უნდა, კაპიტალურ ბაზარზე ზოგი კოტრდება, ზოგი მდიდრდება, მაგრამ ამ ბაზრის არსებობის გარეშე ჩვენ თანამედროვე მსოფლიოში ფეხს ვერ შევდგამთ.

**ელენე ბარათაშვილი**
555 57 49 35

# არჩევნების მერე, ქვეყანაში სერიოზულ ქაოსს ველოდები — ჩვენ კატასტროფის რეჟიმში ვცხოვრობთ!

5 gv.

სიაში ძალიან ბევრი შემთხვევითი ადამიანი მოხვდა. ეს ხალხი ნამდვილად არაა იმ ადამიანების ჯგუფი, ვინც ერს უნდა რომ პარლამენტში იყოს. ვხედავთ, რომ პარლამენტის მუშაობა არაა ისეთი პროდუქტიული, როგორც დღეს ქვეყანას სჭირდება.

**— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მომხრე საპრეზიდენტო კანდიდატს — ბურჯანაძეს აქტივისტები ,,ოცნების" რიგებიდან უერთდებიან...**

— ამის მთავარი მიზეზი შემდეგია — ხალხის უმრავლესობა, რომელმაც მოძრაობა ,,ქართული ოცნება" დაიწყო, პროცესებს მიღმა აღმოჩნდა. ეს ადამიანები, ვინც ,,ნაცების" წინააღმდეგ ამდენი იბრძოლეს, ხედავენ, რომ თანამდებობებზე ისევ ,,ნაცები" არიან. ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ამ სურათს შეცვლის, ყველა დაისჯება და იმიტომაც მოაწყდა მას ხალხი. სამწუხაროდ, ვინც ეს ბრძოლა დაიწყო, მათი 90% დღეს ქუჩაშია — როგორ მდგომარეობაშიც იყო აქამდე სოციალურად თუ მორალურად, დღესაც იგივე მდგომარეობაშია. ისინი, ივანიშვილს ამას არ აპატიებენ.

**— ის, რომ ივანიშვილი, მარგველაშვილი წინა საარჩევნოდ იმ განცხადებებს აკეთებენ, რაც ხალხის ნება-სურვილს ეწინააღმდეგება, ხომ არ ნიშნავს, რომ ამ ,,შეცდომებს" შეგნებულად უშვებენ? ამით ხომ მოწინააღმდეგის წისქვილზე ასხამენ წყალს. ხომ არ აქვს ადგილი რაიმე გარიგებას, თუნდაც ხომ არ იკვეთება რუსული ინტერესები?**

— ყველენაირი ინტერესი შეიძლება იყოს, მაგრამ თუ ღრმად ჩავწვდებით ამ საკითხს, შეგვიძლია ფორმულა შევქმნათ — სიტუაციის დასაბალანსებლად,

**ივანიშვილს შესაძლოა მართლაც აწყობდეს პრო-დასავლური პარლამენტის თავმჯდომარე, ასევე, პრო-დასავლური პრემიერი და პრო-რუსული პრეზიდენტი. კი, ბატონო, შეიძლება ასე იყოს, ვთქვათ, ივანიშვილი მანევრირებს, მაგრამ მარგველაშვილი რატომ უნდა იქცეოდეს თავის საწინააღმდეგოდ?**

უბრალოდ, საქმე ისაა, რომ ივანიშვილისთვის ძალიან რთული აღმოჩნდა პოლიტიკური კონიუნქტურისათვის ის სურათი, რაც დახვდა. ამაში გარკვევა, ორიენტირება რთული აღმოჩნდა.

ამ წუთას დასავლური წრეებისთვის, ,,ნეოკონსერვატორებს" ვგულისხმობ, პრეზიდენტის პოსტი მთავარი არაა. მათთვის მნიშვნელოვანია, ,,ნაციონალების" რეანიმაცია, ადგილობრივ და შემდგომ საპარლამენტო არჩევნებში, მოხდეს. თუმცა, თვლიან, რომ პარლამენტში მათ საკმაოდ ძლიერი დასაყრდენი ჰყავთ — ესაა ალასანიას პარტია, ,,რესპუბლიკელები" და თავად დათო უსუფაშვილი. დასავლეთისთვის მნიშვნელოვანია ბოკერია და არა ბაქრაძე, რომელსაც იგი კბილებით იცავს. ასევე, დასავლეთი შეეცდება ბოკერიამ ძლიერი ოპოზიცია შექმნას, რომელიც რეიტინგული იქნება. ასე რომ, ბაქრაძეს მეორე ადგილზეც ვერ გაიყვანენ. რაც შეეხება მარგველაშვილს და ბურჯანაძეს, რთული სათქმელია, რომელი გაიმარჯვებს, მათ შანსებს 50/50 ვაფასებ. მარგველაშვილის არჩევის შემთხვევაში არაფერი შეიცვლება, ყველაფერი ძველებურად დარჩება. ბურჯანაძის შემთხვევაში — შეიცვლება.

ბურჯანაძე აუცილებლად მოინდომებს პარლამენტის გარეთ მყოფი თავისი გუნდის მთავრობაში დანიშვნას და ეს ლოგიკურიც იქნება. მარგველაშვილი ჯერ პრეზიდენტი არაა, მაგრამ უკვე მოინდომა და მთელი განათლების სამინისტრო თავისი ყოფილი თანამშრომლებით, ,,ჯიპადან" დააკომპლექტა.

**— კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე მინდა გკითხოთ. ივანიშვილმა განაცხადა, რომ სამოქალაქო სექტორში გადადის. თან გვეუბნება, რომ გვიტოვებს კარგ მთავრობას, პრეზიდენტად და პრემიერად თავის კანდიდატურებს — ხელისუფლების ყველა სეგმენტი მისი დანიშნულია. სამოქალაქო სექტორი ხომ ერთადერთი სფეროა, საიდანაც ხელისუფლების ქმედებები უნდა გაკონტროლდეს. მაგრამ როცა ხელისუფლება ივანიშვილისაა, იგი ხომ ვერ იქნება ობიექტური. ამით ხელისუფლების მონოპოლიზება ხომ არ მოხდება?**

— ამ თვალსაზრისით, ამ წუთში, ხელისუფლება მონოპოლიზებულია, რაც დემოკრატიული არჩევის საფუძველზე მოხდა. პრინციპში, ხელისუფლება ხელთ ერთ კოალიციას აქვს. შენ რასაც ამბობ, სხვაა

**— არ მინდა ის სურათი განმეორდეს, რაც იტალიაში 40-50-60-იან წლებში იყო. თუმცა სინამდვილეში, ქვეყანას საზოგადოებაში და კულუარებში არსებული ეკონომიკურ-პოლიტიკური ძალები მართავენ. არ მინდა, აქაც ასე მოხდეს, ეს მახინჯი ფორმაა.**

ვიღაც სოროსის, ტრანსნაციონალური კომპანიების მაგალითს მომიყვანს, რომელსაც აშშ-ს ხელისუფლებაზე უზარმაზარი გავლენა აქვს და გარკვეულწილად, მას მართავს კიდეც. მაგრამ იქ ისეთი მყარი დემოკრატიული საწყისები არსებობს და ხელისუფლებაზე საზოგადოების, ელექტორატის გავლენა იმდენად ძლიერია, რომ სოროსის და სხვათა გავლენა მინიმალური და მიღებული, დამკვიდრებული ფორმაა. აქ ასეთი რამ არ გამოვა, ჯერ ერთი, პატარა ქვეყანა ვართ, მეორეც, პოლიტიკური კულტურა ჩამოყალიბებული არაა. აქედან გამომდინარე, გუნდური თამაში, სამწუხაროდ, აქ ძალიან რთულია, ყველაფერი ლიდერზეა დამოკიდებული. როდესაც ეს ლიდერი რეალური ლიდერი არ იქნება, დაიწყება საბნის საკუთარ მხარეს გადაქაჩვა. ამიტომაც ვწინასწარმეტყველებ ქაოსს.

**— ასეთ სამოქალაქო სექტორში ხომ ხალხის ადგილი არ იქნება?**

— იცი, რაშია საქმე, ჩემო კარგო, ზუსტად ამიტომ საზოგადოებას კონსოლიდაციისკენ მოვუწოდებ და ვეტყვი — სამოქალაქო საზოგადოებამ დღესვე უნდა მოახერხოს კონსოლიდაცია, რათა მზად იყოს იმ ქაოსისთვის, რაც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შეიძლება მივიღოთ, რათა არ მოხდეს ხელისუფლებისთვის, ძალაუფლებისთვის ბრძოლა და პოლიტიკურმა პარტიებმა ქვეყანა არ შეიწირონ. დღეს ქვეყანა უაღრესად მძიმე მდგომარეობაშია. პრაქტიკულად, წელიწადზე მეტია, ქვეყანა პოლიტიკურ ბრძოლას გადავაყოლეთ. ამ დროს კი ისე მომძლავრდნენ ჩვენი სამეზობლოს სხვადასხვა პოლიტიკური, რელიგიური და სხვა ტიპის ძალები, რომ აბსოლუტურად არანორმალური სურათი შეიქმნა. ძალაუფლებისთვის ერთმანეთს ებრძვიან პოლიტიკოსები, ამ დროს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები კონტროლიდან გამოდის. ამიტომ **საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ივანიშვილის ხელდასმით კი არ მოხდეს, არამედ შიდა რესურსების ხარჯზე**. ვთვლი, რომ მე და ჩემმა კოლეგებმა რაიონ-რაიონ უნდა ვიაროთ იმისათვის, რომ ხალხს ავუხსნათ, რა შეიძლება რეალურად მოხდეს. ხალხი წელში გატეხილი, დაღლილია, რთულია მათი აპათიიდან გამოყვანა. ჩვენ ყველანაირი — დემოგრაფიული, სულიერი, მატერიალური კატასტროფის ზღვარზე ვართ. კატასტროფის რეჟიმში ვცხოვრობთ და ხელისუფლების უზარმაზარი ძალისხმევის გარეშე, აქედან გამოსვლა ძალიან რთული იქნება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# 1 ოქტომბრის შემდეგ ქართველი ხალხი სხვანაირი გახდა — იგი მოვლენებს აკვირდება, იბოლმება, უკმაყოფილოა და როდის იფეთქებს არავინ იცის...



გვესაუბრება ანალიტიკოსი **დემურ გიორხელიძე:**

**— ბატონო დემურ, ბიძინა ივანიშვილმა პოსტიდან წასვლის მიზეზებზე ისაუბრა. რას ფიქრობთ ამ გადაწყვეტილებაზე?**

— პრემიერის გადაწყვეტილებას აბსოლუტურად მშვიდად ვხვდები, ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ, პირიქით, თუ ქართველ ხალხს უნდა გრძელვადიან პერსპექტივაში დამოუკიდებელი სახელმწიფო ჰქონდეს, რაც მათ კეთილდღეობას მოემსახურება, მაშინ ბელადზე, პატრონზე, მარჩენალზე ფიქრი უნდა დაასრულოს.

შესანიშნავი სასტარტო პირობაა იმისთვის, რომ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ პოლიტიკურმა ლიდერებმა ერთმანეთთან ურთიერთობა და კონტაქტი ისწავლონ, ნელ-ნელა პოლიტიკური სისტემა ავაწყოთ, გამოვკვეთოთ ამ სისტემის ღერძი და სახელმწიფოს გაძლიერება დავიწყოთ.

**— გასაგებია, რომ ბელადების ეპოქა უნდა დასრულდეს, მაგრამ რა რჩება მისი გუნდიდან ივანიშვილის წასვლის შემდეგ?**

— დღეს ივანიშვილისადმი ნდობა ისეთი მაღალი აღარაა, როგორც 1 ოქტომბერს. ბუნებრივია, ხალხის იმედგაცრუება საშიშია. საზოგადოება ერთ რამეს არ დაუკვირდა — როცა ხმას ივანიშვილს აძლევდა იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობა" არ უნდოდა, ბატონი ბიძინას გუნდის სიჭრელისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ახალმა ხელისუფლებამ ჯერჯერობით ვერც ერთ ფუნდამენტურ საკითხს ვერ მოჰკიდა ხელი. მათ შორის, მანკიერ კონსტიტუციას. ასევე, საკუთარ თავზე ვერ აიღო ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი. ეს თემა 22 წელია ღიადაა დარჩენილი.

**ფაქტობრივად, ისევ საბჭოთა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სისტემაში ვართ. ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა მისი ნებაა, მაგრამ მისი განცხადება იმის თაობაზე, რომ გვიტოვებს ეფექტურ მთავრობას, რომელიც ყველა მის დანაპირებს შეასრულებს, არამარტო უსაფუძვლო, არამედ ტექნიკურად შეუძლებელი და აბსოლუტურად უპერსპექტივოა.**

ჯერ ერთი, მისი პოლიტიკიდან წასვლა პოლიტიკურ კონფიგურაციას ცვლის. ცხადია, კოალიცია არასიცოცხლისუნარიანია და დაიშლება, შეიკრიბება ახალი კონფიგურაციები და ბუნებრივია, ეს ახალ მთავრობას გააჩენს. ამდენად, ივანიშვილის განცხადება, თითქოს იგი გონიერ დროში ხელუხლებელ მთავრობას დატოვებს, ცხადია, სწორი არაა. ბატონი ბიძინა ასეთ მთავრობას ვერ დატოვებს.







**— თქვენ ამბობთ, რომ მიესალმებით ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას, მაგრამ რა სიტუაცია შეიქმნება მისი წასვლის შემდეგ? ხომ არ გამოიწვევს ეს სამოქალაქო დაპირისპირებას?**

— თუ ქართველი საზოგადოება, პოლიტიკური სპექტრი იმდენად უსუსურია, რომ პატრონის წასვლის შემდეგ გამოავლენს უუნარობას და იტყვის — არიქა, დავიღუპეთო და ერთმანეთს დავერევით, ახალი პატრონისთვის ბრძოლას დავიწყებთ, მაშინ ასეთ საზოგადოებას არ შეიძლება მომავლის პრეტენზია ჰქონდეს და ასეთი სახელმწიფო დიდხანს ვერ გაძლებს. ვიმეორებ, ივანიშვილის წასვლა არაფერს ცვლის, პირიქით, იქმნება საუკეთესო მდგომარეობა — არ არის პატრონი, ბელადი, მარჩენალი და არც ჩანს. მაშინ გონიერმა ხალხმა, რომელსაც მომავალი უნდა, ფიქრი, გვერდზე მდგომის მოსმენა, შეფასება უნდა ისწავლოს, გააკეთოს არჩევანი, თუ ვის მისცემს ქვეყანას სამართავად, დარაჯად კი თავად უნდა დადგეს. ჩვენ უნიკალური რამ ვნახეთ — ხალხის განწყობის წინააღმდეგ ნაბიჯს ვერავინ დგამს. მიუხედავად იმისა, რომ „ნაცმოძრაობას" აბსოლუტური, შეუზღუდავი ძალაუფლება გააჩნდა, ხალხის განწყობამ ეს ძალაუფლება დაამხო. ასევე ელის ყველა პოლიტიკურ ძალას, რომელიც 22 წელია ჯადოსნურ, ჩაკეტილ მანკიერ წრეზე ტრიალებს. ერთი და იგივე პოლიტიკური ფიგურები ჩვენი ხალხის მიამიტობით სარგებლობს. დროა, სახელმწიფო რომ განვითარდეს, ხალხი ცოტა კრიტიკული გახდეს.

**პირველ რიგში, მინდა ვთქვა — ეროვნულ პოზიციებზე მდგომი ახალი სერიოზული ძალების გაჩენას უნდა ველოდოთ. სიმართლე გითხრათ, საქართველოში პრორუსულ და პროდასავლურ ძალებს არანაირი პერსპექტივა არ აქვთ. მათ ავიწყდებათ, რომ პირველ რიგში, მთავარი ხელუხლებელი ქართული სახელმწიფო, ხალხი, მისი კულტურაა და ა.შ.**

**— ივანიშვილმა ახლახან ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე ახსენა — თუ მარგველაშვილი ვერ გაიმარჯვებს, მე თავისუფალი ვიქნები ვალდებულებებისგან და წავალო. რამდენად სერიოზულია ასეთი განცხადება?**

— გითხრათ სიმართლე, ამის მოსმენამ შოკში ჩამაგდო იმიტომ, რომ ეს აბსოლუტურად არასწორი განცხადებაა. ქართველი ხალხის ნდობა ივანიშვილისადმი პირობითი არ ყოფილა. ანუ ხალხს არ უთქვამს — თუ შენს შემოთავაზებულ კანდიდატს ავირჩევთ, პირობა შეგვისრულე თუ არადა ხელებიც დაგიბანიაო. ქართველი ხალხი ენდო ივანიშვილს, თუმცა მოლოდინი გადაჭარბებული იყო და ახლა საჭიროა ამ მოლოდინების რეალიზაცია. ივანიშვილმა პოლიტიკური თვალსაზრისით, აბსოლუტურად მოუმზადებელი კანდიდატის წარდგენა, რომელსაც არანაირი პოლიტიკური ბექ-რაუნდი არ გააჩნია, არ ვიცით მისი პოლიტიკური აზროვნება, რაც ახლა გვესმის, კატასტროფაა, მარგველაშვილისგან პოლიტიკოსი ისევე არ გამოვა, როგორც ჩემგან კარგი მომღერალი ვერ დადგება. ამიტომ, ამ პოზიციებიდან, პირველი პირის ასეთი განცხადება, აბსოლუტურად შეუფერებელი იყო. ეს მილიონობით ადამიანის ნდობის იგნორირებაა.

**— რა გავლენას მოახდენს მარგველაშვილზე ივანიშვილის წასვლას?**

— ცხადია, არ ვფიქრობ, რომ რომელიმე კანდიდატი უალტერნატივოა. პირიქით, ახლა კარგი დროა იმისათვის, რომ ქართველი ხალხი ამ კანდიდატში არ ჩაიტკეტოს. სხვებსაც უნდა მოვუსმინოთ, ყველაფერი ავწონ-დავწონოთ და გადაწყვეტილება მივიღოთ. ჩვენ ბაქრაძე-მარგველაშვილი-ბურჯანაძის მეტი თუ არაფერი გვინდა ამ ქვეყანაზე, მაშინ საშველი არ ყოფილა. წინასწარ გეტყვით, რა თქმა უნდა, დღეს საქართველოში ახალი შედეგი ვერ დადგება, მაგრამ ის შედეგი, რომელიც დადგება, იქნება უშედეგო იმიტომ, რომ ჯერჯერობით ქართველი ხალხი სხვა გადაწყვეტილებისთვის მზად არაა.

**— გამოდის, მნიშვნელობა არ აქვს, ამ ეტაპზე ქართველი ხალხი ვის აირჩევს?**

— ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი შედეგით დამთავრდება არჩევნები. თუ ისევ ბრმა არჩევანი გაკეთდა, არაფერი შეიცვლება. არჩევანი ნიშნავს, რომ მისი მაღალი ხარისხით პროგნოზირება შეუძლებელი უნდა იყოს.

**თუ ქართველმა ხალხმა არჩევანი ოთხ-ხუთ კანდიდატს შორის გადაანაწილა და მეორე ტური დაინიშნა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენმა ხალხმა ფიქრი დაიწყო, ეს უნიკალური მოვლენა იქნება. თუ ერთმა პიროვნებამ მიიღო 50-60%, მაშინ შედეგი არ გვექნება. თუ დაინიშნა მეორე ტური, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ, როგორც ამომრჩეველი შევდექით და ბრმად აღარ ვენდობით ლიდერის სიტყვებს, არამედ ვენდობით საკუთარ გონებას და ვიწყებთ ფიქრს.**

ამ ეტაპზე ივანიშვილის წასვლა პოლიტიკიდან სწორედ იმიტომაა კარგი, რომ იგი უბელადო სიტუაციაში ქართველ ხალხს ფიქრისკენ უბიძგებს. ეს დიდი რამაა.

**— ერთ მნიშვნელოვან საკითხზეც მინდა გკითხოთ — ივანიშვილმა განაცხადა „ნაციონალები" — ეს ჩვენ ვართ, ჩვენი ნაწილია და ვერსად გავუშვებთო. რას ნიშნავს ეს განცხადება?**

— პირდაპირ გეტყვით, ეს პოლიტიკური თვითმკვლელის განცხადებაა. „ნაცმოძრაობა" ქართული საზოგადოების შემადგენელი ნაწილია, ამდენად, მისი მომავალი მის პოლიტიკურ ლიდერებზეა დამოკიდებული და იმაზე, თუ როგორ დაუმტკიცებენ ქართველ ხალხს თავიანთ პოლიტიკაში ყოფნის აუცილებლობას. თუ პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ხალხმა სულ სხვა რამის, სხვა მოლოდინების გამო მისცა ხმა, ამბობს, რომ „ნაცმოძრაობა" მისი ნაწილია, მაშინ კეთილი ენება, „ნაცმოძრაობასთან" შეერთებულიყო, მიეღო ერთი პოლიტიკური პარტიის სახე, ჩადგომოდა ამ პარტიას სათავეში და ხალხისთვის ეთქვა, რომ ასე მიაჩნია სწორად. მაშინ ქართველი ხალხი სხვაგვარად გადაწყვეტდა მის მომავალს. ხელისუფლებაში აგირჩიეს, ქვეყანა დაქცევის პირასაა, 70%-იანი უმუშევრობა და იმის ნაცვლად, რომ სამართლებრივ სფეროში რადიკალური რეფორმები გაატარო, მთავარ მიზნად „ნაცმოძრაობის" გადარჩენა გაქვს, ასე ისეთ რისკზე მიდიხარ, რითაც შესაძლოა, საკუთარი სახელი და ავტორიტეტი დაასამარო. ქართველი ხალხი ერთი მხრივ, მიამიტია, ბრმად მოგყვება, მაგრამ რაღაც ეტაპზე, როცა დარწმუნდება, რომ მოატყუეს, მერე დაუნდობელი ხდება. ამიტომ არ ვურჩევდი ბატონ ბიძინას ასეთი განცხადებების კეთებას.

**— ამ ფონზე, რას მივიღებთ მარგველაშვილის გაპრეზიდენტებით, რა შედეგი დადგება?**

— ჩემთვის გაცილებით უფრო მისაღებია მარგველაშვილი, რომელიც იტყვის, რომ იგი „თავისუფლების ინსტიტუტის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, „სოროსის" ფონდელია, ამიტომ იგი ერთგული რჩება თავისი შეხედულებების და იმ ადამიანებთან ერთად გააგრძელებს პოლიტიკას, ვისთან ერთადაც გზა განვლო. ამის თქმა, ჩემთვის, ათასჯერ უფრო წესიერი, მისაღები იქნება იმიტომ, რომ ასე შევაფასებ, რამდენად მაწყობს, მივცე ხმა, ვიდრე ის მარგველაშვილი, რომელიც გაუგებარ რაღაცებს მეუბნება. საერთოდ, მინდა კითხვა დავსვა — რომელი პოლიტიკური პარტია დგას მარგველაშვილის უკან? — რომელი სტაბილური, მსოფლმხედველობის მქონე პარტია, რომელიც გრძელ-

ვადიან პერსპექტივაში მოიაზრებს მარგველაშვილს, როგორც პოლიტიკურ ლიდერს? ვინ არის ასეთი — „ქართული ოცნება“? — ბიძინა ივანიშვილის წასვლის შემდეგ „ქართული ოცნება“ შეიძლება სულს ღაფავდეს იმიტომ, რომ იგი ვერანაირ პოლიტიკურ ძალად ვერ იქცევა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აქაა ადამიანების გამაოგნებელი ნაკრები, რომელთაც პოლიტიკის არაფერი სცხიათ.

**— გამოდის, რომ, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, პრეზიდენტი მარგველაშვილი მარტო აღმოჩნდება, გუნდის გარეშე?**

— მარგველაშვილი ივანიშვილმა წარადგინა და, ბუნებრივია, დღეს მისმა კოალიციამ მხარი დაუჭირა, თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს კოალიცია ხვალ მარგველაშვილის ფრთის ქვეშ იქნება. უფრო მგონია, რომ მარგველაშვილი თავისი ახალგაზრდობის პირველ ჯგუფს დაუბრუნდება. როგორც წესი, ასეთი ურთიერთობები არ წყდება. მიკვირს, რატომ არ ამბობს იგი, საიდან მოდის და იმას, რომ ამ ხალხთან ერთად იქნება, ეს გაცილებით მისაღები იქნებოდა.



**— რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში რა შეიცვლება ქვეყანაში და ჩვენი მთავარი მოთამაშე — აშშ რამდენად დაუშვებს ამას?**

— თუ 9-წლიან ისტორიას გადავხედავთ, რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, ქართული ეკონომიკის ნაწილი მის ხელშია. ეს მე და თქვენ გავაკეთეთ? ნინო ბურჯანაძე ამ გუნდის ორგანული ნაწილი იყო, ამიტომ ვერ ვხედავ რადიკალურად განსხვავებულ მოქმედებებს. ბურჯანაძე მის მომავალს რუსეთზე ააგებს. დღეს არ მჯერა პოლიტიკოსის, რომელმაც არ იცის, რომ დასავლეთთან კონფრონტაცია და დასავლური ორიენტაციის შეცვლა არ შეიძლება. საქართველო ისტორიის მანძილზე პირველად მოხვდა მსოფლიო პოლიტიკის ეპიცენტრში. უახლოესი 30-40 წელი იმ გეოსტრატეგიულ სივრცეში ვიქნებით, რომელიც მსოფლიო პოლიტიკის ცენტრია — ესაა სამხრეთ კავკასია, ახლო აღმოსავლეთი და შუა აზია. არასწორი პოლიტიკური მოქმედებებით შეიძლება დავამხოთ ის, რაც გაგვაჩნია.

**— ბურჯანაძე, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, გუნდის გარეშე რჩება. იქმნება იგივე სიტუაცია, რაც ახლა სააკაშვილის შემთხვევაშია. ამიტომ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის საკითხი დგება თუ არა, რათა ახალი „მიშა“ თავიდან ავიცილოთ?**

— ეს პრობლემაა, გვარებსაც რომ თავი დავანებოთ. ქვეყანაში არაა სტაბილური პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც პოლიტიკური სისტემის ღერძი იქნებოდა. გვაქვს მხოლოდ ერთი — კომუნისტური ნომენკლატურიდან მომავალი ელიტა, რომელიც ხან „მოქალაქეთა კავშირს“ ირქმევს, ხან „ნაცმოძრაობას“ და ხან „კოალიციას“ და ღმერთმა იცის, ხვალ რას დაირქმევს. ეს ერთი შეკრული სისტემაა, რომელიც ყველა თანამდებობას იკავებს, მმართველი ელიტის ცვლილება არ ხდება.

**იცით, რას არ ვაკვირდებით? — სამი ხელისუფლება ავირჩიეთ და არც ერთი პოლიტიკური ძალა აღარ არსებობს. „ნაციონალური მოძრაობა“ რომ არა დასავლეთის მხარდაჭერა, საერთოდ აღარ იარსებებდა. ივანიშვილი წავა და კოალიცია, რომელსაც ხმა მივეცით, აღარ იარსებებს. რა გამოდის? — აღარ უნდა დავუკვირდეთ, რომ ასე სვლა აღარ შეიძლება?**

ის, რასაც „ნაცმოძრაობა“ აკეთებდა, კატასტროფა იყო. მათ თქვეს — ჩვენ კორპორაციულ სახელმწიფოს ვაშენებთო, ანუ ეს სახელმწიფო ჩვენი — ვიწრო წრისაა, ჩვენ ვართ აქციონერები, თქვენ არავინ ხართ, როცა მოგვინდება, დაგიჭერთ, როცა მოგვინდება, ცოცხებსაც გაგიკეთებთ, როცა მოგვინდება, ქონებას წაგართმევთ და ა.შ. ისევ გაურკვევლობაში ვართ.

**— ხალხის სურვილი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია, თუმცა ივანიშვილმა განაცხადა, ჩემი ძალიან დიდი სურვილია, ვადამდელი არჩევნები არ მოხდესო. გამოდის, იგი ხალხის ნებას ეწინააღმდეგება?**

— პოლიტიკა მიამიტების სფერო არაა. ყველაფერი, რაც ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე მესმის, კარგი ადამიანების მიამიტური ოცნებებია.

**— აბა, ბურჯანაძის დაპირება ბლეფია?**

— ბურჯანაძე ვერ დაგვპირდება ასეთ რამეს, რადგან ამისთვის საფუძველია საჭირო. ამას შეიძლება იმ შემთხვევაში მიაღწიოს, თუ მძლავრი პოლიტიკური ზურგი ექნება. ასეთ ძალას ჯერჯერობით ვერ ვხედავ. ერთ ფაქტორს არ ვაკვირდებით — 1 ოქტომბრის შემდეგ ქართველი ხალხი სხვანაირი გახდა. იგი მოვლენებს აკვირდება, იბოლმება, უკმაყოფილოა და როდის იფეთქებს, არავინ იცის.

**თამარ შველიძე**

**555 23 28 24**

# ურჯულოების საიდუმლო...

„მასონური ამერიკის, მასონური დასავლეთ ევროპის მიზანია გაანადგურონ ერის ცნება, დამოუკიდებელი სახელმწიფოები და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი სათავეში მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა დაამყაროს ეგრეთ წოდებული ახალი მსოფლიო წესრიგი... რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას“, — ბრძანა ზვიად გამსახურდიამ.

დღეს უკვე საიდუმლო აღარაა, რომ გამსახურდიას ეროვნულ- მართლმადიდებელ ხელისუფლებას ეგრეთ წოდებული მოწინავე მსოფლიო, ახალი მსოფლიო წესრიგის დამამყარებელი სახელმწიფოები ებრძოდნენ მასონების პირდაპირი ზემოქმედებითა და ხელმძღვანელობით. კაცობრიობის მოწინავე, მატერიალურად განვითარებული ნაწილი სწორედ ერებისა და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების მოსპობას ესწრაფვის, რათა კვლავ გააერთიანოს მსოფლიო და მხოლოდ ის აკეთოს ღვთის ნების საწინააღმდეგოდ, რაც თავად სურს თავისი ამქვეყნიური კეთილდღეობისთვის. თუ რა უმძიმესი შედეგები მოჰყვა მთელ ამ ანტიქრისტიანულ ბრძოლასა და რევოლუციებს ჩვენთვის დღეს სავსებით ნათელია, ღმერთისგან ადამიანთა დიდი განდგომა უკვე მსოფლიოშია საცნაური. კაცობრიობის უდიდესი ნაწილი არ არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, ყველგან მოისპო მართლმადიდებელი ცხებული სამეფოები, გვაროვნული და ჭეშმარიტი სულიერი არისტოკრატია - ხალხის პატრონი და წინამძღოლი. მთელი ეგრეთ წოდებული მოწინავე კაცობრიობის კულტურა ადამიანის ღმერთისაგან განშორებას ემსახურება. მწერლობა, ხელოვნება, კინო, ტელევიზია, მასობრივი ინფორმაციის ბეჭდვითი თუ ელექტრონული საშუალებები მხოლოდ ადამიანის გარყვნას, მისი სულიერი ღირებულებების რღვევას, ცხოველური ინტსტინქტების გააქტიურებასა და გაპირუტყვებას ემსახურებიან. პოლიტიკურადაც და ფინანსურადაც მსოფლიო უკვე თითქმის გაერთიანებულია და ერთ ძალას - მასონურ ამერიკას და მასონურ ევროპას ემორჩილება. დამოუკიდებელი სახელმწიფოები უკვე დაკაბალებულნი არიან, ყველგან ხელოვნურადაა შექმნილი სხვადასხვა პრობლემები, კონფლიქტური კერები, სეპარატისტული განწყობილებანი, ურთიერთმტრობა, სიძულვილი, არნახული ეკონომიკური გაჭირვება და უიმედობა, ანუ მთელი მსოფლიო უდიდეს ფინანსურ-ეკონიმიკური და პოლიტიკური კრიზისის ზღვარზეა.

სსრკ დაშალა იმ ძალამ, რომელმაც შექმნა იგი - მსოფლიო მასონობამ, მსოფლიო მთავრობამ. მანვე გამოუცხადა სასტიკი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობას და ზვიად გამსახურდიას ეროვნულ მართლმადიდებელ მთავრობას, როცა დარწმუნდა, რომ მისი მოსყიდვა-გადაბირება შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ სსრკ-ს დაშლამდე გამოაცხადა 1991 წლის 9 აპრილს ანუ სხვა რესპუბლიკებივით არ დაელოდა როდის უბოძებდა მას მსოფლიო მასონური მთავრობა ფიქტიურ დამოუკიდებლობას და ამით სასტიკი რისხვა დაიტეხა თავს. შედეგი - სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში, რომელიც იმართებოდა ოკეანის გაღმიდან აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის პირადი მონაწილეობითა და ჯორჯ ბუშის „ლოცვა-კურთხევით“!



დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ მსოფლიო მასონური მთავრობის მზაკვრულ მოქმედებათა შესახებ ზვიად გამსახურდია ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „თავდაპირველად ისინი ცდილობენ მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისუფლება და თუ წინააღმდეგობას წააწყდებიან, ამხობენ მას. საქართველოში ზუსტად ასე მოხდა. საქართველოს დამოუკიდებლობას ეგრეთ წოდებული მსოფლიო მთავრობა ებრძოდა მუხანათური ცილისწამებით, დეზინფორმაციით, ათასი ბოროტი აგენტისა და დივერსანტის დაფინანსებით, სიძულვილის გაღვივებით, გააფთრებული რუსეთის იმპერიის ნარჩენების წაქეზებით, ფარულად და აშკარად, სიტყვით თუ საქმით“. ამრიგად, თუკი 1801 წელს საქართველოში შემოვიდა და გაბატონდა ერთმორწმუნე რუსეთის ნიღაბს ამოფარებული მასონური იმპერია, 1921 წელს უკვე შემოვიდა ნიღაბჩამოხსნილი, მასონთა მიერ დაარსებული ათეისტური იმპერია. 1992 წლის იანვრიდან, ეროვნული მთავრობის გაძევების შემდეგ, მსოფლიო მასონურმა მთავრობამ საქართველოში თანდათან გააბატონა თავისი მონამორჩილი დამქაშები, თავის შეგნებული თუ შეუგნებელი მსახურები. მას უკან საქართველოს მართავს არა მთავრობა, არამედ ანტიმთავრობა სამართლიანობის გარეშე. ამრიგად მე-20 საუკუნის მიწურულს საქართველომ მცირე ხნით მოიპოვა თავისი ნანატრი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მცირე ხნით იგემა ეროვნული თვითმყოფადობისა და მართლმადიდებლური სულისკვეთების აღორძინება, რათა შედგომ ასეთი სისასტიკით დაეკარგა იგი, მაგრამ სულიერად გაემარჯვა. დიახ, ჩვენ ფიზიკურად დავმარცხდით, მაგრამ სულიერი ძლევა მოვიპოვეთ!

ზვიად გამსახურდიას ეროვნულ - მართლმადიდებელი მთავრობა, რომელმაც უნდა განაპირობოს ჩვენი დარჩენილი ცხოვრება უმძიმეს აპოსტასიურ დროში, ხელმძღვანელობდა ქართველებს ერთი წლის განმავლობაში, ამიტომ ჯერ არს უფრო დაწვრილებით მოვიხილოთ ზვიად გამსახურდიას აღმსარებლობითი მოღვაწოება, აპოსტასირებული მსოფლიო მხილებაში.

ქართველნო, ჩვენ გვსურს ვაშენოთ სამართლიანობის, თავისუფლების და დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული ქვეყანა. ჩვენს ერთობასა და ურთიერთმხარდაჭერას ვერ შეარყევს ვერანაირ მოღალატეთა შეიარაღებული პუტჩი თუ „მაღალი პოლიტიკის“ ინტრიგები. მასონური ამერიკა და ევროპა დღენიადაგ იბრძვის მსოფლიო ბატონობისთვის, სრულიად აკონტროლებს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასა და მის მიერ დანიშნულ არჩევნებსაც. ამდენად, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები იქნება არამარტო უკანონო და უსამართლო, არამედ ფარსი, რადგანაც დღევანდელი მარიონეტული ხელისუფლების პიროებებშიც გაიმარჯვებს ის პიროვნება, რომელიც მოემსახურება არა საქართველოს და ქართველ ხალხს, არამედ მასონების ინტერესებს.

მსოფლიოში გაიმარჯვებს სიკეთე და სამართლიანობა, ბოროტების უფლებამოსილებანი ამქვეყნად განუსაზღვრელი არ არის; იგი დაშვებულია ღვთის მიერ სასჯელად ცოდვათა ჩვენთათვის სარწმუნოების ჩვენის გამოსაცდელად. მკლავი უფლისა, მახვილი მთავარანგელოზ მიქაელისა და შუბი წმინდა გიორგისა განგმირავს გველს, რომელიც მთელ პლანეტას შემოხვევია!...

ჩვენთან არს ღმერთი!

***საქართველოს დღემდე ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საზღვარგარეთ იძულებით გადაადგილებული 3031 მებრძოლის სახელით:***

***გეგა ყაზბეგი, ბერდია არაბული, მამუკა მჭედლური, ლელა ჭინჭარაული, ნაილი ხომერიკი, ლევან ზაალიშვილი და მათი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ბატონ ზვიად გამსახურდიას შვილობილი სანდრო ივერიელი.***

**19 აგვისტო, 2013 წელი**



# ყველაფერი გარკვეულია და სულ მალე კილაძეს კილაძისა მიეზღვება, ხოლო ამირეჯიბს ფარესიშვილისა

## ცალსახად და ხაზგასმით აღვნიშნავ: შეხვედრა ფოფხაძის სახლში, ჩვენი მონაწილეობით, შედგა არა ბატონი ნუგზარის ინიციატივით, არამედ ლაშა ამირეჯიბის დაჟინებული თხოვნით!

გვესაუბრება ჟურნალისტი,
მედია-ჰოლდინგ „რეპორტიორის“
გენერალური დირექტორი
**გიორგი მამაცაშვილი**

**– გიორგი, რამდენიმე დღის წინ რედაქციაში გვეწვია გიორგი ფარესიშვილი და განგვიცხადა, რომ ჩვენს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს მორალური ზიანისთვის და ბრალს გვდებს, თითქოს „საერთო გაზეთში“ (19 (253), 2013 წ.) გამოქვეყნებული სტატია „ფარესიშვილო, თუ იმ კადრებში შენ არ ხარ, მორალური ზიანისთვის კომპენსაციას რატომ ითხოვ, სხვისი საჯდომის ხარჯზე გინდა გააკეთო 300 000 ლარი?“ შეკვეთილი იყო ბატონი ნუგზარ ფოფხაძისგან. ინტერვიუში, რომელიც მისგან ჩავიწერეთ, იგი თქვენც გდებთ ბრალს და ბატონ ნუგზარ ფოფხაძესაც. ამტკიცებს, რომ გაზეთ „ქრონიკა+“-ში გამოქვეყნებული ჩანაწერი არასრულყოფილია და ა. შ. პროფესიული მოვალეობა გვავალდებულებს გაგაცნოთ ინტერვიუში მოყვანილი ბრალდებები და თქვენი პასუხი მოვისმინოთ. დავიწყოთ ჩანაწერით, რომელიც იმ შეხვედრას ასახავს. როგორ მოხვდით შეხვედრაზე, რომელიც გელა ხვედელიძესა და ლაშა ამირეჯიბს შორის შედგა?**

–რაც შეეხება იმ შეხვედრას, ცალსახად და ხაზგასმით აღვნიშნავ: შეხვედრა ფოფხაძის სახლში, ჩვენი მონაწილეობით, შედგა არა ბატონი ნუგზარის ინიციატივით, არამედ ლაშა ამირეჯიბის დაჟინებული თხოვნით! ფოფხაძეს მანამდე არ ჰქონია არავითარი შეხება ხვედელიძესთან.

**როცა ტელეფონზე დაურეკა ბატონ ნუგზარ ფოფხაძეს ლაშა ამირეჯიბმა, მეც იქ ვიყავი. ბატონი ნუგზარი ლაშა ამირეჯიბს შეეკითხა: (სხვათა შორის, ასეთივე შეკითხვა გაუჩნდა ხვედელიძესაც), რა შუაში ვართ მე და ჩემი სახლიო, ამირეჯიბმა უპასუხა: მამაჩემის მეგობარი და ჩემი მამობილი უკეთ დაიცავს ჩემს ინტერესებსო.**

თანაც ხვედელიძე მთავაზობს შსს-ში შეხვედრას, იქ კი შიში მაქვს, ჩემთან საუბარს ჩაიწერენო!

ჩვენ, მე და ბატონ ნუგზარს, ორივეს, ახლო ურთიერთობა გვაკავშირებს **ჭაბუა ამირეჯიბის** ოჯახთან. ჭაბუას ვაჟს უჭირდა და ითხოვდა დახმარებას. როგორ უნდა მოვქცეულიყავით? მოვიქეცით ისე, როგორც ოჯახის მეგობრებს ეკადრებოდა. აქ კარგად ჩანს მონაწილეთა ზნეობა. მეგობრის შვილი, რომელიც ითხოვს დახმარებას, ითხოვს მამობილის ოჯახში სტუმრის მიყვანას, მოდის ამ შეხვედრაზე დიქტოფონით შეიარაღებული, იწერს ამ შეხვედრას შსს მინისტრის მოადგილის შემდგომი შანტაჟისთვის. და, ჩვენ ხურდად მიგვათვალა.თქვენ განსაჯეთ, ამ ტიპს, ლაშა ამირეჯიბს, ამის შემდეგ კაცი ჰქვია?

არ გეწყინოთ, მაგრამ ღიმილისმომგვრელი მარტო ფარესიშვილის ბრალდება და პოზიცია კი არ არის, არამედ თქვენიც. თქვენზე უკეთ ვინ იცის, რომ თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ მასალასთან არავითარი, ვიმეორებ, აბსოლუტურად არავითარი კავშირი არ გვაქვს არც ფოფხაძეს და არც მე?! და მიუხედავად ამისა, თქვენცა და ჩვენც, თავი უნდა ვიმართლოთ ამ პროფესიონალი პროვოკატორისა და ცილისმწამებლის მონაჩმახის გამო.

როგორი მართალიც მაგ ბრალდებაშია, ასევე მართალია იმ ფაქტებში, ასე ურცხვად, უარგუმენტოდ, წყაროს, დროის და ადგილის მიუთითებლად რომ „გაგბერათ“ ტყუილებით.

შუბლზე ძარღვი აქვს გაწყვეტილი ამ კაცს, რომლის თავმა არ იცის, რას აკეთებს მისი ტანი და უკანალი.

ახლა ჩანაწერზე მოგახსენებთ. ჟურნალისტური სტანდარტის მიხედვით, მაგ ჩანაწერზე საუბარი არაკორექტულია, რამეთუ მოპოვებულია უკანონოდ, ფარულად და უზნეოდ! გასაკვირია არა მხოლოდ ჩვენი კოლეგების, არამედ ზოგიერთი ვაი-პოლიტიკოსის „ღრმა“, „ბრძნული“ კომენტარიც. რა ბინძურებიც თავად არიან, ისეთი პარტნიორი ჰყავთ ფარესიშვილის სახით და ისეთივე შინაარსი აქვს მათ „ბოდვასაც“, თუმცა მაინც გესაუბრებით ამ თემაზე, რომ არ დარჩეს არც ერთი კითხვის ნიშანი. დეტალებზე იმიტომ ვამახვილებ თქვენს ყურადღებას, რომ უკვე რამდენიმე თვეა „ამირეჯიბი და კომპანია“, ამ ერთი შეხედვით რიგითი, ჩვეულებრივი შეხვედრის, მისი შინაარსის, მიზნებისა და შედეგების შესახებ ქმნის რაღაც „იდუმალებით და ინტრიგით“ სავსე“ აჟიოტაჟს. არადა, ყველაფერი იყო ძალიან ბანალური, ძალიან მარტივი. ამირეჯიბი-ფარესიშვილის დუეტი სისტემატურად „ბრალს“ სდებდა ტრიოს: – **ხვედელიძის, ნაცვლიშვილისა** და **ხუხაშვილის** შემადგენლობას და ორივე მხარის სურვილი იყო ეს კონფლიქტი მოგვარებულიყო. ამ კონფლიქტის მიზეზების გარკვევას სჭირდებოდა შეხვედრა და

**ამ შეხვედრაზე ლაშა ამირეჯიბს უნდოდა ჰყოლოდა ავტორიტეტული მხარდამჭერი. ეს მხარდამჭერი ლაშა ამირეჯიბმა აარჩია მამის მეგობრებიდან, რომელსაც მისთვის არაერთგზის, ვიმეორებ, არაერთგზის გაუმართავს ხელი და გაუკეთებია სიკეთე. ეს არის და ეს. რომელი ჩვენგანი არ ჩავვარდნილვართ ამ სიტუაციაში? რა, არ გვითხოვია მეგობრისთვის და ახლობლისთვის დახმარება? და თუ ძალიან გარყვნილი და „ბოზანკალა“ არა ხარ ადამიანი, ამას „გარჩევას“ და „დაბარებას“ არ დაარქმევ!**

მაგრამ, რას იზამ, ყველას ვერ მოსთხოვ ანგელოზობას...

**– შს სამინისტროსადმი გაგზავნილ თქვენს ღია წერილში წერდით, თითქოს ამ შეხვედრას სხვა შეხვედრა უძღოდა წინ. ხომ არ იცით რაიმე ამ შეხვედრის შესახებ?..**

– კი, ასე იყო და ეს ჩვენ მოგვიანებით დავადგინეთ. ეს ცალკე თემაა, ამაზე სხვა დროს ვისაუბრებთ.

გვაქვს გონივრული ეჭვი, რომ წინასწარ იყო დაგეგმილი გელა ხვედელიძის წინააღმდეგ რაღაც პროვოკაცია, რომლის შესანიღბადაც საჭირო იყო სანდო ოჯახის შერჩევა, რომელიც ხვედელიძეს არ გაუჩენდა რაიმე ეჭვს.

**ლაშა ამირეჯიბი ამ შემთხვევაში მოიქცა როგორც პროფესიონალი პროვოკატორი და ყოვლად უზნეო ტიპი. ამ საქციელის შემდეგ ის ვინმემ ოჯახში როგორ უნდა შეუშვას?**

მეტსაც გეტყვით: ამ საქციელს გაგრძელება აქვს. ეს ჩანაწერი მან მალევე წარადგინა, სადაც ჯერ არს და, სამწუხაროდ, იქ არავინ აუწყია მას ყური, რამეთუ ეს აუდიოჩანაწერი გაკეთებული იყო ფარულად და უკანონოდ! ყოველივე ამის შემდეგ განა შეიძლება არ გაგვიჩნდეს ეჭვი იმის თაობაზე, რომ მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს მოარული ხმები ლაშა ამირეჯიბის თანამშრომლობის შესახებ სპეცსამსახურებთან, რადგან ასეთი შესაშური ოპერატიულობა, როგორც „რეპორტიორის“ „ღია წერილში“ აღვნიშნე, არ არის დამახასიათებელი ახალბედა ენთუზიასტებისთვის. ასე პროფესიულად მხოლოდ შტატიანი „ოპერები“ ან „დავერბოვკებული“, სტაჟიანი ინფორმატორები – „ნასედკები“ იქცევიან!

**– საკმაოდ სერიოზული ბრალდებაა, გიორგი...**

– არა, ეს ბრალდება არ არის. ახლა მოდაშია ფრაზა „გონივრული ეჭვი“. ჰოდა, თავად განსაზღვრეთ, გვაქვს თუ არა საფუძველი ასეთი ვარაუდი წამოვაყენოთ...

ახლა ამირეჯიბი ამტკიცებს, რომ მას არ ჩაუწერია ეს შეხვედრა... ეგ ზღაპრები განკუთვნილია მიამიტი ადამიანებისთვის.

რამდენადაც ვიცი, თქვენ აპირებთ ქალბატონ **ელისო კილაძესთან** საუბარს. მან უკვე გამოაქვეყნა გაზეთ „ქრონიკა+“-ში დეტალებიც კი. **არავითარი ეჭვი არ არსებობს პირის წარმომავლობის თაობაზე.**

**ამას თავად ჩამწერი ადასტურებს თავისი სატელეფონო გზავნილებით**, რომლის ფოტოფირსაც ჩვენ გადმოგცემთ და თავადაც დარწმუნდებით ამაში. ასე რომ, ფარესიშვილი აქაც მამალ ტყუილს გეუბნებათ!

**– თუ ამირეჯიბი იწერდა, თქვენს ხელში როგორ აღმოჩნდა ეს ჩანაწერი?**

– ეს ჩანაწერი ჩვენს ხელთ არც არასოდეს ყოფილა და არც არის. არც მის მონტაჟთან და არც მის ვინმესთვის ჩვენებასთან შეხება არ გვქონია.

ასე რომ, ფარესიშვილი აქაც მორიგ სიცრუეს ამბობს. ახლა თქვენს ყურადღებას გავამახვილებ „ქრონიკა+“-ის რედაქტორის ელისო კილაძის სტატიის ნაწყვეტზე: *„ლაშა ამირეჯიბმა შეხვედრის ჩანაწერი მეორე დღეს მოიტანა. ჩემი მხრივ, მე მას ვურჩევ, სხვა პირებთან არ გაამხილოს, რომ შეხვედრა მან ჩაწერა და ვთავაზობ ვერსიას: რადგან ჩანაწერი უხარისხოა, ვერსიად ვთქვათ, რომ შეხვედრა გარედან ჩაწერეს. მეთანხმება. ცხადია, გარკვეული უხერხულობა აქვს, მაგრამ თავსაც იმართლებს, – შეხვედრაზე მივდიოდი კაცთან, რომელიც იქით ჩამწერდაო. ჩანაწერი უხარისხოა. ვფიქრობ, კომპიუტერში გადატანის შემდეგ უფრო ყურადღებით მოვისმინო. ლაშა სილქნეტის ს-1-ის მეხსიერების ბარათს მაძლევს. „ფლეშკაზე“ ათამდე ჩანაწერია. ამ შეხვედრის ჩანაწერის ნომერია 048. ჩანაწერი კომპიუტერში გადამაქვს, მაგრამ ფაილი არ იხსნება. ამის შემდეგ იწყება სამდღიანი მუშაობა. თან ინფორმაციამ არ უნდა გაჟონოს, რომ ჩანაწერი გვაქვს, თან ტექნიკურად ჩანაწერის მოსმენა კომპიუტერში შეუძლებელია. ბევრად უფრო მარტივ გზას ვარჩევ: ჩანაწერი ტელეფონიდან ჩემს დიქტოფონზე აბსოლუტურ სიჩუმეში გადამაქვს. პარალელურად, ჩემი ოფისის ტექნიკური ჯგუფი ცდილობს, კომპიუტერში მოთავსებული ფაილები მოსმენადი გახადოს. ამისთვის ინტერნეტიდან სპეციალურ ფასიან პროგრამასაც ვიწერთ, მაგრამ უშედეგოდ! არაფერი გამოდის! მხოლოდ მესამე დღეს დახმარებისთვის მივმართავ ჩემს გაჭირვების ტალკვეს მეგობარს, ვუხსნი მდგომარეობას, ის ერთადერთ კითხვას მისვამს, – როგორ გაკეთდა ჩანაწერი? მე ტელეფონის მოდელს ვკარნახობ და „ფლეშკით“ ჩანაწერს ვაძლევ. მეორე დღეს გახსნილი ფაილი მიბრუნდება, ოდნავ უკეთესი ხარისხის. აქვე უნდა გითხრათ, რომ ლაშას ტელეფონის დანარჩენი 9 ფაილი ისევ ჩემს კომპიუტერში ინახება და ამ დრომდე არ ვიცი, რა ჩანაწერებია ეს.*

*მე და ლაშა ამირეჯიბი ვთანხმდებით, რომ ერთმანეთის ნებართვის გარეშე ამ ჩანაწერს არ გამოვიყენებთ.*

*გელა ხვედელიძის დაკავების შემდეგ ლაშა ამირეჯიბმა და მე მივიღეთ ერთობლივი გადაწყვეტილება და მეორე დღეს, ჩანაწერის საინტერესო ფრაგმენტები გავასაჯაროეთ. წინა საღამოს ჩანაწერი ერთად დავჭერით“.*

ელისო კილაძის ამ „აღიარების“ შემდეგ, რომელსაც არაერთი მოწმე ადასტურებს, ვინმეს შეეპარება ეჭვი, ვინ არის ჩამწერი და ვინ დაამონტაჟა?

**კილაძის ნათქვამით გამოჩნდა, რომ ეს ჩანაწერი ამირეჯიბს მიუტანია კილაძესთან ჩვენთან საბრძოლველად გამოსაყენებლად?! თუმცა ელისო არა მარტო გონიერი, არამედ პატიოსანი და ვაჟკაცი ქალბატონი აღმოჩნდა, დროულად მიხვდა, რომ შეცდომაში შეიყვანეს, არ გასჭირვებია მტყუან-მართლის გარჩევა, გააკეთა არჩევანი ზნეობასა და უზნეობას შორის და გაემიჯნა პროვოკატორებსა და შანტაჟისტებს!**

**– თქვენ იცით, რომ ფარესიშვილს დაცვა ჰყავს? რატომ და ვისგან სჭირდება დაცვა, თქვენი აზრით?**

– ალბათ, იმ ადამიანების რისხვისგან, ვისგანაც სარგებელი ნახეს. უფრო სწორად, წინასწარ აიღეს გასამრჯელო, რათა პროვოკაცია მოეწყოთ და თავიდან მოეშორებინათ დამკვეთებისათვის პოტენციურად „საშიში“ ადამიანები. მაგრამ ახლა ამ „სკანდალის“ დამკვეთებიც დადგნენ დარტყმის ქვეშ...

თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ არცთუ უსაფუძვლო... ამ სკანდალს გაგრძელებაც ექნება.

არის ადამიანი, რომელიც უშუალოდ ესწრებოდა მათ საუბრებს, როცა იხილებოდა თემა, რამდენი უნდა გამოეძალათ ამ შანტაჟის გზით „რეპორტიორის“ ხელმძღვანელობისგან, და არა მარტო მისგან...

ფარესიშვილი რომ წუწუნებს თქვენთან, ვიღაცები ფულს გვთავაზ-

ზობდნენ ამ ჩანაწერებშიო, — გჯერათ?

ამ ჩანაწერის გამო ფულს ეს დუეტი სთხოვდა ერთ პოლიტიკურ ძალას და „რეპორტიორის" დისკრედიტაციისთვის არ იშურებდა ენერგიას. ეს ის ძალაა, დღემდე რომ მის ოფისში ტრიალებს ფარესიშვილი! ეს ის ძალაა, რომელსაც „ბომბავდა" სატელეფონო გზავნილებით ამირეჯიბი და ითხოვდა მათთან შეხვედრას! თუმცა, ამირეჯიბს როგორ შეხვდებოდა ის კაცი, როცა მინსკში იმყოფებოდა და ჯერ კიდევ „ინტერპოლთან" ჰქონდა პრობლემები. თბილისში რომ დაბრუნდა ის პოლიტიკოსი, შეხვდა ამირეჯიბს, მოუსმინა და... კუდით ქვა ასროლინა! მიხვდა, ვისთანაც და რასთანაც ჰქონდა საქმე! იმ ძალაში ყველა „კოლექტიური დარჩიაშვილი" უზნეო და ბრიყვი კი არ არის...

დავუბრუნდეთ ისევ დაცვის თემას. დაცვა მას შსს-მ დაუნიშნა. მოტივაცია მათ უნდა ჰკითხოთ. ეტყობა, ფარესიშვილს და ამ დუეტის „დამკვეთებს" რაღაცის ეშინიათ. ანდა ვიღაცას „ამშვიდებენ".

**— თქვენი აზრით, ეს ვიღაცა ვინ არის?**

— ვფიქრობ, უცხოეთის ზოგიერთი საელჩო. აკი, იტრაბახა კიდეც თქვენთან, ელჩებს შევხვდიო. ელჩები — ნამეტანი მოუვიდა... საელჩოს თანამშრომლებს, ალბათ, მაგრად შეაცოდა თავი. სექსუმცირესობის დაცვა ახლა მოდაშია. როგორც ჩანს, უნდა უცხოეთში გაქცევა. მაგრამ ჯერ „პრემიას" ელოდება. ისე, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ზოგიერთ საელჩოში საქმე არ აქვთ, როცა ამ პროვოკატორს ხვდებიან...

ვინ არის ფარესიშვილი? ერთი უზნეო ბიჭი, რომელსაც ვერ გაურჩევია, თავმა რა უნდა აკეთოს და ტანმა უკანალით — რა! იგი თავის დროზე წამოაგეს ანკესს, გადაიბირეს და შეაგზავნეს ოპოზიციურ სპექტრში, ანუ არის „ნასედკა"! ჰოდა, როგორც ჩანს, მავანი და მავანი დაინტერესებულნი არიან, თავისი „ნასედკა" დაიცვან! ეს არის და ეს!

**აქვე მინდა ვისარგებლო, და პრინციპულად გავემიჯნო ყოველგვარ**



**ფარულ ჩანაწერს, ნებისმიერი სახით მის გავრცელებას და გამოყენებას! ჩვენ რამდენჯერმე საჯაროდ გავემიჯნეთ ამ უკანონო და უზნეო ქმედებას.**

ასე რომ, ფარესიშვილის მტკიცებას და საჩივრებს მისი „მამხილებელი" ჩანაწერის გავრცელებასთან რომ გვაკავშირებს, ასდის პროვოკაციის სუნი და ამ შანტაჟით ჩვენ ვერ შეგვაშინებს.

მაგრამ **თავის უახლოეს, განუყრელ პარტნიორს და მეგობარს ლაშა ამირეჯიბს ურჩიოს, რომ თავი დაანებოს მამის გარდაცვლილი მეგობრის ქალიშვილის დისკრედიტაციის მცდელობას! ის ქალბატონი ცნობილი სახეა და საჯარო სამსახურშია...**

ჰოდა, **ამ არაკაცს, საკუთარი ტელეფონის აპარატში აქვს ჩაწერილი მისი „მაკომპრომეტირებელი", ფარულად გადაღებული კადრები და აშანტაჟებს იმ ადამიანს! აი, არაკაცი! საიდან აქვს ეს კადრები ამირე-**



**ჯიბს? ვინ მისცა? ვინ იყენებს მას?**

ეს კითხვები არ უნდა აწუხებდეს სპეცსამსახურს?

**— რომელ ქალბატონზე საუბრობთ. ვის აშანტაჟებდა ლაშა ამირეჯიბიო?**

— კითხვა დავტოვოთ უპასუხოდ...

**— ადრე იცნობდით ფარესიშვილს?**

— კი, შევხვედრივარ... და, როგორც მერე გავარკვიე, ფარესიშვილი იყო ახალგაზრდულ მოძრაობაში ჩანერგილი აგენტი! ამას ვამბობ ხმამაღლა და შეუძლია მიჩივლოს! თქვენც დამეთანხმებით, ირანდა, ჩვენი ჟურნალისტური საქმიანობიდან გამომდინარე, ბევრი რამე გაგვიგია, მაგრამ არის ხოლმე, როცა მიზეზთა და მიზეზთა გამო არ ვიღებთ ხმას, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა მე ვამბობ: **ფარესიშვილი იყო ჩანერგილი აგენტი, რომლის ფსევდონიმიც, როგორც ჟურნალისტური გამოძიებით დაადგინა ელისო კილაძემ – იყო „ლაით"!**

ისინი ამ ჩანაწერებში ითხოვდნენ ფულს, მათ შორის ჩვენგანაც, მაგრამ ჯერ კიდევ არ დამდგარა ყველაფრის თქმის პერიოდი.

**— გიორგი, ჩანაწერში საუბრობთ, რომ ჯერ კიდევ 2007 წლიდან გქონდათ ფირი, რომელიც „ასავალ-დასავალში" შემოაგდეს... არის თუ არა ეს ის ფირი, რომელიც გიორგი ფარესიშვილზე გავრცელდა ინტერნეტსივრცეში?**

— „ქრონიკა+"-თან ინტერვიუში ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობის განმავლობაში არაერთ ფირს და არაერთ დოკუმენტს გაუვლია ჩემს ხელში. ჯერჯერობით, არ ყოფილა შემთხვევა, რამე ანტისახელმწიფოებრივ და უკანონო ქმედებასთან ჩემი სახელი მიებას ვინმეს! ხანდახან ყასიდად და მავანთა გადარჩენის მიზნით ნათქვამი სიტყვა (და ეს სწორედ ის შემთხვევა გახლდათ), არ ნიშნავს ფაქტის 100%-იან უტყუარობას. მომაკვდავსაც და უკურნებელი სენით შეპყრობილ პაციენტსაც ხშირად კეთილი „ტყუილით" აიმედებენ ექიმები. ამ შემთხვევაშიც მორალურად უკურნებელი სენით შეპყრობილ პაციენტად მიმაჩნდა ლაშა ამირეჯიბი, რომელთანაც და რომლის დიდ ოჯახთანაც მაკავშირებს ახლო ურთიერთობა. მე კი ექიმად ჩამთვალეთ, რომლის სიტყვაც, საუბედუროდ, ვერ იღო ყურად ადამიანმა, ვისაც იმ დღემდე ჩემს ახლობლად ვთვლიდი. თუმცა, სიკეთით ნათქვამი ჩემი ტყუილით მეც უხერხულ დღეში ჩავვარდი, თანაც ამან ვერც ჩემს „პაციენტზე" იმოქმედა დადებითად... სხვათა შორის, იმ წუთებში უნდა გენახათ, როგორ გვარიანად შეუკურთხა საკუთარ მეგობარს — ფარესიშვილს და ამას ახლაც დიდი რუდუნებით აკეთებს.

**— გამოდის, რომ...?**

— გამოდის ის, რომ იმ ფირების არც ასავალი ვიცოდი და არც — დასავალი. ერთადერთი მიზანი, რაც იმ დროს მქონდა, იყო ის, რომ ახალგაზრდული მოძრაობიდან მოძულებულ და გარიყულ „უთავო მხედართან" არ ჰქონოდა საქმე დიდი ჭაბუას შვილს. მხოლოდ და მხოლოდ მისი რეპუტაციის გადარჩენის მიზნით იქნა ის სიტყვები ნათქვამი, რომელზეც თქვენ მეკითხებით... სწორედ ამ მიზნით „დავიმოწმე" ბატონი ნუგზარიც, რათა იმ გახრწნილ და ზნეობადაკარგულ კაცთან არ ყოფილიყო გაიგივებული ლაშა ამირეჯიბი! თქვენ თვითონ დაფიქრდით — როგორ მექნებოდა ფირები და როგორ „შემოაგდებდნენ" მას „ასავალ-დასავალის" რედაქციაში 2007 წელს, როდესაც ფარესიშვილის „ვაჟკაცობის" ამსახველი კადრები, თურმე, 2011 წელს ყოფილა გადაღებული?! გიმეორებთ: არც „ასავალ-დასავალის" რედაქციას, არც ჩვენ იმ ფირებთან არავითარი შეხება არ გვქონია!

**— გიორგი ფარესიშვილი აცხადებს, რომ ამ შეხვედრაზე დაიგეგმა დათო კირვალიძის დაკავება და მის წინააღმდეგ ვიდეოფირის გამოქვეყნება. ჩანაწერში არც ერთი ჩანს და არც — მეორე. ხომ არ იყო საუბარი გელა ხვედელიძის მხრიდან ამ თემაზე, მას შემდეგ, რაც შეხვედრა ლაშა ამირეჯიბმა დატოვა?**

— სისულელეა! ბოდვაა! კირვალიძის გვარი საერთოდ არ ყოფილა ნახსენები არცერთხელ! ან ამირეჯიბის წასვლის შემდეგ ვინ ჩაწერდა, როცა „გამოცდილი ოპერატორი" თავის აპარატურასთან ერთად იქ აღარ იყო?!

**— ფარესიშვილი წერს, რომ ახალ მთავრობას და ქართულ სახელმწიფოს ძირს უთხრიან, თქვენ კი მას დამნაშავედ აცხადებთ.**

— ფარესიშვილმა, ალბათ, რაღაც ისეთი იცის, რომლის აღქმა ჩვენს ინტელექტს აღემატება. მიმართოს სპეცსამსახურებს. „ენის მიტანის", ჩაშვების, პატაკის გამოცდილება არ აქვს თუ რა? ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო დაცვა დაჰყვება და უთხრას იმ ბიჭებს და ისინი მოახსენებენ კომპეტენტურ ორგანოებს. ისე, ფარესიშვილისგან ეგ საუბარი, უბრალოდ, სასაცილოა!

**— გიორგი, „რეპორტიორს", თქვენ და ბატონ ნუგზარ ფოფხაძეს ალექსანდრე დუგინის ფონდთან რაიმე კავშირები გაქვთ? „ინტერმედიაც" მართლა თქვენი და ბატონი ფოფხაძის მფლობელობაშია, სადაც ლაშა ამირეჯიბზე გავრცელდა არცთუ სასურველი ინფორმაციები?**

— ეს არის სრული ბოდვა. ეს უკვე მედიცინის, კერძოდ, ფსიქიატრიის პრობლემაა! ფარესიშვილს დუგინის მამის სახელიც სცოდნია და ჩვენ მისი არსებობაც კი არ ვიცით...

რაც შეეხება „ინტერმედიას" და რაღაც სხვა სტრუქტურებს, მიმართოს სახელმწიფო ორგანოებს და IP მისამართების მეშვეობითაც ადვილი დასადგენია არა მარტო მფლობელთა, არამედ გამავრცელებელთა ვინაობაც!

**— ერთ-ერთ ბრალდებაში, ბატონ ნუგზარ ფოფხაძეს ფარესიშვილი კრემლისადმი მხარდაჭერაში ამხელს და 9 აპრილის დღეებში ცკ-ს ტრიბუნაზე გამოსული ნუგზარ ფოფხაძის სიტყვას იშველიებს.**

— ჯერ ერთი, ხვედელიძის საქმესთან ამას რა კავშირი აქვს.

**ბანკის თემაც იდიოტურად წამოროშა... ამ თემაზე, ბატონი ნუგზარი თუ საჭიროდ ჩათვლის, თავად გასცემს პასუხს. ამაზე იმდროინდელი, საქმეში ჩახედული ადამიანებიც გესაუბრებიან, თუ სურვილი გექნებათ. სხვათა შორის, არსებობს სობჩაკის კომი-**






**სიის დასკვნა, თამაზ შავგულიძის კომისიის მასალებიც და სხვა დოკუმენტებიც...**

ასევე გირჩევთ, ყურადღებით ნახოთ ლაშა ამირეჯიბის მამის, ჭაბუა ამირეჯიბის მიერ ორგანიზებული და გადაღებული ფილმი 9 აპრილთან დაკავშირებით კომისიის მუშაობაზე. მოუსმინეთ და ჩაწვდით შინაარსს. ისე, თუ ასეთი „ხალხის მტერი" იყო **ნუგზარ ფოფხაძე**, თავად ლაშა ამირეჯიბი რატომ იყო მისი ასეთი ახლობელი?! ახლა „აეხილა" ამ ბრიყვს თვალი? კიდევ ერთი მეტისმეტად საინტერესო დეტალი: ფარესიშვილის ტელეფონიდან ამირეჯიბი ბატონ **ჯუმბერ პატიაშვილთანაც** გასულა „ხაზზე" — ეგებ „საერთო მტრის" — ფოფხაძის წინააღმდეგ ბრძოლისას გვერდზე დამიდგეთო... ბატონმა ჯუმბერმა ურჩია ამ ვიგინდარას, კარგად წაიკითხოს ახლახან გამოცემული მისი წიგნი და თუ 9 აპრილთან ფოფხაძის კავშირზე რამეს აღმოაჩენს, განათლდეს... ერთი სიტყვით, ვაჟკაცური ბუნების ადამიანმა ჯუმბერ პატიაშვილმა იფრინა ჩვენი „სიმართლისათვის მებრძოლი რაინდი"! მართლა საცოდავები არიან ეს ბრიყვები!

**— დაბოლოს, გიორგი, რა ამოძრავებს ლაშა ამირეჯიბს? რა უნდა იყოს მიზეზი იმ კამპანიისა, რომელიც ამ ბოლო დროს წამოიწყო თქვენს წინააღმდეგ?**

— ეჭვი არ მეპარება, რომ ვერ გათვალა მოსალოდნელი შედეგები... ის შეჩვეულია ასეთ შანტაჟებს. მან მამის მეგობართან საკუთარი მოთხოვნით შემდგარი შეხვედრა თავადვე რომ ჩაწერა, რა თქმა უნდა, ამოძრავებდა ხვედელიძის წინააღმდეგ შურისძიება, თანაც, როგორც ჩანს, ასრულებდა მავანის დავალებას. თავიდანვე ბატონ ნუგზარ ფოფხაძის დისკრედიტაცია მიზნად არ ჰქონია. პირიქით, გზავნილებით „ამშვიდებდა", როგორც ეძახდა, „მამობილს", რომ მისი გვარი არ გაჟღერდებოდა. მორიელის და კუს არაკი ხომ გახსოვთ? ჰოდა, მორიელმა, ანუ ლაშიკომ თავისი არ მოიშალა. თანაც, მავანს, ეტყობა, გაუჩნდა სურვილი ხვედელიძისთვის ხურდად ჩვენც მივეყოლებინეთ. რატომ? — ეს ცალკე თემაა და „რეპორტიორს" და საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება. კარგად დააკვირდით, წყლის ორი წვეთივით ჰგავს ამირეჯიბის, ფარესიშვილისა და ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა ტერმინოლოგია და რიტორიკა...

სხვათა შორის, ამათთვის მოულოდნელი იყო ჩვენი რეაქციაც, რომელიც მხოლოდ, ვიმეორებ, მხოლოდ პირად საუბრებში და მიმოწერაში გავამჟღავნეთ...

თუმცა არ დაიმალა უზნეობა. ეს თბილისია. ყველა ერთმანეთს იცნობს. ჰოდა, როცა შენს ოჯახში მეგობრად მოსული კაცი დიქტოფონით შეიარაღებულია და შსს-ში გარბის ჩანაწერების მისატანად, მას ადექვატური რეაქცია ხვდება საზოგადოების მხრიდან...

ხომ წაიკითხეთ „ქრონიკა+"-ში გამოქვეყნებული ის ჩანაწერი? არ გახსოვთ, რა თავგამოდებით იცავს ჩანაწერში ფოფხაძე „ლაშიკოს" ინტერესებს?! საზოგადოება ბრმა არ არის. სიკეთეს რომ ბოროტებით პასუხობ, ამას ვინ გაპატიებს?

**ამირეჯიბისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა „ჩამშვების", „ჩამწერის" და „ნასედკის" „იარლიყის" მიკერება. ერთადერთი შანსი იყო საზოგადოებას დაეჯერებინა, რომ ჩანაწერი მას არ გაუკეთებია. ვერ მოახერხა ეს და საკუთარი უზნეობის გასამართლებლად ისევ ფოფხაძის ლანძღვა-გინება არჩია, რადგან**

12 gv.

11 gv.

# ყველაფერი გარკვეულია და სულ მალე კეისარს კეისრისა მიეზღვება, ხოლო ამირეჯიბს ფარესიშვილისა

**ფოფხაძე არ დათანხმდა მის „გათეთრებას"! საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ის სატელეფონო გზავნილები, სადაც ფოფხაძის ამაგს იხსენებდა და მისი გვარის ახსენებას ჰპირდებოდა „ჩუკია"... არაერთგზის სთხოვა, რომ გამოსულიყო ფოფხაძე და ეთქვა, რომ ამირეჯიბი არ არის ჩანაწერის ავტორი. უარი მიიღო და გადავიდა აშკარა მუქარაზე.**

ნახა რა „დაბალი ღობე"!!! ჩვენ ბოლომდე თავშეკავებულად ვიქცეოდით. მეტიც — ნუგზარ ფოფხაძეს საჯაროდ სიტყვაც არ დასცდენია! ვუფრთხილდებით 92 წლის კლასიკოსის, ბატონი ჭაბუას სიცოცხლეს და რეპუტაციას. ჩვენ ვუფრთხილდებით, „გუდუნა" — არა! თქვენ რომ გაეცნოთ ჩვენს პირად ფოსტას, რას წერს და რას კადრულობს თბილისელი, ვაკელი „ვაჟკაცი", მას ოჯახში არ შეუშვებთ!

**ახლა მთავარი ამოცანა ამ „ნაგავიდან" ამოსვლა კი არ არის, არამედ ის, თუ როგორ წაგლიჯოს ფარესიშვილმა შსს-ს 300 ათასი ევრო მორალური ზიანისთვის. ამისთვის დარბიან სასამართლოებში, პროკურატურაში, რედაქციებში, ოპოზიციასთან. ამის გამო გაშანტაჟებენ თქვენც!**

და მინდა გავიხსენო ის, რითიც დავიწყეთ: თქვენ აბსოლუტურად სწორად დასვით კითხვა თქვენს პუბლიკაციაში, რის გამოც სასამართლოში ჩივილით გაშინებთ... გახსოვთ, როგორ დუჟმორეული ამტკიცებდა ფარესიშვილი, ამ კადრებზე მე არ ვარ, მონტაჟიაო?! სახე ჩემია, ტანი — სხვისიო... ამირეჯიბიც კომპეტენტურად უდასტურებდა: მე მოქანდაკე ვარ და პროპორციები შემეშლებაო? მერე იძულებულნი გახდნენ, ეღიარებინათ ფირის სინამდვილე. რატომ? „ჭკვიანმა" მრჩეველმა, ეტყობა, უთხრა, მაგ საქმეს არაფერი ეშველებაო და... ეგებ 300 ათასი ევროც გამოსძალოთ ამ სახელმწიფოსო! პირდაპირ იმ ფრანგული ანეგდოტისა არ იყოს: თუ თქვენი გაუპატიურება გარდაუვალია, მოეშვით, დანებდით და მიიღეთ სიამოვნებაო.

ასეა ამათი საქმე! ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ყველას თავისი ტანიც, თავიც, ფეხიც, უკანალიც და... 300 ათასი ევროც! მე იმას ვდარდობ, რომ ეს სახელმწიფო ვერ გაუძლებს ამდენს: თუ სასამართლო შსს-ს დაავალდებულებს 300 ათასი ევროს გადახდას, ჩვენში ახალ ბიზნესს მიეცემა სტარტი — „ფარესობას"... ვიღაც გადაიღებს და გამოაქვეყნებს ფარულ კადრებს და მერე „მორალური ზიანის" ანაზღაურებას მოითხოვს... ასე რომ, ფრთხილად იყავით „საერთო გაზეთში"...

**მოკლედ, ყველაფერი გარკვეულია და კეისარს კეისრისა მიეზღვება, ხოლო ამირეჯიბს ფარესიშვილისა.**

**— გიორგი, ორიოდე დღის წინ „ობიექტივის" ეთერში თქვენს მიმართ ახალი ბრალდება გაჟღერდა, სადაც ანტიკორუფციული სამსახურის ყოფილი უფროსი ვიტალი გრიგალაშვილია მოხსენიებული. რა იცით იმ ფირების შესახებ, რომელზეც იყო საუბარი და რატომ ახსენეს კვლავ თქვენი სახელები?**

— მედია-კავშირ „ობიექტივის" ეთერში გაკეთებულ განცხადებასთან და ჩვენს მიმართ გაჟღერებულ ცილისწამებასთან დაკავშირებით, თითქოს რაიმე ფორმით დაკავშირებულები ვიყავით კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან და ვირტუალურ სახელმწიფო გადატრიალებას ვაწყობდით, ვაცხადებ შემდეგს: ნებისმიერი პირი, რომელიც დაკავშირებული იქნება მედია-ჰოლდინგ „რეპორტიორისა" და მის ხელმძღვანელთა მიმართ გაჟღერებულ ცილისწამებებთან, კანონის წინაშე აგებს პასუხს! მეგობრებს კი ვთხოვ: თუ ვინმემ რამე იცის ორი გარეწრის — ვიტალი გრიგალაშვილის შესახებ, გთხოვთ შეგვატყობინოთ სოციალური ქსელის ან ფოსტის მეშვეობით.

**აქვე დავძენ, პროვოკატორმა ლაშა ამირეჯიბმა ფარესიშვილის „დალუკვა" არ იკმარა და ახლა მორიგ შარში გახვია თავისი ძველი დამქირავებელ-გადამბირებელი პარტნიორები, ვანო მერაბიშვილის ხელისბიჭი, ე.წ. ანტიკორუფციული სამსახურის ყოფილი უფროსი ვიტალი გრიგალაშვილი.**

როგორც „ობიექტივის" გადაცემიდან შევიტყვეთ, ისინი ლაშა ამირეჯიბისთვის ზედმიწევნით ნაცნობი ხერხითა და გაუმჯობესებული ტექნიკით განხორციელებული, ჩანაწერით, შსს-ს აწვდიდნენ „სანდო ინფორმაციას" იმის თაობაზე, რომ თურმე ჩვენ სხვებთან ერთად რაღაც „სახელმწიფო გადატრიალებას" ვამზადებდით...

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პირად საუბრებში ისინი თუთიყუშივით იმეორებენ ლაშა ამირეჯიბის ცნობილ ბოდვებს პრიმაკოვის, დუგინის, კრემლის ფულებით შექმნილი საიტისა და ტელევიზიის "ძირგამომთხრელი საქმიანობის" თაობაზე.

ყველას გაფრთხილებთ, მეგობრებო — ოჯახში შესაშვები არ არიან ეს უბინძურესი ადამიანები!

ვპირდებით ამ პროფესიონალ პროვოკატორებს, რომ მეტისმეტად საინტერესოს გავხდით მათ შემდგომ ცხოვრებას!

ერთადერთი, რაც თავს შეგვაკავებინებს, მათი საჯარო ბოდიშია!

**„სამთვიანი დუმილის შემდეგ, თმენისა და „ხუშტურების" სმენის შემდეგ, მედიაჰოლდინგი „რეპორტიორი" სასამართლოში შეიტანს სარჩელს, სადაც გიორგი ფარესიშვილსა და ლაშა ამირეჯიბს ძალიან ბევრ ცილისწამებასა და ბრალდებაზე მოუწევთ პასუხისგება!**

იმ ცილისწამებასაც, იმ სიბინძურესაც საზღვარი აქვს, რასაც ისინი ჩადიოდნენ. შანტაჟის ენით საუბარი არ გაუვათ, არ გაუვათ საუბარი ძალადობრივი ენით! ყველა ადამიანი, რომელიც დაკავშირებულია „რეპორტიორის" მიმართ გაჟღერებულ ცილისწამებასთან, კანონის წინაშე აგებს პასუხს!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# გააფრთხილეთ შსს-სთან „დაახლოებული" პირი — ლაშა ჭაბუას ძე ამირეჯიბი!




02 აგვისტო, 2013.

ბატონებო! ვიმედოვნებ, რომ თქვენ ჯერ არ დაგვიწყებიათ სამწუხარო და ალმაშფოთებელი ფაქტი, დაკავშირებული მოქ. ფარესაშვილის გარეგნობის მსგავსი პიროვნების ე.წ. „პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული კადრების" გასაჯაროებასთან. ასევე, ვფიქრობ, რომ გამომძიებისთვის კარგად არის ცნობილი ყველა ის დეტალი, რაც ამ სკანდალური ფაქტის ჩაწერასა და გავრცელებას ეხება და, როგორც შსს განცხადებიდან ირკვევა, „უტყუარად დადგენილ" ამ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით, ბრალდება წარედგინა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს გ. ხვედელიძეს, რომელიც თანამდებობიდან იქნა გათავისუფლებული და დაპატიმრებულიც კი. ანუ, თქვენთვის უტყუარად არის ცნობილი, რომ ფარული კადრების არც გადაღებასთან და, მითუმეტეს, არც გავრცელებასთან პირადად მე და სააგენტო "რეპორტიორს" არავითარი შეხება არ გვქონია! სამაგიეროდ, შეხება მაქვს, როგორც მონაწილეს, ერთ შეხვედრასთან, რომელიც შედგა ჩემი უფროსი კოლეგისა და მეგობრის ნ. ფოფხაძის ოჯახში და რომელშიც მონწილეობდა ზემოთ ნახსენები, მაშინ ჯერ კიდევ შს მინისტრის მოადგილე გ. ხვედელიძე და „საზოგადო მოღვაწე" ლაშა ამირეჯიბი, რომელიც დღემდე, გაზეთ „ალიაში" გამოქვეყნებულ ინტერვიუმდე, იწოდებოდა საზოგადოებრივი მოძრაობის „სახალხო კრების" ერთ - ერთ ლიდერად. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ შეხვედრის ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ მოქ. ლ. ამირეჯიბი, ხოლო მთავარი არგუმენტი, რის გამოც ჩვენ დავთანხმდით ამ შეხვედრაში მონაწილეობაზე, გახლდათ ის, რომ მოქ. ამირეჯიბს თურმე „ეშინოდა", რომ შსს შენობაში საუბრის შემთხვევაში მოხდებოდა ამ, ვითომდა კონფიდენციალური" შეხვედრის აუდიო და ვიდეო ჩაწერა. და შეხვედრა უნდა შემდგარიყო „ნეიტრალურ მოედანზე", ანუ იმ სახლში, სადაც მას ექნებოდა უსაფრთხოებისა და გულახდილობის სრული გარანტია. ასეთ „საიმედო ადგილად", მოქ. ლ.ამირეჯიბმა, როგორც თავად განმარტა, „შეარჩია" მამამისის-დიდი ქართველი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის მეგობრის სახლი და დაბეჯითებით სთხოვა მას ამ შეხვედრის მასპინძლობა და მისი ინტერესების დაცვაში ხელშეწყობა. ამ დეტალებზე იმიტომ ვამახვილებ თქვენს ყურადღებას, რომ უკვე რამდენიმე თვეა „საზოგადო მოღვაწე" ლ.ამირეჯიბი ამ ჩვეულებრივი შეხვედრის, მისი შინაარსის, მიზნებისა და შედეგების შესახებ ქმნის რაღაც „იდუმალებით სავსე", უცნაურ აჟიოტაჟს. არადა, ყველაფერი იყო აბსოლუტურად მარტივი: არსებობდა კონფლიქტი პრესის ფურცლებზე, რომელშიც ჩართული იყო სამი პიროვნება - ხელისუფლების რგოლი - გ.ხვედელიძის, გ.ხუხაშვილისა და ლ.ნაცვლიშვილის მონაწილეობით, და „საზოგადო მოღვაწეთა" დუეტი" ლ. ამირეჯიბისა და გ. ფარესაშვილის შემადგენლობით; ორივე მხრიდან იყო სურვილი კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე და, ვიმეორებ, ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე შეირჩა კონკრეტული ადგილი სასაუბროდ! ჩვენი მიზანი არ არის ამ შეხვედრის შინაარსის გადმოცემა. ამას პროფესიული „უსინდისობით" - ცალმხრივად და სიცრუით აკეთებს „საზოგადო მოღვაწე" ლ.ამირეჯიბი. ჩვენი მიზანი უფრო სხვა რამეა, რომლის გარკვევისთვისაც ამ დეტალებზე ყურადღების გამახვილებაა საჭირო, რამეთუ აუცილებლობას წარმოადგენს გარკვევა იმისა, თუ რატომ აღმოვჩნდით მე და ნ.ფოფხაძე ისეთ სიტუაციაში, როცა უსაფუძვლოდ და ყოვლად უზნეოდ ვილანძღებით დიდი ქართველი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბისადმი სიყვარულის, პატივისცემისა და ერთგულების გამო. ჩვენ გვინდა გავერკვეთ შემდეგში:

1. როგორც მოგვიანებით დავადგინეთ, ჩვენთან შეხვედრის წინა დღეს, შსს შენობაში შემდგარა „მეგობრული საუბარი", რომელშიც შსს მაღალჩინოსნებთან(!) ერთად მონაწილეობდნენ „საზოგადო მოღვაწე" ლ.ამირეჯიბი და შსს მინისტრის პირველი მოადგილე გ.ხვედელიძე. იქ შედეგიანად გარკვეულა რაღაც „გაუგებრობები". მაშ, რაღა საჭირო იყო დამატებითი შეხვედრა „ნეიტრალურ მოედანზე", ანუ, კონკრეტულად სწორედ ნ.ფოფხაძის სახლში? ჩვენთვის არ არის ცნობილი ის, თუ ვისი იდეა იყო ეს, ვისი მიზანი, ვინ და რა შედეგს ელოდა ამ მორიგი შეხვედრიდან? რატომ მოვიდა ამ შეხვედრაზე „საზოგადო მოღვაწე" ლ.ამირეჯიბი ფარული ჩაწერისთვის საგანგებოდ ეკიპირებული? სამაგიეროდ, გაგვიჩნდა გონივრული ეჭვი, რომ წინასწარ იყო დაგეგმილი გ.ხვედელიძის წინააღმდეგ რაღაც პროვოკაცია, რომლის მონაწილეებიც უნებლიედ აღმოჩნდნენ გ.მამაცაშვილი და ნ.ფოფხაძე. მეტიც: ამ პროვოკაციის ორგანიზატორი და უშუალო შემსრულებელი უშეცდომოდ ცნობილია -„საზოგადო მოღვაწე" ლ.ამირეჯიბი!

2. ზემოთ მოტანილ „გონივრულ ეჭვს" და ვარაუდს არსებობის საფუძველი რომ გააჩნია, ის ფაქტიც მეტყველებს, რომ „საზოგადო მოღვაწე" ლ. ამირეჯიბმა დაუყოვნებლივ (!!!) წარადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ შეხვედრის აუდიოჩანაწერი, რომელიც ფარულად(!!!) და უკანონოდ(!!!) თავადვე განახორციელა! ჩანაწერი კონკრეტული მაღალჩინოსნების მიერ იქნა მოსმენილი, ასევე კონკრეტული პერსონების მონაწილეობით... რა თქმა უნდა, ამ „კოლექტიური მოსმენის" მონაწილეები ჩვენთვის ცნობილია. აუდიო - ჩანაწერის შსს - ში დაუყონებლივ წარდგენის ფაქტი გვაძლევს საფუძველს, სარწმუნოდ მივიჩნიოთ მორაული ხმები „საზოგადო მოღვაწის" ლ. ამირეჯიბის მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ სპეცსამსახურებთან, რამეთუ ასეთი შესაშური ოპერატიულობა არ არის დამახასიათებელი ახალბედა ენთუზიასტებისთვის. ასე პროფესიულად მხოლოდ შტატიანი „ოპერები" ან „დავერბოვკებული", სტაჟიანი ინფორმატორები („ნასედკები") იქცევიან! ეს ჩემზე უკეთ თქვენ, ახალგაზრდა, გამოუცდელ, ჯერ ნაკლებად „გარყვნილ" მაღალჩინოსნებს თუ არ მოგეხსენებათ, იმათ მაინც კითხეთ, ვინც ფარულ მოსმენა - მიყურადებასა და გადაღება - ჩვენებას კარგა ხანია პროფესიულად კურირებს ან ეწევა... მათ შორის „საზოგადო მოღვაწე" ლაშა ჭაბუას - ძე ამირეჯიბსაც ვგულისხმობ! დიახ, „ბოროტი ენები" იმასაც ღაღადებენ, თუ რა პირობებში, როდის, როგორ გახდა „დათა თუთაშხიას" ავტორის შვილი პროფესიონალი ჩამშვები, „ნასედკა", ჩამწერი და „ოპერატორი"... თუმც, ეს თქვენი და მისი პრობლემაა. შსს-სთვის იმიტომ, რომ გაშიფრული „ინფორმატორი" ნაკლებსასარგებლოა, ხოლო „საზოგადო მოღვაწე" ლ.ამირეჯიბისთვის იმიტომ, რომ ეს მისი პირადი საქმეა და მისი არჩევანი, რაც არ არის ჩვენი განსასჯელი... ყველა თავად ირჩევს საკუთარი ცხოვრების წესს!

ამ „ღია წერილის" მიზანი, როგორც ზემოთ გითხარით, სულ სხვა რამეა, თუმცა მჭიდროდ არის დაკავშირებული ზემოთქმულთან და ამას ბოლოსთვის მოგახსენებთ. გ.ხვედელიძის გადაყენება - დაპატიმრებით ფრთაშესხმულმა და გალაღებულმა „ამირეჯიბმა და კომპანიამ" გადაწყვიტა „საკუთარი მტრების მხილებისა და დასჯის" მასშტაბების და პერსონალური სიის გაფართოება. მას შემდეგ, რაც უშედეგოდ დამთავრდა ამ მიზნით პრემიერ - მინისტრისადმი არაერთგზის საჯარო მიმართვა, „საზოგადო მოღვაწეთა" დუეტმა ბრძოლის ხაზზე გამოიყვანეს მედია - სტრუქტურები. და წამოვიდა ცილისწამების ნიაღვარი, შანტაჟი, უხამსობა... როცა „ნამეტნავად გადააჭარბა", შევეცადეთ პასუხი გაგვეცა. პირველ რიგში, მოვინდომეთ გაგვერკვია მისი სტატუსი, გვაინტერესებდა, ვინ გვებრძვის -„სახალხო კრება" თუ მის ერთ-ერთ ლიდერად „რეკლამირებული" მოქალაქე ლ.ამირეჯიბი. „რეპორტიორის" მიერ გამოქვეყნებულმა ჩემი მოკლე პასუხის შემდეგ უკვე „დასაბმელი" გახდა ეს „საზოგადო მოღვაწე"- დაუზარლად ავრცელებს სოციალურ ქსელებში ყოვლად უაზრო ბრალდებებს და მეტიც: გადადის პირად შეურაცხყოფაზე! ჩვენ კი ვიცით, რომ მისი ეს "აქტიურობა" განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ მედიცინის, კონკრეტულად კი - ფსიქიატრიის სფეროს, მაგრამ ბევრისთვის ხომ ის დიდი ჭაბუას შვილია, რომელსაც ებრძვიან „ლუბლიანკისა და კრემლის ბინადარი" და მისი გაზრდილი მეგობრები... გვემუქრება სასამართლოთი, რაღაც აუდიო-ჩანაწერის გამოქვეყნებით (ვითომ ჯერ არ გამოუქვეყნებია ის ფრაგმენტები, რაც მხოლოდ მას აწყობს და არა სრული ვარიანტი). ვინც შეუშინებია, ის შეაშინოს!... გამოაქვეყნოს! რაც უნდა! თანაც, დროზე! ჯერ ერთი, სათანადო პასუხი გაეცემა ყველაფერს, და არა გვგონია, ამ ჩანაწერით ნათელი არ გახდეს მისი მათხოვრული ბუნება, როცა ხელისუფლებას ეხვეწება თანამდებობას და მის მიერ დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებას... და მეორეც: ვპირდებით სამოქალაქო სარჩელის წარდგენას, რამეთუ ამ „სიმართლისათვის მებრძოლმა რაინდმა" ქურდულად (!), არაკაცურად, ფარულად და უკანონოდ ჩაწერა შეხვედრა იმ ოჯახში, სადაც ლამის ოჯახის წევრად იყო აღიარებული!!! დიახ, ისეთივე პასუხს გავცემთ, როგორც გავეცით და საზოგადოება გავანათლეთ იმაში, რომ არავითარი ერთ-ერთი ლიდერი „სახალხო კრებისა" ის არ არის, რომ ანგარებიანად ეტმასნება სასიქადულო მამულიშვილებს, დიდი ნონა გაფრინდაშვილის მეთაურობით რომ იღწვიან თავიანთი რწმენისთვის.

და, მივედით მთავარ სათქმელთან, იმასთან, თუ რატომ გწერთ ამ ღია წერილს: როცა ორმეტრანი „ოყლაყი" ფიზიკური ანგარიშსწორებით გვემუქრება მე და ჩემს კოლეგებს, თანაც ის, ვისაც, ჩვენი აზრით, მთლად დალაგებული ფსიქიკა ვერ აქვს, ფრთხილი ნაბიჯები უნდა გადავდგათ. და გადავდგით კიდეც ამ მომართვით! უცენზურო, ყოვლად აღვირახსნილი ლექსიკით მომართვისა და სამაგიეროს გადახდის დაპირების შემდეგ ეს „ინტელიგენტი" და, თურმე „ძველი ბიჭი", სოციალური ქსელის მეშვეობით, აი, რას გვითვლის ცალ-ცალკე ადრესატებს: „ ... ქალაქში ყურადღებით იყავით!!" „დაგხოცავთ!.." ...არამგონია, საგანგებო ახსნა-განმარტება სჭირდებოდეს ამ ფრაზას და მასში ჩაქსოვილ ქვეტექსტს და ის გამოწვეული იყოს „საზოგადო მოღვაწის" ლაშა ჭაბუას ძე ამირეჯიბის მხრიდან ჩემი და ჩემი მეგობრების ჯანმრთელობაზე და უსაფრთხო გადაადგილებაზე ზრუნვით... შიში არ მამოძრავებს, როცა ამ ღია წერილით მოგმართავთ! არც ის, თუ როგორ ავრცელებს მოქალაქე ამირეჯიბი მორარულ ხმებს, თითქოს სააგენტო „რეპორტიორს" „მხაკვარი სამსახური -კონტრდაზვერვა" აფინანსებდეს (სტილი დაცულია). სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს ამის მოსმენა „ფარული ჩაწერის" დიდოსტატისგან. ცნობილია, რომ ყველა აგენტს სხვაც თავისნაირი ჰგონია!

ბატონებო! ამ ღია წერილს იმიტომ გწერთ, რომ როგორც საქართველოს მოქალაქე, მოვითხოვ - გააფრთხილოთ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შტატით თუ უშტატოდ მეტისმეტად „დაახლოებული" პირი - ლაშა ჭაბუას ძე ამირეჯიბი, შეწყვიტოს შსს შტატიანი თუ უშტატო თანამშრომლისთვის შეუფერებელი ქმედება! შეწყვიტოს დამოუკიდებელი ჟურნალისტისთვის და მედია - სტრუქტურისთვის ჩვეულებრივ ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა, რაც გამოიხატება ღია თუ ფარული მუქარით(!), ღია თუ ფარული შანტაჟით(!) და სააგენტო „რეპორტიორის" რეპუტაციის შელახვის მიზნით მოარული ხმების, ანუ უსაფუძვლო ჭორების გავრცელებით! დანარჩენს თავად მოვუვლით...

ვინაიდან ამ „ღია წერილს" საზოგადოების წევრებიც გაეცნობიან, გვინდა ხმამაღლა განვაცხადოთ: ჩვენ ვემიჯნებით ყველა იმ ცილისწამებლურ, უხამს (თუნდაც მართალ) განცხადებას, რაც ამ ბოლო დროს ისმის „საზოგადო მოღვაწის" ლ.ამირეჯიბის მისამართით! არაფრის მოგონება არ არის საჭირო, ჩვენმა და სხვა ენთუზიასტი კოლეგების ჟურნალისტურმა გამოძიებამ იმდენი უკვე დაადგინა, რომ „საზოგადო მოღვაწე" ლაშა ამირეჯიბს საერთოდ დაეკარგება სურვილი იაროს დიქტოფონით, ტელეფონით, ჩაწეროს და გადაიღოს ფარულად და უკანონოდ ახლობლები, მამის მეგობრები, საზოგადოების წევრები, გაავრცელოს მისნაირი „ოპერატორების" მიერ გადაღებული და საკუთარი ტელეფონის აპარატში განთავსებული კადრები, რომლებიც ასახავენ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის პირადი ცხოვრების ინტიმურ სცენებს და დააშანტაჟოს მავანნი და მავანნი მსგავსი ჩანაწერებით, ფულის გამოძალვის მიზნით!!! განსაკუთრებით უფრთხილდით ოჯახებში მის დაპატიჟებას. ამ კაცისთვის არაფერი არ არის წმინდა - არც მეგობრობა, არც ახლობლობა და თქვენ წარმოიდგინეთ,- არც ნათელ-მირონი (!!!!!!!!!) (ნათელ-მირონობასთან დაკავშირებით სიფრთხილისკენ მოვუწოდებთ ზოგიერთი სააგენტოს ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს, რომელთა დახმარებითაც დაამონტაჟა უკანონო ჩანაწერები - არ დაგიფასდებათ, პატივცემულო კოლეგებო, თქვენი ღვაწლი... საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი)... დამიჯერეთ, ბატონებო, ჩვენი თხოვნის შესრულება წაადგება შსს-ს ავტორიტეტს... წაადგება საზოგადოებას... თანაც, ეს ადვილი გასაკეთებელია. უფრო ადვილი, ვიდრე ჩემთვის სპეციალური დაცვის გამოყოფა, ისევე, როგორც ეს გააკეთეთ ერთ-ერთი მოქალაქის შემთხვევაში, რომლის „სახეც და ტანიც", მოქანდაკე ლ.ამირეჯიბის „კომპეტენტური" შეფასებით, არაპროპორციულად გამოიყურება იმ ჩანაწერში, რომელიც თურმე ფოტოშოპითაა გაკეთებული და, მიუხედავად ამისა, მაინც ითხოვენ შსს-სგან 300 000-იან კომპენსაციას... ისე, მინდა შეგახსენოთ, რომ პირადად მე კომპენსაცია მაშინაც არ მომითხოვია, როცა 26 მაისს 17რეზინის ტყვიით „დამაჯილდოვა" თქვენი წინამორბედის - მერაბიშვილისდროინდელმა შსს-მ! ახლა თქვენი მოვალეობის შესრულებას გთხოვთ!

პატივისცემით, **გიორგი მამაცაშვილი,**
სააგენტო „რეპორტიორის"
გენერალური დირექტორი

# ფულის გამო ბენდუქიძე ადამიანებს სასიკვდილოდ წირავს?

***გვესაუბრება საქართველოს აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ყოფილი მოადგილე გულიზა ზარდიაშვილი.***

**— ქალბატონო გულო, ჩვენი მოსახლეობისთვის ცნობილია, რომ მე-20 საუკუნეში განსაკუთრებით მოიმატა რადიაციულმა ფონმა. რამდენად საშიშია ეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის?**

— დიახ, მართალი ხართ. ფლორა-ფაუნის დაბინძურება გამძაფრდა ჩერნობილის ავარიის შემდეგ. იმ დროს ყველა ქვეყანაზე დიდი ზიანი საქართველომ განიცადა. შავი ზღვის აუზიდან წამოვიდა რადიაცია, მაგრამ ზღვამ შეაჩერა, თუმცა ჩერნობილის ღრუბელმა კახეთამდეც მიაღწია. დაზარალდა ჩვენი მთიანი მოსახლეობაც. წარმოიდგინეთ, რადიაცია როდესაც კახეთს აღწევს შავი ზღვის ნაპირებიდან, როგორ დააზარალებდა საქართველოს. სვანეთში იმ პერიოდში დიდი ნალექი მოვიდა, ამიტომ ჩაირეცხა ის რადიაციული დაბინძურება, თორემ შედეგი, მხედველობაში მაქვს უარყოფითი, გაცილებით უარესი გვექნებოდა. წარმოიდგინეთ, მაშინ სოფლის მეურნეობის, ზუსტად რომ გითხრათ მცენარეული და ხილის მოსავლის შესაძლებლობა ამოიწურა, რადგან ყველაფერი — ნიადაგი, წყალი, ატმოსფერო დაბინძურდა. საერთოდ გეტყვით, რომ მსოფლიოში, სადაც არ უნდა მოხდეს ეკოლოგიური თუ რადიაციული კატასტროფა, მაინც საქართველოში მოხდება მისი შემოდინება. ამის მიზეზი ჩვენი ქვეყნის რელიეფური ადგილმდებარეობაა. შავი ზღვის აუზიდან ჰაერი აქეთ უბერავს.



**— თქვენი ინსტიტუტი რა მიმართულებით მუშაობდა?**

— ჩვენი ინსტიტუტი დაბინძურებული კერების შესწავლას და აღრიცხვას აწარმოებდა. წარმოიდგინეთ, რომ ნიადაგში, წყალში, ჰაერში ამ ჯაჭვურ კავშირს შეისწავლიდა. ვაწარმოებდით აგრეთვე კომპლექსურ ეკოლოგიურ მონიტორინგს. შესწავლილი გვქონდა დასავლეთ საქართველო, ვაპირებდით აღმოსავლეთში გადმოსვლას, მაგრამ... ტრანსპორტის გამონაბოლქვიც იწვევს გარკვეულ ეკოლოგიურ საფრთხეებს, სწორედ ეს გვქონდა შესწავლილი. პირადად მე სელექციის კუთხით ვმუშაობდი. ვმუშაობდი ლობიოს სელექციაზე. მაგალითად, თუ იყო მოსაზრება, რომ ჯიშის მისაღებად საჭიროა 15 წელი, ჩვენ ოთხ-ხუთ წელიწადში გამოგვყავდა.

**— ბევრ ჩვენს მოქალაქეს ეშინია რადიაციული მეთოდით გამოყვანილი ჯიშების...**

— არანაირი საშიშროება არ არის. ავიღოთ თუნდაც გენმოდიფიცირებული ჯიშები. იქ სხვა სისტემაა. ჩვენთან გენი არ შეგვყავს. არც რადიაციულია. მაგალითად, ჩვენ რადიაციას მხოლოდ ყვავილის დასხივებისთვის ვიყენებდით, რაც აბსოლუტურად უსაფრთხოა ადამიანებისთვის, განსხვავებით გენური ინჟინერიისგან.

**— და მაინც, მინდა გკითხოთ, რამ განაპირობა თქვენი ინსტიტუტის შექმნა?**

— დავიწყოთ იქედან, რომ ატომური იარაღის შექმნამ გამოიწვია გარემოს დაბინძურება. საქართველოში შეიქმნა რადიოლოგიური ლაბორატორია, რომელიც შემდეგ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაექვემდებარა. მისი მთავარი მიზანი ჩვენი ფლორა-ფაუნის კონტროლი იყო. აქვე გეტყვით, რომ ჩვენი ინსტიტუტი ყველაზე ახალგაზრდაა, რომელიც არსებობდა ყოფილ საბჭოეთში. საქართველოში რადიოლოგიის ინსტიტუტი ერთადერთი გახლდათ ამიერკავკასიაში, რომელიც დიდი შრომით და რუდუნებით შეიქმნა. ყველა ინსტიტუტში იყო ბიოფიზიკის განყოფილება, საიდანაც ყველა მეცნიერი მოვდივართ, ვინც იქ ვმუშაობდით. თავდაპირველად ჯერ პატარა ლაბორატორია იყო, შემდეგ გაიზარდა. გიმეორებთ, მსგავსი ანალოგი ამიერკავკასიაში არ არსებობს, მხოლოდ საქართველოშია. აქვე სათქმელია, რომ ჩერნობილის ავარიის დროს ჩვენი ინსტიტუტიდან 15 თანამშრომელი წავიდა. სამწუხაროდ, დღეს ცოცხალი მათგან არავინაა. ყველამ იცოდა, სად მიდიოდა, თუმცა უკან არავის დაუხევია.

**— დღეს თქვენი ინსტიტუტი აღარ ფუნქცინირებს...**

— დარჩა ექვსი-შვიდი თანამშრომელი, ძირითადად ბენდუქიძის ახლობლები. დირექტორს ვერ შეეხნენ, ბატონი ზაურ ჩაქსელიანი აკადემიკოსია, ეტყობა, მაინც მოერიდნენ.

**— გამოდის, რომ, რაზეც თქვენ მუშაობდით, ყველაფერი დაიკარგა.**

— დიახ, სამწუხაროდ, ყველაფერი მოკვდა. ინსტიტუტთან იყო რადიაციული ნარჩენების სამარხი. მისი გადატანა, გაუქმებაც მოინდომეს. წყლის გუბურაც იყო, სადაც რადიაციული ნარჩენები იყო. კახა ბენდუქიძის ხალხი.. შეეცადა, გადაეტანა ნარჩენები ყველანაირი საშუალებით. კიდევ კარგი, მუშებმა უარი თქვეს, თორემ ყველა სასიკვდილოდ იყო განწირული. ამის გარდა, 1991 წლის მიწისძვრის შემდეგ რადიაციულად დაბინძურდა შენობის ნაწილი, სადაც სპეცტანსაცმლის გარეშე შესვლა არ შეიძლება. ბენდუქიძემ მისი გაყიდვაც გადაწყვიტა. რაში ენაღვლება სხვისი სიცოცხლე. როდესაც განგაში ავტეხეთ, იმის შემდეგ შეაჩერეს გაყიდვა და მსგავსი ქმედებები, თუმცა, ალბათ, დროებით.

სტუდენტობა, ფაქტობრივად, აღარ არის ჩვენს სფეროში. უკან მივდივართ. თითო მეცნიერის გაზრდას ათწლეულები სჭირდება. ამის ფუფუნება ჩვენ არ გვაქვს. თავად ბენდუქიძე არც არავის ეკითხება არაფერს და არც არავის აზრს იზიარებს. რაც ღირებული იყო, ჩვენგან წაიღო, მაგალითად, მაგატემ გვაჩუქა დანადგარი, რომლითაც ნიადაგის სრული დიაგნოზის საშუალება გვქონდა. გაერთიანების შემდეგ დანადგარი წაიღო, მაგრამ სპეციალისტი გაათავისუფლა. ჩათვალეთ, რომ ასეთი ძვირფასი აპარატი გადასაგდებია. ღმერთმა დაიფაროს და თუ სომხეთში ატომურ სადგურზე გაჟონვა მოხდა, ხალხი რას გააკეთებს? იცის ვინმემ, როგორ მოიქცეს, რა გააკეთოს? ამაზე ვინმე ფიქრობს? ბენდუქიძისთვის მთავარი ფულია და არა — ხალხი. აბა, სხვა რა უნდა იფიქრო ადამიანმა, როდესაც რადიაციულად დაბინძურებული წყლის გადაღვრას აიძულებ შემთხვევით ადამიანს. ფაქტობრივად, მას სასიკვდილოდ წირავ! ნათქვამი აქვს: რას მაშინებთ იმ გუბურით, თუ საჭირო იქნება, შიგ ჩავხტებიო. ჩამხტომი ნამდვილად არ არის, მაგრამ ვიღაცას ნამდვილად გაწირავს სასიკვდილოდ. ან რადიაციულად დაბინძურებულ შენობას ნორმალური ადამიანი განა მისცემს შემთხვევით პიროვნებას? ნამდვილად არა, მაგრამ ბენდუქიძეს მხოლოდ ფული აინტერესებს და არა ჩვენი ხალხი და ქვეყანა.

**გია ბურდული**

**551 71 27 07**

# საქართველოს იუსტიციის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს

## სასჯელაღსრულების № 18 დაწესებულების პატიმრების

# განცხადება

ქალბატონო თეა, ერთი წელიც არ გასულა, რაც ქართველი ხალხი ბიძინა ივანიშვილის დამსახურებით გათავისუფლდა სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმისგან. ჩვენდა სამწუხაროდ, თქვენთვის საკმარისი აღმოჩნდა ეს მცირეოდენი დრო, რათა გაგეწბილებინათ ჩვენი იმედები.

რამდენიმე დღის წინ თქვენს მიერ გაკეთებულმა განცხადებამ დაგვანახა, რომ მტკიცე მხარდაჭერას უცხადებთ და აგრძელებთ მუხლი 223-ით უდანაშაულო ადამიანების რეპრესირებას. ამ განცხადების შემდეგ, შეიძლება ითქვას, დაეწიეთ და გაუსწარით კიდეც სააკაშვილს დიქტატორიზმში. ვფიქრობთ, ფრაზას „ყველანი ციხეში“ უახლოეს პერიოდში ამ „შეცდომას“ გამოასწორებთ.

ქალბატონო მინისტრო, XXI საუკუნეში ადამიანებს აღარ სჯიან იდეოლოგიის გულისთვის. არსებობენ მასონები, სატანისტები, ფაშისტები, კიდევ მრავალი განსხვავებული მიმდევრობის ადამიანები. მათ მიერ სანამ არ იქნება ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედება, მათი თავისუფლება ხელშეუხებელია.

საზოგადოებისთვის ცნობილია, თუ რატომ წარმოადგენდა უდიდეს საშიშროებას სააკაშვილისთვის ეგრეთ წოდებული „ქურდული ტრადიციები“ და რატომ ახორციელებდა ამ ტრადიციის მიმდევარი ადამიანების სრულ იზოლირებას.

ქალბატონო მინისტრო, შევეცდებით რეპრესიული მუხლი 223-ს უახლოეს ისტორიაში გაგაცნობიეროთ. სკოლაში ზოოლოგიის მასწავლებელი აუცილებლად აგიხსნიდათ, რომ ირმების გადასარჩენად მგლების განადგურება დაუშვებელია.

ხალხისთვის ცნობილია, სააკაშვილმა ავტორიტეტული და პრესტიჟული გახადა ნარკორეალიზატორობა, მათი კლანები ნარკოტიკების საშუალებით მილიარდობით დოლარით მდიდრდებოდნენ. ქურდული წესები კი გმობს და ებრძვის ადამიანებს, ვინც მონაწილეა ნარკორეალიზაციის ქმედებაში. მათ მოიფიქრეს მუხლი 223, რითაც იდეალური კლიმატი შეუქმნეს საპატიმროებსა თუ თავისუფლებაში მყოფ ეგრეთწოდებულ „ბარიგებს“. ამავე მუხლით დღესაც აპატიმრებთ უდანაშაულო ადამიანებს და მათ ორგანიზებულ დამნაშავეებს უწოდებთ არარსებული მტკიცებულებებით.

მუხლი 223 იმ ადამიანების დაწერილია, ვინც ათობით ათასი უდანაშაულო ადამიანი წლების განმავლობაში პატიმრობაში ამყოფა, ვინც მოქალაქეებს უკანონოდ თხუთმეტი მილიარდ დოლარზე მეტი უძრავ-მოძრავი ქონება ჩამოართვა, ვინც გააკოტრა ბანკები, ვინც ახალგაზრდობის 70% გაანარკომანა, ვინც ყოველი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს ავტორიტეტული „ბარიგა“ მიუჩინა.

ქალბატონო მინისტრო, გთხოვთ,ჩვენგან სააკაშვილის ჩადენილი დანაშაულებებისკენ შეტრიალდეთ და მათი მიმართულებით აკეთოთ მწვავე განცხადებები.

ჩვენ დარწმუნებულები ვართ, უახლოეს პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებული იქნება მუხლი 223, როგორც დიქტატურის და ანტიდემოკრატიის ბინძური ნარჩენი.

**გლდანის**
**მე-18 საპყრობილის**
**პატიმრების**
**ორმოცდაერთი ხელმოწერა**

## საკითხზე კომენტარისთვის დავუკავშირდით ადვოკატ ლია მუხაშავრიას.



— ძალიან კარგად ვიცნობ ამ პრობლემას. ნაციონალური ხელისუფლების მმართველობისას არაერთხელ გვქონდა ამაზე საუბარი, რადგან ეს საკითხი წინა ხელისუფლების პერიოდშიც მწვავედ იდგა და იყო მსჯელობები, რომ განეხილათ. თუმცა აღნიშნული პრობლემა მაშინ ვერ მოგვარდა. როგორც ხედავთ, მან თავი ახლაც იჩინა.

ეს საკითხი ევროპარლამენტშიც დაისვა, მაგრამ გაგრძელება არ მოჰყოლია და არ განხილულა.

საკითხით ერთხანს ქალბატონი თეა წულუკიანიც იყო დაინტერესებული და აქტიურად მოითხოვდა, კოდექსიდან ამოეღოთ ის მუხლი, რომელიც ქურდული მენტალიტეტის გამო დასჯას ითვალისწინებდა, მაგრამ, როგორც გითხარით, შედეგი ვერ დადგა.

**— ქალბატონი წულუკიანი თუ ადრე ითხოვდა, ახლა მეტი შესაძლებლობა აქვს და თქვენი აზრით, ახლა რატომ არ იჩენს მსგავს ინიციატივას?**

— როგორც წესი, მან უნდა მიმართოს თხოვნით პარლამენტს და პარლამენტმა უნდა შეიტანოს ეს ჩანაწერი კანონში.

მე არ ვიცი, ამჟამად მას ამ საკითხთან დაკავშირებით რა პოზიცია უკავია, მაგრამ საკითხი რომ მისი მხრიდანაც გაკრიტიკებული იყო თავის დროზე, ეს ჩემთვის ცნობილია.

**— კვლავ რომ დადგეს დღის წესრიგში სსკ ამ მუხლის ამოღება განხილვა, ვინ უნდა გამოვიდეს ინიციატივით? ანუ ვისი პრეროგატივაა საკითხის წამოწევა?**

— პრობლემის გააქტიურება ნებისმიერს შეუძლია. პარლამენტის წინაშე უნდა დაისვას ეს საკითხი. ნებისმიერმა პარლამენტარმა, ფრაქციამ, მინისტრმა უნდა წარადგინოს პრობლემა პარლამენტში განსახილველად — რომ ამოიღონ ეს მუხლი საერთოდ, ან შეიცვალოს ის.

**— ანუ პატიმრების მოთხოვნა ლეგიტიმურია?**

— რა თქმა უნდა, სავსებით მისაღები და ლეგიტიმურია. მე სრულიად ვეთანხმები და ვიზიარებ ამ მოთხოვნას.

*ვაგრძელებთ სააკაშვილის რეჟიმის მიერ რეპრესირებულ ბიზნესმენთა თემას, რომლებსაც ბიზნესის წართმევა არ აკმარეს და ციხეშიც გამოამწყვდიეს.*

***ირაკლი კენჭოშვილის** ბიზნესის მიმართ ინტერესი ბობოლა ჩინოვნიკებს, ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობისას გასჩენიათ. როგორც თავად ბიზნესმენი აცხადებს, იმ პერიოდშიც ამ საქმეში ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები იყვნენ ჩართული.*

# „ნაცბანდამ" ირაკლი კენჭოშვილს ბიზნესის წართმევა არ აკმარა და ციხეში ჩასვა

**ირაკლი კენჭოშვილი:** „1996 წელს მამაჩემმა თავის მეგობრებთან ერთად, აუქციონის მეშვეობით იყიდა სააქციო საზოგადოება „თბილლითონნაწარმის" აქციების 51%, ანუ საკონტროლო პაკეტი მართვის უფლებით. ეს



იყო ყოფილი მექანიკური ქარხანა, რომელიც ნავთლუღის ბაზრის სიახლოვეს მდებარეობდა. შესყიდვიდან მოკლე ხანში მამაჩემი გარდაიცვალა და მემკვიდრეობით მე მერგო მამაჩემის წილი და სააქციო საზოგადოების დირექტორად დავინიშნე. ეს იყო წამგებიანი ობიექტი, რომელსაც შრომითი კოლექტივის გარდა, საგადასახადო დავალიანებაც ჰქონდა. თავის დროზე ეს ქარხანა ფართო მოხმარების საგნებს (ლითონის ანჯამებს და სახელურებს) უშვებდა, მაგრამ მერე ამ საგნებზე მოთხოვნა აღარ იყო, მათი წარმოება ძვირი ჯდებოდა და ფაქტობრივად არ იყიდებოდა, რადგან ქართული ბაზარი გაჯერებული იყო თურქული იაფფასიანი პროდუქციით. რაღაც ახალი უნდა მოგვეფიქრებინა, ამიტომ ორი მიმართულებით დავიწყეთ მუშაობა, გვინდოდა რაიმე ახალი ტიპის პროდუქციის შემუშავება, ფართის ნაწილი კი გამოვათავისუფლეთ, სადაც სავაჭრო ცენტრი მოვაწყვეთ. მოგეხსენებათ, მაშინ ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, მთელი მეველის ქუჩა გარემოვაჭრეებს ჰქონდათ დაკავებული და გვინდოდა ეს ხალხი დახურულ, კეთილმოწყობილ ფართში შეგვეყვანა, რაც გავაკეთეთ კიდეც. როგორც გითხარით, წარმოების კუთხითაც ვმუშაობდით, იმ პერიოდში განახლდა თურქმენეთიდან ბუნებრივი აირის მოწოდება და ჩვენ გაზის პრიმიტიული რეფლექტორი (გამათბობელი) დავამზადეთ, რომლის მასობრივი წარმოება უნდა დაგვეწყო, ყველაფერი მომზადებული გვქონდა, მაგრამ არ დაგვცალდა, 2000 წელს ჩემს მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, მოგვიანებით კი დამიჭირეს კიდეც. ამ საქმით დაინტერესებული ის ხალხი, რომლებიც მოგვიანებით ნაცმოძრაობის წევრები გახდნენ".

**- მოდით ამ საკითხზე უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ.**

- ეს გაკოტრებული ქარხანა თავის დროზე არავის აინტერესებდა, მაგრამ როცა ყველაფერი ავაწყვეთ, ინტერესი გაუჩნდათ ადგილობრივი სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებს. მათ არ ესიამოვნათ გარემოვაჭრეების სავაჭრო ცენტრში გადასვლა, რადგან მათგან ფულს იღებდნენ. იმ პერიოდში ისნის რაიონის პროკურორის მოადგილე ვალერი გრიგალაშვილი გახლდათ, რომელიც „ვარდების რევოლუციის" შემდეგ თბილისის პროკურორი გახდა, მისი ძმა კი პარლამენტარი. იმ პერიოდში ჟვანია-სააკაშვილის გუნდი მართალია, თავს რეფორმატორებად ასაღებდნენ, მაგრამ მაშინაც იმაზე ოცნებობდნენ ხალხისთვის როგორ წაერთმიათ კერძო საკუთრება. შევარდნაძის მმართველობისას ეს ბოლომდე ვერ მოახერხეს, რადგან სასამართლო მეტნაკლებად დამოუკიდებელი იყო. ჩვენ თანამშრომელს (სულიკო ადუაშვილი), რომელიც ამ ქარხანაში წლების განმავლობაში საამქროს უფროსად მუშაობდა, ეს ადამიანი ვალერი გრიგალაშვილის ახლობელია, დააწერინეს საჩივარი, რომ თითქოს ჩვენ გავაყალბეთ აუქციონის შედეგები და უკანონოდ ვიყავით შესული ამ საწარმოში. ამ საჩივრის საფუძველზე აღძრეს საქმე ისნის რაიონის პროკურატურაში. გამოძიების პერიოდში გვაშანტაჟებდნენ ქარხნის ნახევარი დათმეთო, პირადად სულიკო ადუაშვილი გვესაუბრებოდა, რისი ფარული ჩანაწერიც არსებობს, გადაცემა „60 წუთის" ჟურნალისტმა ჩაწერა. ხომ იცით, ვალერი გრიგალაშვილთან ძალიან ახლოს ვარ, რასაც ვეტყვი, იმას გააკეთებს, გადმოგვიფორმეთ აქციები და სს-ის საქმეს მაშინვე შეწყვეტსო.

მოულოდნელად ვალერი გრიგალაშვილი მთაწმინდის რაიონის პროკურატურაში გადაიყვანეს. ისნის რაიონის პროკურატურის ახალი ხელმძღვანელობა ხსენებული საქმის მასალებს როცა გაეცნო. ჩათვალა, რომ აქ არავითარი კრიმინალი არ იყო და სს-ის საქმის შეწყვეტის დადგენილება გამოიტანა. ორი თვის შემდეგ თბილისის პროკურატურამ ხსენებული დადგენილება გააუქმა, ეს უკვე 2001 წელს ხდება, აცილება მისცა ისნის პროკურატურას, საქმე გამოსაძიებლად მთაწმინდის პოლიციის საგამოძიებო სამსახურს გადასცა და ძიებაზე ზედამხედველობა ვალერი გრიგალაშვილს დაევალა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საქმის გაყალბების, მოწმეების დაშინების, ექსპერტიზის დასკვნის შეცვლის და ა.შ. მცდელობა.

საქმეში მოწმეებად იყვნენ ისნის რაიონის სასამართლოს კანცელარიის უფროსი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ქეთინო გაბელაია, რომლებიც თავიანთ პირველ ჩვენებებში აცხადებდნენ, რომ ნამდვილად მოხდა ხსენებული სააქციო საზოგადოების კანონიერი რეგისტრაცია და ყველა დოკუმენტაცია წესრიგში იყო, რომ შესაბამის დოკუმენტზე ამ მოსამართლეს ნამდვილად ჰქონდა ხელი მოწერილი. მოგვიანებით მარტო ამ ხალხის მიმართ კი არა, იმ ექსპერტის წინააღმდეგაც აღძრეს სს-ის საქმე, რომელიც მოსამართლის ხელმოწერის სინამდვილეს ადასტურებდა. საქმის აღძვრის შემდეგ მოსამართლემ ჩვენება შეცვალა, ეს ხელმოწერა მგონი, ჩემი არ არისო, თითქოს მე გავაყალბე მისი ხელმოწერა. პირველად დროს (2002 წელს) დამაპატიმრეს და მოსამართლე მამუკა სონღულაშვილმა 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შემიფარდა. ეს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გავასაჩივრეთ, რომელმაც გაუსვლელობის ხელწერილით გამათავისუფლა. ჩემი გათავისუფლების შემდეგ ეს საქმე პოლიციის საგამოძიებოს ჩამოართვეს და გამოსაძიებლად მთაწმინდის პროკურატურას გადასცეს. საქმეს იძიებდა გიორგი პაპუაშვილი, რომელიც დღეს სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურორია. სწორედ მან გააყალბა ყველაფერი, მოწმეები დააშინა, ექსპერტიზის დასკვნა ხელმოწერის სინამდვილის შესახებ, დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო. დანიშნეს ხელახალი ექსპერტიზა ჩაატარებინეს სამხედრო პროკურატურის ექსპერტს, რომელმაც „დაადგინა", რომ მოსამართლის ხელმოწერა ყალბი იყო. ამ საქმეში ვალერი გრიგალაშვილის გარდა, პროკურატურის მაშინდელი სხვა უფრო გავლენიანი მაღალჩინოსანიც ფიგურირებს, თუმცა ამ ეტაპზე მისი დასახელებისგან თავს შევიკავებ.

**- სასამართლომდე თუ მივიდა ეს საქმე და მეორედ როდის დაგაპატიმრეს?**

- საქმე განსახილველად ისნის რაიონის მოსამართლე ცისანა ხაზალიას გადაეცა. სასამართლო განხილვისას გარდაიცვალა ერთ-ერთი დაზარალებული (ამ საქმეში ადუაშვილის გარდა, კიდევ 4-5 დაზარალებული იყო), ქარხნის სასადილოს ყოფილი გამგე კაპანაძე. აქვე მინდა გითხრათ, თუ რაში მდგომარეობდა ამ საქმის მთავარი უკანონობა — ეს ობიექტი (მექანიკური ქარხანა), სანამ აუქციონზე გაიტანდნენ, სახელმწიფო საკუთრება იყო, თუ რაიმე გაყალბება მოხდა, ამით სახელმწიფოს მიადგა ზარალი, რა შუაში იყვნენ ადუაშვილი, კაპანაძე და სხვები? ისინი იმ მოტივით ჩიოდნენ, ქარხნის კოლექტივის წევრები ვართ, ქარხანა ჩვენი უნდა ყოფილიყოო და თითქოს ჩვენ იქ უკანონოდ ვიყავით შესული. გეგონება სახელმწიფო ასე მუქთად ურიგებდა ქონებას კოლექტივის წევრებს. როცა რაიმე საწარმოს პრივატიზაცია ხდებოდა,



ის გადაკეთდებოდა სააქციო საზოგადოებად, სახელმწიფო აქციების 5%-ს შრომით კოლექტივს ჩუქნიდა, აქციათა 20% მათ შეღავათიანი პირობებით შეეძლოთ გამოესყიდათ გარკვეულ ვადებში, დანარჩენი აქციები აუქციონზე გადიოდა და იქ შეეძლოთ შეეძინათ. ამ ხალხს შეღავათიანი ვადებში არ გამოუსყიდიათ ის აქციები, მიუმეტეს, რომ ვადები გაუგრძელეს, სააქციო საზოგადოების რეგისტრაციაც კი დააგვიანეს. ასე რომ, სახელმწიფოს სრული უფლება ჰქონდა აქციების 95% აუქციონზე გაეტანა. აქ არავითარი კანონდარღვევა არ მომხდარა. ამ ე.წ. მომჩივანებს იქაც არ შეუძენიათ ერთი აქცია, სულ სხვა პირებმა შეისყიდეს.

ერთი სიტყვით, კაპანაძის გარდაცვალების შემდეგ, რახან დაზარალებული აღარ იყო, სასამართლომ ეს საქმე ხელახალ ძიებაში დააბრუნა. ამ პერიოდში უკვე ხელისუფლებაც შეიცვალა და საქმე გამოსაძიებლად ფინანსურ პოლიციას გადაეცა, რომელმაც კაპანაძის ნაცვლად, დაზარალებულად სახელმწიფო სცნო, რაც ცხადია, უფრო სწორი მიდგომა იყო. მფლობელები ისევ ჩვენ ვიყავით, როცა საწარმოს ტერიტორიაზე ნაცმოძრაობის წევრები შემოიჭრნენ და იქიდან გამოგვყარეს. მერე თვითონაც აღიარეს, რომ ისინი მართლაც ნაციონალები იყვნენ, ვითომ დატუქსეს ეს ხალხი, მაგრამ ჩვენ უკან ვერ შევედით, რადგან სულ სხვა პირებს ჰქონდათ იქაურობა დაკავებული, რომლებმაც უკანონოდ მიითვისეს.

ამის პარალელურად მიმდინარეობდა ძიება, რომელსაც გამომძიებელი რობერტ გრიგალაშვილი აწარმოებდა. უკვე იწურებოდა ჩემი გაუსვლელობის ხელწერილის ვადა, ამიტომ რაიმე გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ. ის აბსურდული ბრალი კიდევ უფრო დამიმძიმეს, თაღლითობასთან ერთად ყალბი აქციების დამზადება და გასაღებაც დამაბრალეს, 2005 წლის ნოემბერში დამაპატიმრეს და წინასწარი პატიმრობა შემიფარდეს. ერთ თვეში ჩემი კომპანიონებიც დააკავეს, თსუ-ის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი ნუგზარ პაიჭაძე და სპორტის დამსახურებული მოღვაწე ოთარ მიქელაძე, ხოლო ჩემი დის ქმარი, ნუკრი ალადაშვილი ძებნილად გამოაცხადეს. წინასწარი პატიმრობის დროს ჩვენზე მიდიოდა ზეწოლა, რომ აქციები სახელმწიფოსთვის გადაგვეფორმებინა. ვალერი გრიგალაშვილი თუ თავის დროზე კერძო პირებისთვის გადაფორმებას მოითხოვდა, გამომძიებელი კაკულია და პროკურორი ვაჭარაძე გვაიძულებდნენ სახელმწიფოსთვის გვეჩუქებინა, რის სანაცვლოდაც გათავისუფლებას გვპირდებოდნენ.

**- დათანხმდით ამ შეთავაზებას?**

- თავიდან უარს ვამბობდით, გვეგონა სასამართლოზე დავამტკიცებდით ჩვენს უდანაშაულობას. 2005 წლის დეკემბერში კვლავ მოვიდნენ კაკულია და ვაჭარაძე ხსენებული ულტიმატუმით და უარი რომ ვუთხარით, მეორე დღესვე სრულიად უმიზეზოდ კარცერში ჩამაგდეს, მერე გავიგე, რომ თურმე ჩემი საკნის ე.წ. კლუჩნიკისთვის (ზედამხედველი) სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხოფა მიმიყენებია და იმიტომ დამსაჯეს. მანამდე შიმშილობაც გამოვაცხადე, მაგრამ ყურადღება არავის მოუქცევია. პატიმრები და სხვათა შორის, ადვოკატებიც მეუბნებოდნენ, აზრი არ აქვს არა-

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ფერს, სასამართლომდე მაინც არ მიგიყვანენ, რომც მიხვიდე, მინიმალური შანსია გაგამართლონ, მაინც გაიძულებენ რომ დათმო, ამიტომ გირჩევნია დროზე უშველო თავსო. სხვათა შორის, მაშინ ჩემთან ერთად კარცერში ჟურნალისტი შალვა რამიშვილიც იყო. იქ ერთ-ერთმა პატიმარმა საბანი თუ ლეიბი დაწვა. მოგეხსენებათ კარცერი სარდაფშია, არ ნიავდება, კვამლით გაივსო იქაურობა, ვიხრჩობოდით, ვყვიროდით, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია. ლამის ორი საათი ამ მდგომარეობაში ვიყავით, ბოლოს როგორც იქნა გამოგვიყვანეს. შალვამ ამასთან დაკავშირებით იჩივლა კიდეც. ამ ინციდენტის მერე მივიღე გადაწყვეტილება, რომ დაგვეთმო კუთვნილი აქციები. მითუმეტეს, რომ ჩემ კომპანიონებზეც მიდიოდა ზეწოლა, რომლებიც ასაკოვანი ხალხია. დაპატიმრების დრო ნუგზარ პაიჭაძე საავადმყოფოში იწვა. ის რეანიმაციული განყოფილებიდან გამოიყვანეს და საკაცით შემოიყვანეს საპატიმროში. ოთარ მიქელაძე ციხეში დაავადმყოფდა, დღეს დიალიზით მკურნალობს. გავითვალისწინე ჩემი სიძის მდგომარეობაც, რომელიც სამშობლოდან გადახვეწილი იყო.

გარდა ამისა, ჩვენი ოჯახის წევრებზეც მიდიოდა ზეწოლა, მათ სისტემატურად უთვალთვალებდნენ და აშანტაჟებდნენ. ნუგზარ პაიჭაძის მეუღლეს, რომელმაც დირექტორის პოსტზე შემცვალა, დაჭერით ემუქრებოდნენ, ამიტომ იძულებული გავხდით აქციები დაგვეთმო. მითუმეტეს, რომ ხმები მოგვდიოდა უკვე ბევრ ადამიანს წაართვეს ბიზნესი, ხალხი ისეა დაშინებულ, შეწინააღმდეგებასაც ვერ ბედავსო. ჩვენს მეუღლეებზე გავეცით მინდობილებები და მათ გადაუფორმეს ეკონომიკის სამინისტროს ხსენებული აქციები ჩუქების წესით. ამის შემდეგ ერთ კვირაში (2006 წლის 31 იანვარს) საპროცესო შეთანხმებით სამივე გამოგვიშვეს. 500-500 ლარითაც დაგვაჯარიმეს. ერთწლიანი პირობითი სასჯელი მხოლოდ ოთარ მიქელაძეს მისცეს, რადგან მან ჯარიმის თანხა არ გადაიხადა.

**- დღეს ვინ ფლობს თქვენს ქონებას და თუ მიმართეთ მისი დაბრუნების მოთხოვნით მთავარ პროკურატურას?**

- ჩვენი აქციები რამდენჯერმე გაიტანა ეკონომიკის სამინისტრომ აუქციონზე, თავიდან 800.000 დოლარად, მაგრამ მყიდველი არ გამოჩნდა, ბოლოს 310.000 დოლარად, ვინმე დოლიძემ შეიძინა. დიდი ეჭვი მაქვს, რომ ის ჩვენს მომჩივნებთან რაღაც კავშირშია, რადგან სულიკო ადუაშვილი დღემდე ამ სააქციო საზოგადოების დირექტორია, აქციები სახელმწიფოს საკუთრებაში რომ იყო, მაშინ დანიშნეს ამ პოსტზე და ახალ მფლობელსაც არ შეუცვლია.

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მართლაც მივმართეთ პროკურატურას, მანამდე აზრი არ ჰქონდა, რომ გვეჩივლა, დარწმუნებული ვარ ისევ დაგვიჭერდნენ. ახალი ხელისუფლების იმედი გვქონდა, რომ დაიწყებდნენ წართმეული ქონების დაბრუნება, მითუმეტეს, რომ ჩვენ კეთილსინდისიერი მყიდველები ვიყავით. რა თქმა უნდა, პირდაპირ არავინ დაგვიბრუნებდა, მაგრამ გვეგონა დაიწყებოდა ხელახალი გამოძიება და სიმართლე გაირკვეოდა. მხოლოდ ერთხელ დაგვიძახეს თბილისის პროკურატურაში, სადაც არის შექმნილი ამგვარი საქმეების საგამოძიებო ჯგუფი, ჩვენება ჩამოგვართვეს და ამით დამთავრდა ყველაფერი. დავინტერესდით, რა გაგრძელება ექნებოდა ამ ყველაფერს, ზემოთ მიიღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და ამის მერე მოხდება ალბათ რეაგირება, ჩვენ ვერაფერს ვწყვეტთო. პატარა იმედი მაინც შემომრჩა, რომ სიმართლე გაირკვევა და უკანონოდ წართმეულ ქონებას დავიბრუნებთ, მაგრამ ხომ ხედავთ, ახლა „ირკვევა", რომ თურმე ნაციონალები დამნაშავეები არ ყოფილან და ჩვენ ყველაფერს ვუგონებთ.

**მანანა სუხიშვილი**

**599 51 28 24**

## გთხოვთ, მომცეთ სიტყვა!

# „ჰეი, ბიჭო, სამშობლოსთან არაფერი შეგეშალოს!"

„ჰეი, ბიჭო, სამშობლოსთან არაფერი შეგეშალოს!" – გვაფრთხილებს პოეტი, თუმცა ზოგიერთებთან არც გაფრთხილება ჭრის, არც შეგონება, არც დაყვავება – სამშობლო ფეხქვეშ აქვთ გადებული და ისე თელავენ, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადს.

დავით უსუფაშვილმა 17 აპრილს პრაღაში ვიზიტისას განაცხადა, რომ ნაც.ბანდის გადარჩენა საქართველოში დემოკრატიის გადარჩენას ნიშნავს და ბინძური ნაცები ეროვნულ მოძრაობას გაუთანაბრა. ის იქვე ახმოვანებს კოალიციის მიზნებსაც, რომ მათ ინტერესებში არ შედის ყოფილი ხელისუფლების წევრთა ბრალმდებლად ყოფნა, მაგრამ უნდა აღვადგინოთ სამართლიანობაო.




ძვირფასო მკითხველო, ამ აბდაუბდიდან რამე თუ გაიგეთ? დავითი აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიების დაკარგვისთვის არავის დავადანაშაულებო, არ დავსჯით მკვლელებს, მწამებლებს, მამაკაცის გამაუპატიურებლებს, სხვისი ქონების ყაჩაღურად მიმთვისებლებს, ბიზნესის დამტერორებლებს, არჩევნების გამყალბებლებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქმედებები სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად იქცაო. საკუთრების უფლების დაცვის ნაცვლად მიტაცებული ქონების წილშიც ჩავუჯდებით ნაცებს, გულშიც ჩავიხუტებთ, მათთან მოლაპარაკებებსაც გავმართავთ და თქვენი სიღატაკის ფონზე 20 მილიონ ლარ პრემიასაც გამოვიწერთო. ამგვარად, სამართლიანობაც აღდგება და ქვეყანაც აშენდებაო. ანუ, როგორც დავითი ბრძანებს, ყველა დანაშაულს, რაც ნაცებმა ჩაიდინეს, გავათეთრებთ და „გავაპრავებთო".

ქვეყნის პრემიერი ვერ მიკარნახებს პატივი ვცე თუ არა უსუფაშვილს, რამეთუ, პიროვნება თავად უნდა აღვიძებდეს ხალხში პატივისცემას, თავისი განვლილი გზით, ეროვნული თვითშეგნებით, ქვეყნისა და ერის ტკივილის გათავისებით.

არც მეორე დავითი, ზურაბიშვილი ჩამორჩება პირველს და მყარად არის დარწმუნებული, რომ „რესპუბლიკელებს" პარლამენტში ვერცერთი პარტიის წარმომადგენლობა ვერ ჩაენაცვლება და ეროვნულ იდეოლოგიას მონურ ცნობიერებად განიხილავს. როცა სამართლიანობის აღდგენაზეა საუბარი, ზურაბიშვილი ამ საკითხის 17 მაისის თემით გადაფარვას ცდილობს და გვმოძღვრავს, რომ არსებობენ მუსლიმანი, ათეისტი, კათოლიკე ქართველები, და ქართველობა მხოლოდ მართლმადიდებლობასთან არ ასოცირდებაო. ანუ ზურაბიშვილი გვეუბნება, რომ შეგვიძლია მივიღოთ ისლამი, კათოლიკური მრწამსი, რა მოხდა, მაინც ქართველები ვიქნებითო. მივესალმები მის განთავისუფლებას განათლების სისტემიდან და შევახსენებ, რომ მართლმადიდებლობამ შეგვინარჩუნა დედა-სამშობლო.

არაერთი დავითად წოდებული ულირსი მოიაზრებოდა როგორც ნაცებში, ისე ამჟამინდელ კოალიციაში, რადგან ერთ ხორც და ერთ სისხლ არიან დღეს. სისხლი – მეთქი ვამბობ, თორემ ევროპა – ამერიკის შიგთავსიდან ამოფრქვეული სიმყრალე უდუღთ ძარღვებში და საუკუნეობით შენარჩუნებულ ზნეობას და ტრადიციას ამერიკული თუ ევროპული დამპალი იდეოლოგიით უტევენ.

ეს ის შემთხვევაა, როცა ქვეყნის წინაშე მოვალეობა, სინდისი, მორალი და ზნეობა ფულმა ჩაანაცვლა.

ამერიკული „პროექტი" – ირაკლი ალასანია ნაცბანდას მტრად არ მიიჩნევს, რადგან ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის მიმართ განხორციელებული კრიმინალური ქმედებები მისი გამრუდებული ცნობიერებით სწორედ ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით ხდებოდა. ამ ცნობიერების ადამიანი პოტენციური კრიმინალია და მეოცნებეც, მაგრამ ძველი ნაცების ახალ სიცოცხლეზე.




ქართველი პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილი შეგნებულ თუ შეუგნებელ სულიერ სიბეცეს იჩენენ თანამედროვე მსოფლიოს გეოპოლიტიკური პროცესების მიმართ, უგულვებელყოფენ ისეთ პრიორიტეტებს, როგორიც არის მართლმადიდებლური ეკლესიის როლი, ტრადიციები და სწორედ მსოფლმხედველობისა და სულიერების ასეთი გაუკულმართების შედეგია ლგბტ საზოგადოების მოძალებაც.

წამყვანი ქვეყნების მმართველ ძალებს არ სჭირდებათ, რომ მისი მმართველობის ქვეშ მყოფ ხალხებს რაიმე ფასეულობები გააჩნდეთ. ისინი მიმართულნი არიან მოსახლეობის დეგენერაციისკენ, რათა გაურკვეველ მასად აქციონ.

პრემიერს აქვს დღეს ნდობის მანდატი არა ლგბტ საზოგადოებისგან, არამედ სრულფასოვანი უმრავლესობისგან და არ უნდა დუმდეს, როცა ვარდისფერი ჭირის შემდგომ ცისფერი ჭირი გვიტევს.

ფინანსდება ახალი პროექტი, რათა შემოდგომიდან ჩატარდეს ტრენინგები „ლგბტ მგრძნობელობის ამაღლება სტუდენტებში", რაც მცდელობაა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ცნობიერების ახალგაზრდების გარყვნის, ანუ უკანალმოთანთალეთა ახალ შემოტევას უნდა ველოდოთ. დღეს რატომღაც არავინ საუბრობს იმაზე, რომ ისეთი ინფექციების გადამტანი, როგორიც არის შიდსი, ვენერიული დაავადებები, ჰეპატიტები, ძირითადად, ნარკომანებისა და ჰომოსექსუალების მეშვეობით ვრცელდება. როგორც ჩანს, ლგბტ უკანალი გარკვეული წრეებისთვის ეროვნული განძია, ხოლო განძს მოფრთხილება და დაცვა სჭირდება, ემანდ არავინ შეეცილოთ.

სწორედ ამიტომ შემუშავდა იუსტიციის სამინისტროს მიერ ქართული ეროვნული სახელმწიფოსათვის სამარცხვინო კანონპროექტი, რომელიც საქართველოში შტეფან ფულეს ვიზიტს დაემთხვა. ამ ანტიდისკრიმინაციული კანონოპროექტის თანახმად, შემოღებული იქნება „თანასწორობის დაცვის ინსპექტორის" თანამდებობა, რომელიც სექს.უმცირესობათა სარცხვინელზე თმის დათვლით იქნება დაკავებული, ემანდ, ღერიც არავინ ჩამოუგდოს.

სარცხვინელი-მეთქი ვამბობ, თორემ სირცხვილი გაუგებარ ცნებად იქცა, ლამის ტარი გამოაბან და დროშადააფრიალონ.

პარტია „თავისუფალი საქართველოს" მიერ პარლამენტში შევიდა კანონპროექტი, რომელიც ნაწილობრივ, მხოლოდ სამლოცველოებთან კრძალავს ლგბტ აქციებს. ბ-ნო კახა! თამამად, პრინციპულად იმოქმედეთ! ასე მიპარვით, ნაბიჯ-ნაბიჯ ვერ დავამკვიდრებთ ზნეობას დღევანდელ სინამდვილეში და ლგბტ წარმომადგენლები ეკლესიის გვერდით, ბუჩქებში გადაინაცვლებენ თავიანთი ბინძური ზრახვების განსახორციელებლად.

არ გამკვირვებია ბერძენიშვილის განცხადება, პრეზიდენტად ბურჯანაძეს ნაცბანდის ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე, ყველა კრიმინალის გამპრავებელი დ. ბაქრაძე მირჩევნიაო. ლევანს რა ურჩევნია, ქართველ კაცს ქართულ ასოზე ჰკიდია, რამეთუ არახალია მათი იდეოლოგიური თანხვედრა. ეს გარემოება ბაჩო ახალაიას 3 ეპიზოდში გამართლებამ და ლ. ბერძენიშვილისა და მისი სულიერი დის თ. ხიდაშელის განცხადებებმაც დაადასტურა.

პარლამენტარებო! თქვენ პოლიტიკურ მთხლეობას, უსუსურობას დემოკრატიად მისაღებთ, რათა დასავლეთის მხარდაჭერით ერთად დაანგრიოთ ქართული სულიერება.

სასამართლო იმდენად თავისუფალია სინდისის, ზნეობის და კანონის უზენაესობიდან, რომ მკვლელებს, მანიაკებს, მწამებელ ჯალათებსაც ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან.

კოალიციამ ამომრჩეველი მოატყუა და ქართული სახელმწიფოს ნაცვლად, ლიბერასტული მმართველობის დამკვიდრებას ცდილობს. ხელისუფლება თავად ახდენს საკუთარი თავისა და ქვეყნის დისკრედიტაციას, როცა ფარული ჩანაწერების განადგურების საკითხსაც ტომას ჯეფერსონთან ათანხმებს.

***P.S.** ბოლოს ნოდარ დუმბაძისეული პათოსით მინდა მოგმართოთ: - გაიღვიძეთ, სამშობლოს გამყიდველებო, ნარკომანებო, მკვლელებო, მკვლელობის შემკვეთებო, „პროქტოლოგ-პედერასტებო, დამყაჩაღებლებო, მწამებლებო, კრიმინალთა მფარველებო, მანიაკებო!" გაიღვიძეთ, თქვენი დრო დადგა!*

**იზა თამაზაშვილი**

ფილოლოგი – აღმოსავლეთმცოდნე

**ტელ: 593 90 55 07**

# რეპორტაჟი თურქული „პლეხანოვიდან"

ბოლო წლებია თბილისს „ახალი ძველი" უბანი შეემატა - თურქული პლეხანოვი. ნაბიჯ-ნაბიჯ, სახლ-სახლ, რესტორან-რესტორან, მაღაზია-მაღაზია მრავლდებიან. სოკოებივით მოედვნენ აღმაშენებელს, ჯავახიშვილს, წინამძღვრიშვილს და უზნაძეს. არც პატარა ქუჩებს თაკილობენ: ტოსტონოგოვს, კიევსა თუ შეროზიას. პლეხანოვის დასაწყისშივე ერთ მხარეს დიდი თურქული სასტუმროა, მეორე მხარე კი თურქეთის ავიახაზების ასევე ვრცელი ოფისი და მერე გრძელდება უსასრულო მწკრივი რესტორნებისა თუ მაღაზიებისა. საღამოს პლეხანოვი კი... აი, სანახავი საღამოს პლეხანოვია, მოდიხარ და წინ, გვერდით და უკან შავი, ულვაშიანი, ღიპიანი თუ გამხდარი თურქი მოგყვება. ირგვლივ თურქული საუბარი გესმის (ჟღერადი ენა მაინც იყოს). სკვერებში თურქები სეირნობენ, მეტროს შენობაში თურქები დგანან, მეტროს წინ რკინის ძელებზე თურქები სხედან ბოლო მოდელის აიფონებით ხელში. კანტიკუნტადღა გესმის ქართული შეძახილი - აუ, თურქეთში ვართ? - მეზობელი გოგო შემომხვდა, გამიხარდა ქართველის და მით უფრო ნაცნობი ქართველის დანახვა - სტუმარი გამოვიყვანეო, პატარა თურქეთის სანახავად...

სხვა ქალაქებშიც არსებობს მსგავსი კვარტლები, არაბების, ჩინელების და სავარაუდოდ, თურქებისაც, მაგრამ თბილისი არც ისე დიდი ქალაქია და თანაც სხვა დიდ ქალაქებში არავინ უთმობს ქალაქის ცენტრალურ და ერთ-ერთ ყველაზე ძველ უბანს უცხოელებს. ქართველები - მერე რა? - ხალხი ვართ. მერე რა, რომ ბათუმში ყველა დიდ თუ პატარა ბიზნესს თურქები განაგებენ? მერე რა, თუ თურქეთის განათლების სამინისტროს მიერ გამოცემულ ისტორიის სახელმძღვანელოში ბათუმი თურქეთის ნაწილადაა მოხსენიებული? მერე რა, თუ ბოლო წლებია თურქულ პროდუქტს მივირთმევთ და თურქული „ევროპული" ბრენდები გვაცვია? ჩვენც ხომ ჩავდივართო თურქეთში სამუშაოდ? - და მერე რა, თუ იქ ყველაზე აყროლებულ უბანში ვცხოვრობთ და კაპიკებს გვიხდიან? სრული კომფორტისთვის, თავად ჩაგვისახლდნენ ჩვენს უბნებში და აქაც კაპიკებს გვიხდიან?

ოდესაღაც ერთ-ერთი ყველაზე გემოვნებიანი ქალაქი სანდლებიანი და ჰალსტუხიანი ბიძიების საცხოვრებლად გადაიქცა. ჩემი ქართველი მეზობელი თურქს გაყვა ცოლად და ღორის ხორცს აღარ მიირთმევს და პირჯვარს აღარ იწერს, ჩვენი თურქი პლეხანოველი კი, აქ, თავისი სამშობლოდან შორს, ყველაზე მომგებიან პროდუქტს - სპირტიან სასმელს არ ყიდის მაღაზიაში, რელიგია მიკრძალავსო...

ტყუილს ვერ ვიტყვი, მომსახურება კარგი იციან. ძვირსაც არ გახდევინებენ. თურქულ რესტორანში მენიუ ათი ლარიდან იწყება და პური, ჩაი უფასოა. თუ რამდენჯერმე ესტუმრები ერთი იმავე თურქულ რესტორანს, მეპატრონე აუცილებლად მოგართმევს რომელიმე ახალ კერძს გასასინჯად, მადლიერების ნიშნად. ფორუმებზე უკვე ხშირად შევხვდებით თურქული კერძების რეცეპტების მაძიებელ ქართველებს. მერე რა, რომ თურქების ტკბილეული არ მოსწონთ, სამაგიეროდ, ბარდის სუპი და თურქული სანელებლით შეზავებული ქართული ქათამი ჰქონიათ გემრიელი.

ჩვენი ძვირფასი თურქი პლეხანოველები ისე საყვარლად ზრუნავენ იმაზე, თუ როგორ დავხარჯავთ ქართველები იმ ორიოდე გროშს, რომელსაც ერთობ სამარცხვინო სახელი - ხელფასი ჰქვია, რომ პლეხანოვი, ჩვენი ძველი, კარგი მსმელი და დამრტყმელი ბიჭების უბანი და თბილისელი მანდილოსნების საშოპინგე ადგილი, ძონძების ქუჩად იქცა... ბრენდებს ნელა მაგრამ ჯიუტად ანაცვლებენ მაღაზიები, რომლებსაც ამშვენებთ წარწერები: - მაისური - 5 ლარად, პერანგი - 7 ლარად, შარვალი - 8 ლარად... „ტიტუუ, რა ბევრია"... ყველამ იცის, რომ ბავშვის ტანსაცმელი მეტნაკლებად ხარისხიანი უნდა იყოს და მეტნაკლებად ძვირიც ღირს ხოლმე, შესაბამისად. მაგრამ პლეხანოვზე თურქულ მაღაზიაში ბავშვის და მოზარდის კედებს 10 ლარად და ბოტასებს 15 ლარად იყიდი... მერე რა, რომ უხარისხოა, ხარისხიანი თურქების ხარისხიან ბავშვებს აცვიათ, გენაცვალე. გენაცვალეზე გამახსენდა - პლეხანოვზე შავი და შეუხედავი თურქების დანახვაზე რამე ცუდი რომ არ გვეფიქრა, ტელევიზიით ლამაზი, ფერუმარილიანი მსახიობების მონაწილეობით სერიალები დაუსრულებლად გადის... სერიალის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ის გახლავთ, რომ მაქსიმუმ 35-წუთიან სერიებად გადის. აქ კი, უკაცრავად, პირდაპირ ძლიერი, დარტყმითი ჩვენება გვაქვს — 2-საათიანი. ვისლა ახსოვს მარიო ჩიმაროსათვის წინდების ქსოვა, სავაშ ბეი და ონურ ბეი გავიხადეთ იდეალებად. გასასამართლებელი საბუთი მზად გვაქვს — ეს სხვანაირი სერიალიაო! — რამდენად სხვანაირი? სასიყვარულო ინტრიგაზე არ არის? ნუთუ ამ სერიალში მეგობარს მეგობრის საცოლე არ უყვარს? ამ სერიალში შვილი არ იგებს, რომ თურმე მისი მამა - მისი მამა სულაც არ ყოფილა? ამ სერიალში შეყვარებულები ბევრი სულელური მიზეზის გამო არ კამათობენ და ბოლოს ისევ ერთად არ რჩებიან? დაბოლოს, ამ სერიალში არ ამბობენ ჩვენი დროის ყველაზე უაზრო ფრაზას? - საყვარელო, ეს ის არ არის, რაც შენ გგონია?! პოსტი ვნახე გუშინ ინტერნეტში, ერთი ქალბატონი წერდა — ბრაზილიურ სერიალებში გარყვნილებაა და თურქული სერიალები გრძნობებზეა აგებულიო. ჰოდა, იმათთვის, ვისაც ბრაზილიური გარყვნილება უკვირს ან დააკლდა, თურქებმა ვარდების ბაღის მიპირდაპირე მხარეს ქართული ბორდელი გახსნეს, ქართველი ჯიშიანი გოგოებით, რომლებიც მერე თქვენს საჯიშე ბიჭებთან უჯიშო შვილებს გააჩენენ... თავი შეგვიძლია იმით დავიმშვიდოთ, რომ, სამაგიეროდ, ქართველ გოგონებს ამ უძველესი პროფესიის ნიუანსების დასახვეწად თურქეთში გადასვლა არ სჭირდებათ, აქვე, პლეხანოვზე, მამების, ძმების და ქმრების თვალწინ ერთობიან და ამ გართობაში აღებული ფულით ქმრისთვის სიგარეტი და ოჯახისთვის საკვები მიაქვთ.... და ვარდების ბაღსა და ვარდებზე გამახსენდა, ნეტავი, თურქებმა მას მერე მოიფიქრეს პლეხანოვზე ჩასახლება, რაც ჩვენმა პრეზიდენტმა ეს უბანი გაალამაზა, თუ იგივე პრეზიდენტმა ეს უბანი იმიტომ გაალამაზა, რომ აქ თურქებს უნდოდათ დამკვიდრება? რა ვიცი, რა ვიცი...

მერე რა, რომ კანონის მიხედვით უცხო ქვეყნის მოქალაქეს სასოფლო-სამეურნეო მიწების ფლობის უფლება არა აქვთ, დაილოცოს 300-წლიანი იჯარა (კახეთის საძოვრებსა და სახნავ-სათეს მიწებზე. 300 წლის შემდეგ კი, მოგეხსენებათ, ან ვირი იქნება, ან ვირის პატრონი ჩინელი) და დაილოცოს ჩვენი პრეზიდენტი, რომელიც ასე გულუხვად არიგებს საქართველოს მოქალაქეობას. რამდენიმე დღის წინ ჯავახიშვილზე კიდევ ერთმა თურქმა შეიძინა ბინა 32 ათას დოლარად. ჩამოასახლა ოჯახი. დაატარებს შვილებს თურქულ ან ინგლისურ კერძო სკოლაში, ირგვლივ სახლობენ მისი მეგობარი თურქებიც, ერთად შოულობენ ფულს და ერთად ლოცულობენ ყურანზე.

მე ერთი უბრალო, სოფლიდან დედაქალაქს შემოკედლებული გოგო ვარ, პლეხანოვზე ერთი კენჭიც არ მოიძებნება ჩემს სახელზე, მაგრამ ცუდად ვხდები, როცა ვხედავ ძონძებად ქცეულ, თურქული წარწერებით გადავსებულ პლეხანოვს, სადაც ქუჩის ონკანიდან წყალიც კი ვერ დამილევია, რადგან ჩემს წინ მდგომმა თურქმა უკვე დადორბლა ონკანი, ამიტომ ისევ თურქულ მარკეტში მიწევს შესვლა, ერთი ბოთლი ქართული წყლის საყიდლად. ჰოდა, თქვენ, ჩემო პლეხანოველებო, კარგებო და კეთილებო, მთვარობისგან მიტოვებულნო და თურქი

ვაი-ბიზნესმენების ხელში ჩაცვენილნო, ნუ დაუშვებთ, რომ წლების შემდეგ თქვენმა შვილიშვილმა, 30-ე თაობის პლეხანოველმა, თავისი საკუთარი ჭერი კი არა კენჭიც ვეღარ იპოვოს პლეხანოვზე, მოგიბრუნდეთ და გითხრათ - თქვენი კარგებიცა და კეთილებიცო... კიდევ კარგი იქნება, იმ დროისთვის გინება მაინც თუ იქნება შემორჩენილი ქართულ ენაზე და თურქულად არ შემოგიკურთხებთ...

**P. S. წლების წინ ერთი მუსლიმანი ბიზნესმენი გავიცანი, მითხრა, ქართველები სულ წუწუნებთ, თურქები და აზერბაიჯანელები არ გვამუშავებენ და აი, ვინც ავიყვანე სამსახურში, სამუშაო საათებს და საქმეს ხომ „მიხალტურებს" და ორშაბათს კიდევ ან ვერ მოდის, ან თუ მოდის, ისეთი ნაბახუსევია, ვერაფერს მიკეთებსო. მაშინ სინანულით დავეთანხმე, მაგრამ დღეს, როცა ინტერნეტში მრავლად დევს თურქული სასმელის „აირანის" რეკლამა თუ რეცეპტი და პლეხანოვზე თურქულ დაწესებულებებში პროფკავშირებისაგან მიტოვებულ ქართველ მუშა-მოსამსახურეებს გადავხედე, დავფიქრდი. რა არის ეს „აირანი"? - მაწონი + წყალი + მარილი - მაგარი სასმელია ძალიანო. დალიეთ, ქართველებო ისევ მამაპაპური ვაზის ნაჟური, ლუდი და ჩაკიდული, მოდით სამსახურებში ნაბახუსევნი - ოღონდ, ნუ გადაჯიშდებით...**

**ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲙᲔᲨᲔᲚᲐᲕᲐ**
571 99 95 16














# სათემო-სამონასტრო აღორძინების სინთეზური მოდელი

# ანუ როგორ გადავრჩეთ საკუთარ სამშობლოში



თავის დროზე გენიალურმა ვაჟა-ფშაველამ (XIX ს. ბოლოს) იგრძნო ქვეყნის დაღუპვის ბედისწერული ხიფათი, მან მოიწვია თემთა ყრილობა და ფშავ-ხევსურეთში აღადგინა თემის უზენაესობის სტატუსი — მართვის ტრადიციული ადათ-წესი, ამით იგი დაუპირისპირდა ეგზარქოსების ცარისტულ-სატანისტურ რეჟიმს და კიდევაც შეაჩერა იგი ფხოვის სივრცეში...

90-იან წლებში ჩვენ აღვადგინეთ ხევსურეთის სათემო საბჭოები: ტრადიციული მიწის მფლობელობით და სამეურნეო სისტემებით და პირველთაგან შევაჩერეთ კომუნისტური რეჟიმი ხევსურეთში: ჩვენი ეს მოდელი მიიღო და დაამტკიცა საქართველოს მაშინდელმა მინისტრთა საბჭომ (იხ. 1990 წ. 5.IX-468 დადგენილება), რამაც გაუგონარი ფურორი და ინტერესი გამოიწვია (იხილეთ მაშინდელი პრესა — „დვრიტა“, „ასავალ-დასავალი“, 1990, 25 ენკენისთვე).

ეხლანდელი ხელისუფალნი მინისტრები, პარლამენტარები ბრმებივით (ხამებივით) დადიან და ეძებენ „ველოსიპედის ახალ ბორბალს“ — მათ არ იციან, რა მოდელი მოარგონ ისტორიულ თემებს: სინამდვილეში ასეთი რამ („ეს ბორბალი“) ნაპოვნი და აღმოჩენილია — ის არსებობს! მაგრამ ჩვენდა და ქვეყნის სავალალოდ: სახელისუფლო მოხელენი არ ეკითხებიან მას, ვინც იცოდა და იცის, რა სჭირდება ამ ბედკრულ ქვეყანას, და წინ და უკან დაათრევენ მარადიულ მოროდიორ-მედროვეებს, უვიც იდეათა პლაგიატებს, რომლებიც „ჯორის ბარგივით“ ეკიდებიან ყოველ ხელისუფალს, და იგინიც მუდმივ „კოაბიტაციის“ რეჟიმში არიან მათთან... ასე არ ეშველება ამ ქვეყანას!

ბატონი ბიძინა ივანიშვილიც ვერაფერს გააწყობს, რა გინდ ბრძენი და ჭკვიანიც უნდა იყოს, ამ მედროვეთა ალყაში! იგი ვერ გაიგებს (ვერ მიიღებს სწორ ინფორმაციას), თუ როგორ უნდა გადავარჩინოთ ისტორიულ თემთა დანგრეული კულტურულ-ეკონომიკური პანთეონი — თუ სწორი ამბის მიმტანი არ იქნება მასთან.

გვითქვამს და ვიმეორებთ: თუ ჩვენი ერის საკრალურ სარტყელს ვერ აღვადგენთ, ვერ გადავარჩენთ ჩვენს ისტორიულ პერიფერიებს, არ ეშველება ამ ქვეყანას — ვინაიდან სწორედ იქ არის „დამარხული“ ერის კულტურულ-ეკონომიკური და ზნეობრივი ხსნის კოდი... მრავალჯერ ყოფილა „ჟამთა დგომის აპოკალიფსური ჟამი“ — როცა ბარი და ქალაქი აღარ არსებობდა — ქვა ქვაზე არ რჩებოდა: ეს ღვთიური „სოლარული რკალი“ ყოველთვის იყო და იცავდა და ინახავდა ერის სასიცოცხლო არტერიებს...

გავიმეორებ იმასაც, რომ აქ ვერ შეაღწიეს ვერანაირი ტიპის ფეოდალ-კონფისკადორებმა, ვერც ინდო-ევროპულმა და მონღოლოიდურმა ბარბაროსებმა... და თვით წარღვნაც კი ვერ მისწვდა ამ მწვერვალებს, საიდანაც ამირანი, ბადრი და უსუპი, უხორცო გახუა



და კოპალა-იახსარი ჩამოდიოდნენ ქვეყნის დასაცავად!.. — ამას მითები ადასტურებენ!..

ჩვენს ერს (ხალხს) უეჭველად დასჭირდება ისტორიის ჩაკეტილ „კვრივებში“-ღვთის ნაკრძალებში — შებრწყინება და შესვლა თავის გადასარჩენად — ამასაც გვიდასტურებენ წმიდა მამები და თვით ხევსური ბრძენი ხევისბერთა „ანდრეზები“...

ჩვენ უკვე დაგვიდგა და გვიდგება ის დრო, რომ ვიგრძნოთ ხიფათი და ინტენსიურად დავიწყოთ ისტორიულ თემთა აღდგინების პროცესი — მთლიანად თუ არა, იმდენად მაინც, რომ იქ შესვლა შეიძლებოდეს ლტოლვილთა და ხიზანთათვის!

ფხოვი (ფშავ-ხევსურეთი-მთიულეთ გუდამაყარი-ხევი) არის საკრალურად დაცული ადგილი, სადაც არის საარსებო სივრცე ერის სულიერი და ეკონომიკური (და ფიზიკური!) გადარჩენისთვის...

ცნობილი არქეოლოგი პროფესორი რამინ რამიშვილი ბრძანებდა, რომ ფხოვის ისტორიულ არეალში: არაგვის აუზში, რომელიც პირდაპირ ებჯინებოდა მცხეთის კარს — ქრისტეს წინარე და ქრისტეს შემდგომ პერიოდში იკვეთება გაუგონარი დემოგრაფიული აფეთქების კვალი: მწვერვალები და ხეობები მთლიანად მოცული იყო მოსახლეობით! ამას გვიდასტურებენ „ციხე გორები“, „ნატაძრალი და ნამოსახლარი“, „ნახიზნარი“ ადგილები... აქ იკვეთება „მტკვარ-არაქსული“ ცივილიზაციის კვალიც!..

... ეტყობა, აქ ერი და ბერი შევიდა მაშინ, როდესაც იბერიის მიწაზე ქვას-ქვაზე არ ტოვებდნენ კიმერიელები, სკვითები, თუ სარმატები, ხაზარები და მონღოლები — და თვით ბერძენი და რომაელი ბარბაროსები — ინდოევროპული რასები, რომლებიც ახლაც აგრძელებენ ექსპანსიას!..

**იბერია ამ მწვერვალებიდან უტევდა მტერს და აქ იცავდა თავს! და სწორედ აქ გადავრჩით ჩვენ, როგორც რასა და როგორც „ობოლი ერი“!..**

კვლავ აქ უნდა გადავრჩეთ ჩვენ: ასეთია უფლის მინიშნება, ასეთია ფხოველ ხევისბერთა და წმიდა მამათა წინასწარმეტყველებანი!.. ეს ნათლად არ გვესმის ჩვენ — მაგრამ ეს კარგად იციან ჩვენმა მარადიულმა მტრებმა: რომ აქ, კავკასიაში, სადაც იშვა ცივილიზაციები, კვლავ შეიძლება კაცობრიობის გადარჩენა: ამიტომ გვყრიან ჩვენ ამ მიწიდან და იმზადებენ „გაწმენდილ ადგილს“ შემოსვლისათვის! ჩვენ ეს უნდა ვიცოდეთ და ვხედავდეთ! არის ერის სხვა „საკრალური საიდუმლონიც“, რომელთა ღიად ყველაფრის თქმა არ შეიძლება...

**ამიტომ ჩვენ წარმოგიდგენთ კულტურულ-ეკონომიკური ხსნის პროექტს, რომელიც საერთო (სათემო) სამონასტრო სტრუქტურათა ერთიანობას მოიცავს, ეს არის ძველის და ახლის სინთეზური საერო და საეკლესიო მოდელი ექსტრემალური დროისთვის — სწრაფად და მარტივად დასაწყები! იგი არ არის ერთადერთი ვარიანტი, მაგრამ არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი...**

დიდი საქმე იქნება, თუ თქვენი გაზეთის საშუალებით ჩვენ შევძლებთ ამ სიტყვის და იდეის მიწვდენას პატრიარქისთვის, რადგანაც ამ პროექტს „სათემო სამონასტრო“ მოდელი ჰქვია, რადგანაც მისი უწმიდესობის რჩევით მოვამზადეთ იგი!

დიდი საქმეა, თუ ჩვენ შევძლებთ თქვენი გაზეთით ხმის მიწვდენას პრემიერისთვის (რაც თითქმის შეუძლებელია!) — მაგრამ აუცილებელია, ვინაიდან სხვანაირად ვერ მოხერხდება ამ სიტყვის (და იდეის) აღსრულება. ვინაიდან თვით ბიძინა ივანიშვილის „იდეაფიქსიც“ გახლავთ ისტორიული (ტრადიციული) მეურნეობის და თემის გადარჩენა! — მან ეს უნდა შეძლოს (დაიწყოს მაინც, ვიდრე სადმე „წავიდოდეს“ აქედან... ანუ, ვიდრე „ეს“ და „ის“ არამზადები გააძევებენ საკუთარი სამშობლოდან!..

ჩვენ მივმართავთ რეგიონული განვითარების მინისტრს — ნარმანიას და სხვა მინისტრებს, აგრეთვე პარლამენტის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარეს ერეკლე ტრიპოლსკის, აგრეთვე ეკოლოგიის და სხვა კომიტეტების ხელმძღვანელებს (ცაგარეიშვილს და სხვებს) —

რომ არ არის სწორი და გონივრული მათი მოქმედება: იდეების და მოდელების შექმნაში: ისინი არ ელაპარაკებიან მას, ვინც იცის თემის და ისტორიულ კუთხეთა პრობლემები.

ისინი ხვდებიან ფსევდო-პიროვნებებს, პლაგიატებს, გრაფომანებს და ადამიანთა ლუციფერისებურ ორეულებს“ — „გაბურის ეშმაკივით“ რომ დაჰყვებიან ყველა ჩვენგანს...

არ შეიძლება ხევსურეთის ხელაღებით აღკვეთილად თუ ეკონაკრძალად გამოცხადება, როდესაც იქ პირუტყვის ჯოგები, ქარავნები უნდა ჩადგეს, არ შეიძლება მისთვის მართვის შეუსაბამო სტრუქტურების მორგება.

ასე არ გამოვა: ერი შედის ახალი, რწმენის გაცრუების დეპრესიულ ფაზაში!

საჭიროა მკვეთრი და სწორი მოქმედება: „კოაბიტაციური“ ხიფათის არიდება და ერზე ზნეობრივი ძალადობის დაძლევა! „ბილწთან ზავით შეკვრის“ არ დაშვება.

ჩვენ არასოდეს ვიწყებთ საქმეს, ვიწყებთ ლაყბობას, ვიღლებით და ვიჭედებით! ჭკვიანნი ბრძანებენ, მაგრამ უგუნურნი უკუღმა აღასრულებენ მათ ნათქვამს...

გთავაზობთ იდეას და მოდელს. დავიწყოთ! აჰა, „ერთი ბორბალი“ გატეხილი ურმისთვის, ეს არ არის ორივე ბორბალი. არის ერთი, მაგრამ აუცილებელი...

რეზიუმეს სახით ვიტყვით შემდეგს: ივანიშვილის მოსვლამ გააჩინა ახალი დრო და შანსი — მე და არა მხოლოდ მე მქონდა იმედი, რომ რომელიმე ისტორიული კუთხის რომელიმე თემიდან დავიწყებდით შემობრუნებას „შოკური თერაპიით“, თუნდაც იქიდან, სადაც ხალხური დოსტაქრები აკეთებდნენ ტრეპანაციას და მყისიერად შველოდნენ განწირულს... ჩვენ, ჯერჯერობით, ვერ ვიწყებთ ამ თერაპიას.

მე არ ვიცი, ქვეყნის გადასარჩენად მოსულ ადამიანს შერჩა თუ არა ხალისი და რწმენა რაიმე დიდი საქმის კეთებისთვის ამ უმადურთა და ცოცხალ-მკვდართა „სასაფლაოზე“.

ჩვენ შორენა თეთრუაშვილის ხელით გადავეცით უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II ტრადიციულ-სამეურნეო სისტემათა სათემო-სამონასტრო მოდელი. ვიტოვებთ რწმენას, რომ ამ პროგრამის არსი სწორად მიეწოდება უწმინდესს და უწმინდესისაგან ბატონ ბიძინა ივანიშვილს. ეს არის ერთადერთი გზა.

**კობა (იაკობ-აბა) არაბული**
**მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, თემთა დარბაზის თავმჯდომარე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# იცვლება დრო და სისაძაგლეც ნიღბებს იცვლის

*წელს ოთარ იოსელიანს 79 წელი შეუსრულდა — მართლაც, რომ ბრძნული ასაკია. მსოფლიოში გაბნეულ ფასეულობებში ორიენტირის ძებნისას არსებობს ცდუნება, დაეყრდნო მუდამ აუჩქარებელი და ჩუმი ჭაღაროსნების, როგორც ახლა უწოდებენ ბრძენი ფილოსოფოსების ფუნდამენტურ მოსაზრებებს, თუ „რა არის კარგი და რა — ცუდი“.*

*„გაითვალისწინეთ, რომ ხანშიშესულთა შორის უზნეოც ბევრია. მერწმუნეთ, სიბერე არც სიბრძნეს ნიშნავს და არც კეთილშობილებას“, — ასეთია ოთარ იოსელიანის პასუხი იმ სანტიმენტალური ჟურნალისტების გასაგონად, რომლებსაც იგი თავისი ფილმის „შანტრაპას“ ჩვენების შემდეგ შეხვდა.*

*ასეთი „მიზანთროპული“ მტკიცებით დაიწყო შეხვედრა რეჟისორთან, რომელიც თბილისში დაიბადა, საბჭოთა ცენზურის მარწუხების გამო, 30 წლის წინ, საფრანგეთში გადასახლდა. სწორედ იქ გადაიღო თავისი სულისშემძვრელი ფილმები ისეთ ფაქიზ თემებზე, როგორებიცაა სიყვარული, სიმარტოვე, ღალატი, ერთგულება… ეს ფილმებია: 1984 წელს გადაღებული „მთვარის ფავორიტები“ (ვენეციის ფესტივალის ლაურეატი), „და იქმნა ნათელი“ (1989), „ყაჩაღები. VII თავი“ (1996)… ბოლო წლების ნამუშევრები „შემოდგომის ბაღები“ და „შანტრაპა“.*

**— ბატონო ოთარ, თქვენ ყოველთვის დაუფარავად გამოხატავდით თქვენს პოლიტიკურ პოზიციას, მაგრამ არასოდეს გადაგიღიათ პოლიტიკური კინო. რატომ?**

— პოლიტიკური კინოს გადაღებას მაშინაც კი არა აქვს აზრი, როცა თავისუფლად მუშაობის შესაძლებლობა გეძლევა. პოლიტიკური კინო პამფლეტის დონეა. სწორედ პამფლეტიდან დაიწყო კომუნიზმი და ბოლშევიზმი. დასხდნენ ბიჭები — მარქსი და ენგელსი — და დაწერეს „მანიფესტი“, რომელიც იწყება სიტყვებით: „აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა“…



ასეთ თამაშებში მონაწილეობა არ ღირს, ეს არ წარმოადგენს ხელოვნების ამოცანას.

**— აბა, რაში ღირს მონაწილეობა?**

— შეეცადო, უაღრესად პატიოსნად და გულახდილად ჩამოაყალიბო ის, რაზეც ყველა ვფიქრობთ. ეს ძნელია, მაგრამ მიუღწეველიაო, ამასაც ვერ ვიტყვით. ასეთია, მაგალითად, სალტიკოვ-შედრინის „ერთი ქალაქის ამბავი“, რომლის კითხვისას აღფრთოვანება მეუფლება: ავტორმა ჩემზე უკეთ ჩამოაყალიბა ის, რაზეც გამუდმებით ვფიქრობდი. ყველაზე პოლიტიკური ნაწარმოებია „ევგენი ონეგინი“ — რა მოსაწყენია სინამდვილე, მომაბეზრებელია, მაგალითად, ის წესები, რომლებითაც ზეპური საზოგადოება ცხოვრობს, როგორ უაზროდ მიედინება ცხოვრება.

**— თქვენი აზრით, XXI საუკუნე უფრო ცინიკურია, ვიდრე XX? საბოლოოდ გაუფასურდა ისეთი ფასეულობები, როგორებიცაა კეთილშობილება, წესიერება?**

— გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ ყველანაირი უბედურება ახლა დაგვემართა და ადრე უკეთესობა იყო. გაიხსენეთ, რა დღეში იყო კაცობრიობა ძველ დროში: ინკვიზიცია, ღალატის კასკადი… შექსპირის ყველა პიესა — „ჰენრი VI“, „ჰენრი IV“, „რიჩარდ III“ — აგებულია აუტანელ უზნეობასა და ქვეგამხედვარობაზე. დანიის პრინცი — ჰამლეტი სიცრუის სასტიკ ვითარებაში აღმოჩნდება და არ შეუძლია ამის გადატანა. ყოველთვის ასე იყო.

უბრალოდ, დრო იცვლება და უზნეობაც ნიღბებს იცვლის. ყველა ეპოქაში საზიზღარ საქციელს სხვადასხვანაირად სჩადიან. წესიერი ადამიანებიც წესიერად სხვადასხვანაიარად იქცევიან. ახლაც, კარგად აღზრდილი ადამიანი არ გაურიგდება საკუთარ სინდისს, ცდილობს, არ უღალატოს იმ სტატუსს, რაც ბავშვობიდანვე შთააგონეს და შეისისხლხორცა.

**— როგორ უნდა შეეწინააღმდეგოს წესიერი ადამიანი უზნეოს? ეჩხუბოს? სხვათა შორის, თქვენი გმირებიც ხშირად იყურებიან მუშტებზე…**

— ბავშვობაში ყველა ბიჭმა უნდა იჩხუბოს. თუმცა მუშტით ბევრს ვერაფერს შეცვლი. ხელჩართულ ბრძოლას არასდროს მოჰქონდა რამე შედეგ, ისევე როგორც, არც ერთი უზნეო არ გამოუსწორებია საეკლესიო მცნებებს. ტაძარში ყველანი სანთლებით ხელში დგანან, მაგრამ როგორც კი მის ზღურბლს გადააბიჯებენ, სცოდავენ და უგვანოდ იქცევიან. რასაკვირველია, ეკლესია მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს აკავებს უსაქციელობისგან, მაგრამ არა ყველას.

**— ეს მიზანთროპის მოსაზრებაა…**

— არსებობს მოლიერის პიესა „მიზანთროპი“, რომელშიც გადატანილია თითქმის მთელი სიუჟეტური ქარგა გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“. ბევრს ჰგონია, რომ გოგოლიც მიზანთროპი იყო; ასეთი რომ ყოფილიყო, პუშკინს თავისი ხელნაწერების გადაცემისას არ ეტყოდა ასეთ ფრაზას: „ღმერთო, რა მოსაწყენია ჩვენი რუსეთი“.

მიზანთროპია, ჩემი აზრით, ეს არის ცხოვრების მეთოდი და არა კაცობრიობის მიმართ ზიზღი. თუმცა ვოლტერი ამტკიცებდა, რომ ადამიანი საშინელი არსებააო. იმავდროულად, მას მიაჩნდა, რომ სისხლისღვრების, ტანჯვა-წამების მიუხედავად, ყველაფერი მაინც უკეთესობისკენ იცვლებაო.

სამყარო ასეა მოწყობილი — არ გვყოფნის დრო საიმისოდ, რომ დიდხანს იცოცხლო და ბოლოს და ბოლოს, დარწმუნდე: ყველა უგვანო საქციელი, რაც კი ჩაგვიდენია, უაზრობაა. ცხოვრება მეტისმეტად ხანმოკლეა იმისთვის, რომ სიბერეს მიაღწიო და რამეს ჩასწვდე.

**— ნუთუ, ასაკთან ერთად არ მოდის სიბრძნე, ადამიანი უფრო მომთმენი და კეთილი არ ხდება?!**

— ბევრი ფიქრობს, რომ ხანშიშესულები კეთილშობილნი და ბრძენნი არიან. გაითვალისწინეთ, რომ მოხუცებს შორის ბევრია უზნეო და საზიზღარი ადამიანი. მერწმუნეთ, სიბერე არც კეთილშობილებას ნიშნავს და არც სიბრძნეს.

**— ყველაზე მეტად რას გაუწბილებიხართ?**

— არსებობს მთელი სისტემა, თუ როგორ გადაეცემა თაობიდან თაობაში მოსაზრებები სიკეთესა და ბოროტებაზე, წესიერ და უწესო საქციელზე. ამას აღზრდა ჰქვია. ადამიანი არ იბადება უზნეოდ, უბრალოდ, ცუდად ზრდიდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, ამქვეყნად ძალიან ბევრია წესიერი ადამიანი. ვინც უზნეოდ იქცევა, ასეთებს უნდა მოვერიდოთ, არ გავიცნოთ. მათ შორიდან ვაკვირდები.

არსებობენ ისეთებიც, რომლებსაც მომხვეჭელობა, ცრუპენტელობა და ორპირობა ცხოვრების წესად გაუხდიათ, ესწრაფვიან ამა სოფლის ძლიერებთან ურთიერთობას, რომ შემდეგ უღალატონ, პარტიებში შედიან… რას გააწყობ — ცხოვრების ასეთი მეთოდიც არსებობს. თითოეულს გააჩნია ცნებები — „ჩვენ“ და „ისინი“. კარგი იქნება, თუკი „ისინი“ ჩვენგან პარალელურად იცხოვრებენ და არ შეგვეხებიან.

**— ყველაზე მეტად რა გაშინებთ ამ ცხოვრებაში?**



ოთარ იოსელიანი თავის ფილმში „მთვარის ფავორიტები“

— მეშინია იმ საფრთხის, რომელიც თითოეული ჩვენგანის, ჩვენი ახლობლების თავზე დამოკლეს მახვილივით კიდია. რა დააშავა რუსეთის და უკრაინის ინტელიგენციამ, რა დააშავა უკრაინელმა გლეხმა, როცა „გოლოდომორი“ მოუწყვეს? საიდან აღმოცენდნენ ბოლშევიკები? ჩემი აზრით, ეს იყო ეშმაკისეული საცდური. მოგვიანებით მიხვდნენ, რომ ასეთი მსხვერპლი ამაო იყო. ნამგალი და ურო ოდნავ დაკორტნილი ორთავიანი არწივით შეცვალეს და, ყველაფერი თითქოს თავის ადგილებს დაუბრუნდა, მაგრამ… ვერ დაუბრუნდა. ბევრი რამ სამუდამოდ დაიკარგა. რუსეთში, უკრაინაში, საქართველოში ის-ის იყო გაჩენილი ინტელიგენციის ძალიან მცირე ფენა გააქრეს. ლენინმა ყველა მეცნიერი და მოაზროვნე ორთქლმავალზე დასვა და საზღვარგარეთ გაუშვა. ასეც ერქვა — „ფილოსოფიური ორთქლმავალი“.

**— ადამიანური ურთიერთობები რადიკალურად შეცვალა ინტერნეტმა. დაღლილი ადამიანი შინ ბრუნდება და ფაცებოოკ-ში ეფლობა. თქვენ გრძნობთ ინტერნეტსივრცის გავლენას?**

— საეჭვოა, მაღაროელი ან მბურღავი ფაცებოოკ-ით სარგებლობდეს, ახალგაზრდები კი… საშინელებაა, რომ ისინი გადაეჩვივნენ კითხვას, აღარ უსმენენ მუსიკას — კლიპებსა და რაღაც სისულელეებს არ ვგულისხმობ. მინდოდა, ჩემი შვილთაშვილისთვის კოზინცევის ძველი ფილმი „დონ კიხოტი“ მეჩვენებინა; მეუბნება: „არ მინდა ყურება, ბებიამ ყველაფერი მიამბო“, ანუ მას ეს ნაწარმოები არც კი წაუკითხავს. შვილიშვილმაც მითხრა: „მერა რა, რომ არსებობს რომანი „ომი და მშვიდობა“, არსებობს ორი ფილმიც, რომლებიც ნანახი მაქვს“.

საშინელება სწორედ ის არის, რომ ფილმის ნახვის შემდეგ, თქვენს მეხსიერებას შემორჩება ის პიერ ბეზუხოვი, რომელიც ბონდარჩუკმა შეასრულა. წიგნის წაკითხვა კი უკვე შეუძლებელი იქნება — თქვენ თვალწინ წარმოგიდგებათ მსახიობის ფიზიონომია, რომელიც დაჩრდილავს და დათრგუნავს იმ სახეს, მწერალმა რომ გამოგიგზავნათ.

**— გამოდის, რომ თქვენ ეკრანიზაციას კატეგორიულად ეწინააღმდეგებით?**

— მოვიყვანოთ ყველაზე უმსგავსი მაგალითი, მაგალითად „ოსტატი და მარგარიტას“ ეკრანიზაცია. მართლაც გამბედაობაა საჭირო, რომ ასეთი იდუმალებით მოცული საოცარი ტექსტი კინოდ აქციო. იქ არის ასეთი სიტყვები: „სიყვარული გადმოუხტა წინ, როგორც ყაჩაღი დანით ხელში“. ამიხსენით, ეს როგორ უნდა გადაიღო. ეს მხოლოდ უნდა წაიკითხო. როგორ უნდა გადაიღოს ვინმემ აი, თუნდაც, ეს: „ჩაიარა შობისწინა ღამემ. ამობრწყინდნე ვარსკვლავები, თვემ დიდებულად შეაბიჯა ცაზე, რომ ხალხი და მთელი სამყარო სიკეთეს აზიაროს, რომ ყველა მონაწილეობდეს მხიარულ ალილოში და ადიდებდეს ქრისტეს“.

**— არსებობს თუ არა თქვენთვის ცნება „ეროვნული“. მაგალითად, რითია საინტერესო უკრაინული ან რუსული, ან ფრანგული ეროვნული კინო?**

— რა არის ეროვნული კინო? ჩემი აზრით, ასეთი რამ არ არსებობს.

**— უკვე აღარ არსებობს?**

— არც არასდროს უარსებია. არსებობს რუსული ლიტერატურა — პუშკინის პერიოდიდან მოყოლებული (გოგოლი, სალტიკოვ-შედრინი, დოსტოევსკი, ტოლსტოი) დღევანდელ დღემდე, ანუ ვიდრე მიხაილ ბულგაკოვი გამოჩნდებოდა. მას მერე ჯერჯერობით არაფერია. ალბათ არიან მწერლები, მაგრამ გაქრა ის სულიერი საზრდო, რომელიც საზოგადოებას სჭირდება.

ახლა ბავშვები გაუნათლებელი არიან, შესაბამისად — უჭკუოები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვითგამოხატვის მოჩვენებითი თავისუფლებაა. ყველა ვაება და წუხილი ყალბია. გაუგებარ წინადადებებსა და დისკუსიებს, როგორ გარდაიქმნას სამყარო, არაფერი მოაქვს, მეტიც — ცუდად მთავრდება ხოლმე.

ეროვნული ხელოვნება — ეს არის ისეთი ხელოვნება, როცა ქვეყნად ცხოვრების წესები და ტრადიციები თაობიდან თაობას გადაეცემა, გადადინდება; ჩვენს დროში ეს იშვიათობაა. თაობების გამაერთიანებელი ძაფი გაწყდა და ასეთ დროს ეროვნულ კულტურაზე ლაპარაკი უაზრობაა.

კამბოჯა, მაგალითად, იყო უდახვეწილესი, ნატიფი, რაფინირებული ქვეყანა. კომუნისტებმა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, დაიწყეს ტრადიციულად მოაზროვნე ადამიანების განადგურება, რომ ხალხი ნახირად ექციათ. ნებისმიერი რევოლუციის მიზანი ხომ ყველას გათანაბრებაა.



არსებობს ასეთი ცნება — პროკრუსტეს საწოლი. ეს წამების ინსტრუმენტია. ვინც დაბალი იყო, ჭიმავდნენ და აგრძელებდნენ, მაღლებს — აპატარავებდნენ. უაზრო საზომების საწოლია, მაგრამ ფილოსოფიურად საშინელებაა — ეს ყველას გათანაბრებას ნიშნავს. როცა ყველა ერთ დონემდე დაჰყავთ, ქრება ზღაპრები, თქმულებები, სიმღერები, სიმყუდროვის ცნება, სუფრასთან ჯდომის აზრი, ბებიასთან ურთიერთობის ხიბლი — ქრება ყველაფერი, რითაც ტრადიციები უნდა გაგრძელდეს.

**— მაგრამ 60-70-იან წლებში ხომ არსებობდა ძლიერი ქართული კინო, უკრაინული კინო...**

— ეს მითი იყო. ჰქონდათ ბოლშევიკური მიზანი — „ხალხთა მეგობრობა“. არსებობდა ასეთი ოლიმპიადები — მოსკოვში ჩადიოდნენ ბაშკირები, ქართველები, უკრაინელები, ესტონელები და მღეროდნენ თავიანთ სიმღერებს. ამას „კულტურის ოლიმპიადას“ ეძახდნენ. ეს ყველაფერი მოჩვენებითი იყო. ახლა შესაძლოა, მოძებნოთ ისეთი მომღერლები ან ინსტრუმენტებზე შემსრულებლები, რომლებიც თითქოს ძველ ნაწარმოებებს ასრულებენ, მაგრამ სინამდვილეში ეს ძველის ნაშთია მხოლოდ.

ყველაზე ცუდი თვალთმაქცობაა. საზოგადოება იყოფა შემსრულებლებად, პრივილეგირებულებად და მასად, რომელიც მათ პირდაღებული უსმენს. როცა მთელი დარბაზი ზის და თვალთმაქცობს, რომ ამ ყველაფერს უსმენს, ეს კულტურა კი არა, დაცემა-დაკნინებაა.

ევრიპიდეს, სოფოკლეს და არისტოფანის პიესები იწერებოდა ათენის მოსახლეობისთვის, სადაც თეატრები ყალიბდებოდა. ეს ნაწარმოებები შეეხებოდა იმას, რაზეც თითოეული მაყურებელი ფიქრობდა, რაც მას აწუხებდა. სცენასთან მტკივნეული საკითხები აკავშირებდა.

რატომ სარგებლობდა ბრეხტის თეატრი გერმანიაში ასეთი წარმატებით? ეს იყო ის ინტელექტუალური ენა, რომელზეც ყველა ლაპარაკობდა. სად გაქრა გერმანიის ეროვნული კულტურა? გაჩნდა მოცარტი, ჰაიდნი, ბეთხოვენი, გლიუკი, მაგრამ მასა ბნელი იყო. ამიტომაც აღმოცენდა ნაციზმიც და ფაშიზმიც. კულტურა რომ არსებულიყო, ასე არ მოხდებოდა.

**— თქვენს ფილმებში ცნობილ მსახიობებს არ იღებთ. ვისთვის დაუშვებდით გამონაკლისს?**

— არავისთვის. დეპარდიეს წელიწადში 18 კინოში იღებენ და გადაიღონ. ან ჟულიეტ ბინოში, ან კატრინ დენევი, ან დანიელ ოტეი, რომელიც შეუსვენებლად გადასაღებ მოედანზეა... ისეთ ფილმებში, როგორებსაც მე ვიღებ, მათ არაფერი ესაქმებათ. თანაც, მსახიობები საშინლად ჭირვეული არიან. ყოველ შემთხვევაში, ცნობილები მაინც. ვიცი, რომ, მაგალითად, კატრინ დენევს მუდმივად თან ორი პარიკმახერი დაჰყვება და მის ვარცხნილობას დიდი დრო მიაქვს. ეს აუტანელია.

**— ადრინდელი კინო ახლანდელს რომ შევადაროთ, როგორია?**

— ადრე არსებობდა ფრანგული, ინდური, შვედური კინო. იყვნენ ბერგმანი, ფელინი, შევჩენკო, ბარნეტი. არსებობდა ფრანგული სკოლა: რენე კლერი, ჟაკ ტატი, აბელ ჰანსი, საოცარი მოღვაწეები. ეს ყველაფერი გაქრა, ისევე როგორც გაქრა ლიტერატურა და ყველაფერი ერთნაირი გახდა. რატომ არ ჰყავს ჩეხეთს ჰაშეკის მსგავსი ერთი მწერალი მაინც? შესაძლოა, იმიტომაც, რომ არ არის პირველი მსოფლიო ომი, აღარ არიან შვეიკები. არა, შვეიკები არ გადაშენებულან, უბრალოდ ლიტერატურა გაქრა. სხვა რამ გაჩნდა: ბლოგები, გაუგონარი სისულელების მეშვეობით ურთიერთობა. არ ვფიქრობ, რომ კინო ვერ აღორძინდება, მაგრამ სხვა ფორმას მიიღებს.

**მოამზადა გ. ჭავჭავაძემ**

## მკითხველის შემოქმედება

* * *

*ეძღვნება ხელისუფლების იმ უმაღლეს პირს, ვინც საქართველოს მომავალს გააბრწყინებს*

ბედნიერება, უბედურება
ქედს უდრეკს მხოლოდ ღვთაებრივ ნებას
ორთავ სიცოცხლე ერთ ძელზე წევს და
დრო მოდის — ცვლიან მიმართულებას.
თუ იქნებოდა ერთ-ერთი კენტად
არ იბრწყინებდა მაშინ რუსთველი,
აღარც ილია გვეყოლებოდა,
აღარც ვაჟა და არც მაჩაბელი.
ქართლის მუზარადს გაჰკვეთდა მტერი,
არ იშვებოდა გალაკტიონი,
ხმალს ჩააგებდა მაშინ ერეკლე
ვერ იგალობდა ერის სიონი,
ტკივილი მათ სულს ვარდად ეფინა
სიცოცხლე მზისებრ იყო ნათელი
თვისი სიწმინდით ცის თაღებს მისწვდნენ
და ერს აუნთეს სიბრძნის კანდელი.
შემოჰკრა ჟამმა უბედურების
„როს წიწამურთან მოკლეს ილია“
მამულისათვის შეწირულ გულთან
წმინდა სანთელიც იქ დაილია.
ვისი სისხლი აქვს მუხას შემხმარი
მკვლელებს ხელი ხომ არ მოუკვეთავს
ეს ისტორია გაწითლებულა
სირცხვილით ბაგე ამოუკერავს.
მუხანათ შვილთგან განაწირები
ხმალდაშვებული ქართველი დარდობს
როგორ გავბრწყინდეთ, რომ მივეახლოთ
დიდ იბერიის დაუჭკნობ წალკოტს.
არ გაპობილა სული ქართული
და ერი ელის თავის დღეს მზიანს,
ნეტა იმ ქართველს, ვინც ერს აღადგენს
და ამოიღებს ილიას ტყვიას!

*რუსუდან ანასტასია კალანდაძე*
*ჩოხატაური*

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
*მთვარისა კევლიშვილი.*
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**-როგორია მსჯავრდებულ მეუღლესთან განქორწინების წესი?**

-საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1125-ე მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურშიერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინება ხდება იმ პირთან, რომელიც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა.

ამავე კოდექსის 1139-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლე, რომელსაც სურს განქორწინება ხსენებული საფუძვლით, ვალდებულია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული , კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი ან განაჩენის ამონაწერი იმის შესახებ, რომ მეორე მეუღლეს შეფადებული აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ სამი წლისა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შეტანილი განცხადების შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახური აუწყებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მეუღლეს. უწყებაში უნდა განისაზღვროს იმის თაობაზე პასუხის შეტყობინების ვადა, არის თუ არა დავა ბავშვების შესახებ, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე ან იმ შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინებაზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს. პასუხის შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავა არ არსებობს, ან მითითებულ ვადაში პასუხი არ იქნა მიღებული, სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ახდენს განქორწინების რეგისტრაციას.

დავის არსებობის შემთხვევაში განქორწინების საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს პრეროგატივაა.

* * *

**-შემიძლია თუ არა განქორწინების შემდეგ დავიტოვო მეუღლის გვარი?**

-შეგიძლიათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1133-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა დაქორწინების დროს, უფლება აქვს, განქორწინების შემდეგაც ატაროს იგივე გვარი, ან მისი მოთხოვნით დაუბრუნდება ქორწინებამდელი გვარი.

* * *

**-სად და რა წესით ხდება განქორწინების რეგისტრაცია?**

-საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1137- ე მუხლის მიხედვით, განქორწინების რეგისტრაცია ხდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამავე კოდექსის 1138-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციას ახდენს სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ამის შესახებ აცნობებს მეორე მეუღლეს, თუ ცნობილია მისი და სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მისამართი, რომელმაც მოახდინა ქორწინების რეგისტრაცია.

* * *

**-შეიძლება თუ არა საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა?**

-თქვენს შეკითხვას პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლი.

ხსენებული მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის



მიხედვით, ცალმხრივი უარი საქორწინო ხელშეკრულებაზე დაუშვებელია.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისას.

* * *

**-შეიძლება თუ არა ქორწინება ბათილად ცნოს ტერიტორიულმა სააგენტომ?**

-არა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1140- ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ქორწინება შეიძლება ბათილად ცნოს მხოლოდ სასამართლომ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1148- ე მუხლის მიხედვით, არავის არ შეუძლია მიუთითოს ქორწინების ბათილობაზე, თუ ქორწინება სასამართლოს მიერ ბათილად არ იქნა ცნობილი.



# ქალს რა უნდა?

პრობლემა — „ქალს რა უნდა“ ქალისავე ხასიათის წინააღმდეგობაშია და მასვე უშლის ხელს საკუთარი თავისა და სურვილების სწორად შეფასებაში — თავისთავად ქალის თვითშეფასებაა პრობლემური, ვინაიდან, მისი ქალური ღირებულება არსებითად მამაკაცთან ურთიერთობაში დგინდება.

ურთიერთგაგებას ართულებს ის გარემოებაც, რომ თუ კაცი ადვილად ასხვავებს „სექსსა“ და „რომანტიკას“, ქალისთვის ეს ძალზე იშვიათადაა შესაძლებლი. ერთ-ერთი შინაგანი წინააღმდეგობაა ისიც, რომ ქალი ითხოვს მამაკაცისგან ერთდროულად ორი სრულყოფილი ფუნქცია შეასრულოს, იყოს „საყვარელი“ და იყოს „ქმარი.“ ქალის მაღალი თვითშეფასების შესაძლებლობას იძლევა „საყვარელი“, მაგრამ ქალის სულის მეორე მხარე მოითხოვს ოჯახს, სტაბილურობას, სანდოობას ე.ი ქმარს, მაგრამ ერთსა და იმავე ქალთან ქცევის ორივე მოდელის შეთავსება მამაკაცისთვის წარმოუდგენლად ძნელია. ქალსაც შეუძლია ჰყავდეს ქმარიც და საყვარელიც, მაგრამ განუწყვეტლივ ანგრევს ნებისმიერ სასიყვარულო სამკუთხედს ვინაიდან ერთ კაცში უნდა მოაქციოს ორი.

ქალი ვერ აცნობიერებს საკუთარ წინააღმდეგობრიობას და ამიტომ არ შეუძლია საკუთარ სურვილებზე უარის თქმა რის შედეგადაც პრობლემები ექმნება და ადანაშაულებს მამაკაცს, რომ მას არასაკმარისად უყვარს. მამაკაცი ქალის ყველა სურვილის შესრულებას რომ ცდილობდეს, არც ეს მოსწონს, რადგან დამორჩილებული მამაკაცი მის თვალში სუსტია და აქედან გამომდინარე, უინტერესო. ამპარტავნობის ჟინი განუწყვეტლივ აბრძოლებს ქალს უპირატესობისთვის, მაგრამ სრული ძალაუფლება რომც ჩაიგდოს ხელში, არ იცის, როგორ გამოიყენოს. საოცარია, ყველა ქალი ოჯახის შექმნისკენ მიილტვის, მაგრამ საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლით სწორედ თვითონვე არიან განქორწინების ინიციატორები (ევროპაში – 70-90% აშშ-ში – 78%).

რა ტიპის „საყვარლის“ მიმართ აქვთ მიდრეკილება ქალებს?

**„ცუდი ბიჭი“** — მასთან ყოფნა საშიში და ამაღელვებელია. რატომ უყვარდება ქალს? — საშიშროების განცდის გამო. საოცარია, მაგრამ ყველაზე მეტად მაგნიტურად მიმზიდველი ასეთი ტიპაჟია. ისინი სრულად მართავენ იმ ქალებს, რომლებიც ემოციებზე ნარკოტიკივით არიან დამოკიდებულნი, რადგან ამაში პოულობენ უმაღლეს თვითშეფასებას და ბედნიერების განცდას.

**„თავგადასავალთა მაძიებელი“** — მასთან ყოფნა საინტერესო და ფათერაკებით აღსავსეა. ასეთ ტიპაჟებს ხშირად ერთზე მეტი შეყვარებული ჰყავთ, მაგრამ ქალები თანხმდებიან ასეთ გარემოებას, რადგან ისინი ოპტიმიზმს აფრქვევენ.

**„მექალთანე“** — ის ვნებით არის აღსავსე. ქალი მის ხელში სექსუალურად მიმზიდველად გრძნობს თავს. მას დათაფლული ენა აქვს და ქალის სრულად და ბუნებრივად ესმის, თითქოს წარსულ ცხოვრებაში ქალად ყოფნის შემდეგ მამაკაცად არის რეინკარნირებული. ისინი შეუადარებელი რომანტიკოსები და ყურადღებიანები არიან ქალის სურვილების მიმართ, მაგრამ სასურველის მიღწევის შემდეგ მალევე უჩინარდებიან, რადგან გრძელვადიანი კავშირები მათ არ აინტერესებთ, მაინც უყვარდებათ.

**„პოეტური განწყობის“ კაცი,** — იგი იწვევს აბსოლუტურად განსხვავებულ ემოციებს, რადგან იგი რთული და იდუმალი სულიერი წყობისაა. ზოგიერთი ქალის ფსიქიკას სწორედ ისეთი კაცი ხიბლავს, ვისაც გაგება ესაჭიროება და კიდეც მოიძებნება ყოველთვის ქალი, რომელსაც შინაგანად ვილაცის გაგება უნდა და ამით მიაღწევს კიდეც მაღალ თვითშეფასებას.

**„ალფონსი“ და მისინაირსახეობა** — „ჟიგოლო“(ფრ. გიგოლო) — პროსტიტუტი მამაკაცი, რომელიც ცხოვრობს იმ ქალების ხარჯზე, რომლებსაც იდეალურ სექსუალურ მომსახურებას უწევს.

როგორ გამოვლინდება „წაგებული“ ქალის სულიერი მოწყობის ცალკეული სტრუქტურული კომპონენტები:

**ჩივილი და ბრალდება** — წარმოიშობა იმ ფაქტის უგულებელყოფის გამო, რომ პიროვნება თვითონ არის პასუხისმგებელი რაც მოსდის. ჩვევაში გადასული განუწყვეტელი ჩივილი და წუწუნი არასრულყოფილების გრძნობას ბადებს და ქალი ამას სხვების დამცირებით და დაკნინებით ებრძვის.

**დამნაშავეთა ძებნა** — ქალი ცდილობს სხვა გააკიცხოს სწორედ იმ სისუსტეებისა და შეცდომების გამო, რომელიც თვითონ ახასიათებს.

ყურადღებისა და მოწონების მოთხოვნა — როდესაც არ შეუძლია გააცნობიეროს და შეაფასოს თავი ღირსეულ და სრულფასოვან ინდივიდუუმად, ჩნდება დაუოკებელი სურვილი განუწყვეტლივ ესმოდეს მოწონების შეძახილები და მუდმივი ყურადღების ნიშნები.

**უმეგობრად დარჩენილი** — დაბალი თვითშეფასების მქონე მდუმარედ განმარტოებულია, ან პირიქით, აგრესიულია, კრიტიკული და მომთხოვნი, რითიც იკარგება საკუთარი თავის მიმართ კეთილგანწყობის წახალისების ის შესაძლებლობაც, რაც მეგობრობას მოაქვს.

**უპირატესობისა და სიმართლის აგრესიული მოთხოვნა** — როგორც შედეგი, ყველა ირგვლივ მყოფმა განუწყვეტლივ უნდა ისმინოს ამის დამადასტურებელი მოსაზრებები. მან მხოლოდ ვინმე აკრიტიკოს და მეტი არაფერი უნდა ნათელია, მაღალი თვითშეფასების მქონე ქალი ჭორაობით სიამოვნებას ვერ ღებულობს.

**სურვილების წაქეზება** — როცა საკუთარ თავში „მშვიდობა“ არ არის — წამოიჭრება სურვილების დაკმაყოფილების მეშვეობით ორიენტირების ჩანაცვლება, ასე ვთქვათ, „გზააბნეული ჰედონიზმი“ — მეტისმეტი (რაოდენობრივი ან ფასეული) გასტრონომიული სიამოვნება: ნარკოტიკებით ან ალკოჰოლით გართობა, გაათმაგებული „შოპინგი“, სექსუალური აღვირახსნილობა, თამბაქოს უზომოდ მოხმარება და ა.შ. რაც კონკრეტულ შემთხვევებში, მათი შეხედულებისამებრ, მშვიდობის მომგვრელია სულისთვის.



**დეპრესია და სევდა** — ეს საკუთარი თვითშეფასების უაღრესად დაბალი დონე. დეპრესიის დროს წარუმატებლობის მიზეზების განხილვა მხოლოდ აუარესებს ქალის მდგომარეობას, რადგან აძლიერებს საკუთარ თავში უარყოფითი თვისებების ძიებას, ამიტომ, საჭიროა მისი გამომწვევი მიზეზების სიტუაციური და დეტალური ანალიზი. სევდამორეულს კი მარტივად შეუძლია წარუმატებლობა წარმატებაში გადაზარდოს.

**ეჭვიანობა** — ეჭვიანობის უმრავლესობა ერთ-ერთი პარტნიორის დაბალი თვითშეფასების პირდაპირი შედეგია. სწორედ აქედან გამომდინარეობს პარტნიორის კონტროლირების, გაუთავებელი გამოცდების, შემოწმების, დომინირების მცდელობები, რაც ჩვეულებრივ, „ეჭვმიტანილის“ მხრიდან ურთიერთობის დანგრევით მთავრდება.

**თავის შეცოდება** — სინდრომი „რა საცოდავი ვარ“ და ა.შ გამომდინარეობს საკუთარი ცხოვრების განკარგვის უუნარობიდან. ცხოვრების თვითდინებას მიცემული ასეთი ქალები ითხოვენ ყურადღებას და სიმპათიას, მათ ხშირად თავიანთი დაავადებაც კი უხარიათ, ვინაიდან, თვლიან, რომ სისუსტე ის ძალაა, რომლის გამომზეურებითაც შესაძლებელია სანატრელი ყურადღება და სასურველი დახმარება.

არის გამოთქმა: „უბრალოდ, მოგვბეზრდა ერთმანეთი“ ან „მისი ატანა აღარ მაქვს“ — რატომ ბეზრდებათ ხანგრძლივად ერთად ყოფნის შემდგომ ერთმანეთი (ან ერთერთს) და არა პირიქით, უყვარდებათ? მობეზრება კი არ აფუჭებს მათ კავშირს, არამედ მათ ურთიერთობაზე მოქმედი დესტრუქციული ძალების გავლენა გადაიზრდება მობეზრებაში.

ერთ სუფრაზე ღალატის შესახებ წარმოიშვა კამათი. საუბარში მოხუცი ქალიც ჩაერთო: — მე და ჩემს ქმარს კარგი ოჯახი გვქონდა. ბოლოს, გარდაცვალების წინ, გადაწყვიტა მოენანიებინა ყველა ღალატი. ყველაფერი გააფუჭა. თვითონ, თავისი აზრით, სული გაითავისუფლა, მე კი გულნატკენი დამტოვა. ღალატი სწორედ ეს იყო და არა ის, რაც ჩემს გაუგებრად უკეთებია...“

ყველა ნიშნის მიხედვით, პატრიარქატი მთავრდება და მონოგამიური ოჯახი, თუ გადარჩა, ნამდვილ სიყვარულზე იქნება აგებული, სადაც ქალი არ არის ფსიქოლოგიურად და მატერიალურად მიჯაჭვული და დამორჩილებული კაცზე, კაცი კი არ არის „თავისი ქალის“ ამპარტავნებისა და არარაობის უკიდურესი პოზიციების მომრიგებელი.

**მოამზადა**
**ნოდარ ლომჯარიამ**


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63


ISSN 2233-3983
9 772233 398001